

ს ხ ე ბ ა მ ე ც ნ ი დ ე ბ ა თ ა ა ქ ა ღ ა მ ი ს ს ა ქ ა რ ი ვ ე ლ ტ მ ს ფ ი ლ ი ა შ ი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР  
FILIALE GEORGIENNE DE L'ACADEMIE DES SCIENCES DE L'URSS

აკად. გ. გარე სახელმძიმე ენის, ისტორიისა  
და გეოგრაფიული კულტურის ინსტიტუტის

## З Д С З О

ИЗВЕСТИЯ  
ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

B U L L E T I N  
DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

IV 2

FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADEMIE DES SCIENCES DE L'URSS

B U L L E T I N

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

IV 2

ÉDITION DE LA FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADEMIE DES SCIENCES DE L'URSS

Tbilissi

1938

Тбилиси

ს ს რ ქ მ ე ც ნ ი რ ე ბ ა თ ა კ ა დ ე მ ი ს ს ა ვ ა რ თ ვ ე ლ მ ხ ფ ი ლ ი ა ლ ი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

ა კ ა დ . 6 . მ ა რ ი ს ს ა ხ ე ლ მ ი ა ბ ი ს , ი ს ტ ი რ ი ს ა  
დ ა გ ა მ ა რ ი ა შ უ ხ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს ი ს ე ბ ი ტ უ ხ ი ს

გ მ ს ა ბ ი

И З В Е С Т И Я

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

IV 2



ს ს რ ქ მ ე ც ნ ი რ ე ბ ა თ ა კ ა დ ე მ ი ს ს ა ვ ა რ თ ვ ე ლ მ ხ ფ ი ლ ი ა ლ ი  
ტ ე ბ ი ლ ი კ ა ნ ი 1938

დაბეჭდა სსრკ შეცნობებაზა აქალეპის  
საქართველოს ფილიალის განვარგულებით  
თავმჯდომარე პროფ. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი პროფ. სიმონ ჯანაშია

1. იასე ცინცაძე, ცნობები ჩუქუპის შესახებ ქართულ წყაროებში  
და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში XI, XII, XIII სს. 73—100
2. გ. როგავა, ქვემოაღნილებრიც ბრუნეათა საკითხისათვის . . . . . 101—114
3. თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის პარამიტის ქეგლში . . . . . 115—158
4. ს. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძის ერთი «ლაშქრობის» გამო . . . . . 159—186

## СОДЕРЖАНИЕ

1. Ясэ Цинцадзе, Известия о Руси в грузинских источниках и о Грузии в русских источниках XI, XII, XIII вв. . . . . 73—100
2. Георгий Рогава, К вопросу о склонении в нижне-адыгейском языке . . . . . 101—114
3. Тинатин Гониашвили, О диалектизмах в Адишском памятнике . . . . . 115—162
4. С. Н. Джапашвили, По поводу одного «похода» С. Н. Карабадзе . . . . . 163—186

## TABLE DES MATIÈRES

1. Y. Tsinntsadze (I. Cincaze), Renseignements sur la Russie dans les sources géorgiennes et sur la Géorgie dans les sources russes du XI, XII et XIII siècles . . . . . 73—100
2. G. Rogava, A propos de la déclinaison dans la langue basse-adyghéenne . . . . . 101—114
3. Th. Goniašvili (Г. Гониашвили), Sur les dialectismes dans le monument d'Adichi . . . . . 115—162
4. S. Djanašvili (S. ჯანაშვილი), A propos d'un «raid» de S. Kakabadze . . . . . 163—186

ცეობები რუსეთის უმსახუებ ქართულ წყაროები  
და საქართველოს უმსახუებ რუსულ  
XI, XII, XIII ს. 66.

ქელი რუსული და ქართული ძეგლები შეტყმ-მეტ სიძუნწეს იჩენენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ ცნობების მოწოდებაში. ეს გარეშეობა შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ XI-XII-XIII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისე თვალსაჩინო არ იყო, რომ იმღროინდელ რუსულ-ქართულ მატიანებში აღბეჭდილიყო. მაგრამ ხშირად ცნობების სიმკრიც ანდა სრულიად არ არსებობა არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა არ აქსებობდა. არ ნიშნავს იმიტომ, რომ ძველი მემატიანე, ან სხვ სახის თხზულების ავტორი, არ ითვალისწინებდა, და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, მის შემდეგ მცხოვრები, მაგ., დღევანდელი, მოქალაქის მოთხოვნილებანი და ინტერესი წარსულ ცხოვრების პროცესზე, და ამის მიხედვით თავისი თხზულება მისი დროის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ პროცესების დაწერილებითი აღწერა ეანდებულებინა. შე-20 საუკუნის ისტორიკოსისათვის. ექვედულობაში მისაღებია ძველი ისტორიკოსის შეხედულებანი, მისი სოფლმხედველობა, იგი დაწვრილებით ჩერდება იმ საკითხებზე, რაც მას მნიშვნელოვნად მიაჩინა. არის ისეთი გარემოებაც, როცა საყვედური არ გვმართებს ძველი ისტორიკოსის მიმართ—მან ცნობები შეიტანა თავის თხზულებაში, მაგრამ იმ თხზულებებში ჩვენამდე ვერ მოალწია, დაიღუპა, ანდა ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის. რა ცნობები გაგვაჩინა ჩვენ დღეს-დღეობით ძველი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ, და რა დასკვნის გმირობანა შეიძლება არსებულ ცნობებიდან? აი, ის საკითხები, რომელთა განხილვას მიზნად ისახავს წინამდებარე ნაშრომი.

ქართულ ძეგლებში ცნება „რუსი“ და „ვარაიაგი“ ანუ „ვარანგი“ XI საუკუნეზე აღრე არ განვდება<sup>1</sup>. ეს ტერმინები გარკვეულ ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით ნახსენები აქვს „მატიანე ქართლისაის“ უცნობ ავტორს და სუმბატ დავითის-ძეს თავის თხზულებაში „ცხორება და უწყება ბაგრატიონთა“... ორივე თხზულების ავტორები XI საუკუნის შუა წლებში ცხოვრობდნენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღნიშნოთ, რომ ჩვენ შედველობაში გვაქვს უკვე ცნობილი აღწერილი და გამოცემული ძეგლი ქართული ძეგლები.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ისტორიის მიზნი, წყაროები...“ 1916 წ. გვ. 135, 145.

სუმბატ დავითის-ძე „რუს“-ს იხსენიებს გიორგი I ამბების აღწერის დროს. სახელდომართ, იქ, სადაც მას ლაპარაკი აქვს ბიზანტიის კეისარის ბასილისა და გიორგი I ქართველთა მეფეს შორის ატეხილ ომის შევლელობის შესახებ, რომელსაც, პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, აღვილი უნდა ჰქონოდა 1021—1022 წლებს შორის. სუმბატი წერს: „მასვე უამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისნი რომელნა იგი პირველ მივიუს და გამოვიდეს მიერ კერძო ტალმანი მეფისანი რუსი და არა განერა ერთიცა პირველ მოსარულთა მათ თვინიერ მცირეთას“<sup>1</sup>. აქ მაშასადამ ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ქართველი მეფის წინა რაზმების დამარტებაში მონაწილეობა მოულიათ რუსებს, რომელიც ბიზანტიელ კეისარის ბასილის ლაშქრის შემადგენლობაში ყოფილან. ისტორიკოს სუმბატის მიერ ყოველგვარ განმარტების გარეშე ტერმინ „რუსი“-ს აღნიშვნა გვაფექტებინებს, რომ XI საუკუნის ქართველისათვის რუსი გარკვეული ეთნიკური ცნება იყო და პირველად, ალბათ, ბიზანტიელთა ლაშქრის მეშვეობით არ უნდა გაეცნოთ. XI საუკუნეზე აღრე უნდა სცოდნოდათ „რუსი“, აღვილად შესაძლებელია იმავე ბიზანტიის გზით, სადაც ქართველები ხშირი სტუმრები იყვნენ, ხოლო რუსები ბიზანტიის არასასიამოვნო მეზობელები იყვნენ და IX საუკუნის შეორე ნახევრილან დაწყებული ბიზანტიელებს არა ერთი და ორი მწარე დღეები განაცდების, განსაუკრავბით X საუკუნეში. იყო შესაძლებლობა ბიზანტიელების გარეშე გასცნობოდნენ ქართველები იმდროინდელ რუს-ვარანგებს, შავი ზღვის საშუალებით. როგორც ცნობილია X საუკუნისათვის კიევის სახელმწიფოს რუს-ვარანგები შავ ზღვას, განსაუკრავბით მის ჩრდილო ნაპირებს, დაუფლებული იყვნენ და სავაჭრო ურთიერთობას ეწყოლნენ ამ ზღვით ბიზანტიისაკენ. ე. წ. ტმიტარაკანის რუსთა სამთავრო, რომელიც თანამედროვე მდინარე ყებანის ქვეშ ნაპირებთან მდებარეობდა, არ შეიძლება მის სამხრეთით მდებარე საქართველოს სანაპიროებს არ გასცნობოდა, იმდენად მაინც, რომ მათი ეთნიკური სახელწოდება ცნობილი არ გაეხადა ქართველებისათვის. ასეთი შესაძლებლობა არის, მაგრამ ისტორიული ცნობებით ამის დადასტურება, ჯერ-ჯერობით, არ შევიძლია, მატიანებებმა ცნობები არ შემოვინახეს. არის შესამეგზაც, საიდანაც რუსი ვარანგი XI საუკუნეზე აღრე უნდა გაეცნო ქართველს, მაგრამ ისევე პრობლემატური, როგორც ზემოთ აღნიშნული; ისტორიული ცნობებით არც მისი დადასტურება შეიძლება. ეს გზა არის საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის გადასაცალები. კავკასიონს იქთ. მცხოვრებ ისებას, ქაშაგებს და ხაზარებთან ქართველებს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ, საამისო ცნობები შემონახულია ქართულ ძეგლებში. ხოლო ისებას და ხაზარების სამეფოებთან რუსთა სამთავროებს მწვავე შეხლა-შემოხლა ჰქონდათ და, საფიქრებელია, ამ გზითაც იყო შესაძლებლობა საქართველოში, ს-ხაზართა შემვეობით, რუს ვარანგთა არსებობის შესახებ ცნობები გავრცელებულიყო. საფაქტობელია ფრეთვე არაბთა ბატონობის და მათი კულტურული ზეგავლენის შედეგად რუს-ვარანგთა შესახებ ცნობები საქართველოში გავრცელებულიყო XI საუკუნეზე აღრე. როგორც ცნობილია, არაბი გეოგრაფები საქმიალ გვაწვ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. 1906. წ. გვ. 357.

დღიან ცნობებს IX—X საუკუნეებში რუსებისა, ვარანგებისა და სლავების შესახებ, ხოლო არამთა ბატონობა ა.-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში საქმაოდ ცნობილი ფაქტია, დასასრულ სომებთა X ს. ისტორიკოსის მოსე კალონკატუელის ცნობა იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთიდან უცხო და ველური ხალხი ურუქებით გრიგალისებურად წამოვიდნენ კასპიის ზღვის მხრით, საქართველოს მეზობელი აღმანეთის მთავარი ქალაქი ბარდავი დაიპყრეს, 6 თვეს გამავლობაში იქ იყვნენ და მახლობელ მხარეებს ძარცვავდენონ<sup>1</sup>, საკმაო საბუთია იმისათვის, რომ ჩვენ მეტის გაბედულებით დავასკვნათ: თუ უფრო აღრე არა X საუკუნის პირველი ნახევრის მიჯნაზე რუსნი, როგორც ხალხი, ცნობილი იყვნენ ჩემიში. ა. იაუბოლესის მიერ გამოვევუნდებულ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ რუსები კავკასიონს აქეთ კასპიის ზღვით მტკვარზე ამოყოლით აღმანეთს 943/4 წელსაც შემოსევიან და ბარდავი საშინლად აუმხრებიათ. არაბ ისტორიკოსთა ცნობებში დაყრდნობით იაუბოლესკი ფიქრობს, რომ რუსების ჭირველ შემოსევას აღმანეთში, რომელიც 913 წელს უნდა შომზდარიყო, დაზეერვითი ხასიათი უნდა ჰქონოდა. პირველი შემოსევა აღწერილი ჰქონია მასუთას. მეორე შემოსევის შესახებ ცნობებს იბნ მისკავერი გვაწვდის. მოსე კალანგატუელის ცნობა, ამ მეორე შემოსევას აღვიწერს<sup>2</sup>. ბარდავში მოსულ რუსების სისასტიკესა და ვაკეაცობას დიდის ამბოთ აღვიწერენ იძლროინდელი ზემოთალნიშნული ისტორიკოსები. რუსები მოულოდნერლად მათ შორის გავრცელებულ ვრიდმიას ვაუქცევია ბარდავიდან, თორემ მათთან შებრძოლებას ვერავინ ბედავდა. მათმაციანი ისტორიკოსი წესს კიდეც—დაუსჯელად წავიდნენ დიდის ნადავლით, იბნ მისკავერის ერთ აღგილას თვეის ოზულებაში აღნიშნულია აქეს: „იმის შემდეგ, როცა რუსები წავიდნენ, მუსლიმანებმა შეაწეხეს დარჩენილი მათი საფლავები და ამოიღეს იქიდან მათი წმლები, რომელთაც დიდი მოწონება აქეს დღესაც, სიმახეილისა და უკეთესი ხარისხის გამო“—ო. ლაშქრის გმირული ბრძოლებისა და მნიშვნელოვანი იარაღის ამბები ყოველთვის ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა ძველ დროს და აღმანეთის მეზობელ ქართველებში, ცბადია, რუსთა ბარდავზე თავდასხმის ამბავი აუცილებლად ცნობილი უნდა გამხდარიყო.

ყველა ზემოთაღიშნულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ასეთი დასკუნა გამოვიტანოთ: XI საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველები უშუალოდ შეხვდნენ რუსებს ბიზანტიელთა ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ცნობა ამ ბრძოლის შესახებ წარმოადგენს უძველეს ისტორიულ ფაქტს ქართველების მიერ რუსთა როგორც ხალხის, გაცნობისას, მაგრამ მრავალ დროს საფიქრებლი ბლეგბა, რომ ქართველები რუსებს XI საუკუნეზე აღრე იცნობდნენ.

<sup>1</sup> История Агвака Моисея Кафанкатаца, писателя X века. პატრიარქის თარგმანი სომხურიდან, გვ. 275-276. სომხურ ცნობაზე მიღვითითა პროფ. დ. შეკლებეთ-ბეგ მა. როსტოკისაც აქვთ მაღლობას ვუცხადეთ.

<sup>2</sup> А. Якубовский, Ибн Мискавеих о походе Рюссо в Бердзес в 943 г.—943/4 г. Византийский Временник, 1926 г.

<sup>3</sup> იქვე გვ. 69. ფთარებმით იაუბოლესის მიერ შესრულებულ რუსულ ღარღმანიდან.

XI საუკუნის შეორე ქართულ ძეგლში, როგორც ზემოთ იყო, აღნიშნული, „მატიანე ქართლისად“<sup>1</sup>-ში აღწერილია სანტერესო ფაქტი ქართველთა და ვარანგ-თა ურთიერთობის ისტორიისათვის. მატიანის ცნობა შეეხება ბაგრატ IV-ს მეტობის ხანას; როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ს კლდე-კარის მფლობელი დიდი ფეოდალი ლიპარიტი მოსევნებას არ აძლევდა, და არა ერთგზის ბაგრატის მშტამბა უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა. შეფე-ფეოდალს შორის ატებილ ერთ-ერთ ომის აღწერის დროს მემატიანე შემდეგს ცნობას გვწვდის: „მოვიდეს ვარანგინი სამათასი კაცი და დააყენა ბაშს გარღმონატა შვიდასი კაცი და მოვიდა ბაგრატ შიდა ლაშქროთა და ამით ვარანგითა მესხინ ვერლარა მოილო-დინებს მოვიდეს და შეიბნებს თავსა სასირეთისა ჭალისასა გაიქცა შიდა ლაშქა-რი და ომსა ამასცე კულა შეიცყრეს აბუერი და სხუანიცა დიდებული მისთანა-ვერლარა უძლეს ბრძოლა ვარანგთა“<sup>2</sup>...

როგორც ვხედავთ, სახელმდინარეთის კალის თავს მომხდარ ბრძოლაში 1046-47 წლებს შორის ბაგრატ IV-ს მოუშველებია ვარანგთა რაზმი და შებრძოლებია: ლიპარიტს; გამარჯვება ლიპარიტს დარჩენია. აქ ჩვენთვის საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ვარანგთა რაზმი XI საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთა შეფეს მოუშველება. ძეგლიდან არ ჩანს, საიდნ მოიყვან ბაგრატ IV ეს რაზმი, იქ აღნიშნულია მხოლოდ — „მოვიდა“ —, აღნიშნულია აგრეთვე, ბაშს დააყენაო. თუ აქ ტექსტში რაიმე დამაზინჯვებას არა აქვს აღგილი, „ბაშა“ შეიძლება იგივე სოფელი იყოს, რომელიც დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, არის ცნობილი. ვარანგთა მოსელა რომ კავკასიონზე გაღმოსვლა მომხდარიყო, მაშინ მემატიანეს უნდა ეთქვა: „გარდამოვიდეს“. აშიტომ საფიქ-ჩებელი ხდება, რაკი დასავლეთ საქართველოში მოვიდნენ და კავკასიონი არ გადმოულახვთ, ან შევი ზღვით მოაღდნენ საქართველოს ნაპირებს ანდა სამხრე-თიდან, ბიზანტიის სამფლობელოდან, შემოვიდნენ ბაგრატ IV სამფლობელოში. ვარანგთა ეს რაზმი ბედის მაძიებელი, მოხეტიალე, შემთხვევით დასავლეთ საქართველოში მოსული, რაზმი არ უნდა იყვეს, იგი საგანგებოდ გამოწვეული, ანუ დაქირავებული რაზმი უნდა იყვეს. ლიპარიტის მიერ საბერძნეთიდან ბაგრატ IV-ის ძმის დემეტრეს გადმოყვანამ კიდევ უფრო გააუარესა ბაგრატ IV-ის მდგომარეობა. მეფის ძმის მოსელამ „განხნეთქნა ამისა მეფობის კაცინი: რომელნიშე წაუდგინნა დემეტრეს და რომელნ ბაგრატის ბაგრატის ერთვულებასა შინა“<sup>3</sup>. ბაგრატ IV-ის პოლიტიკას არ უკერდნენ მხარს ფეოდალები და ასეოს შინათაშლის პირობებში, როცა ცენტრალურ ხელისუფლების დასაყრდენი ძალები ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგ ბანაკში გარბინ, ერთად ერთი გამოსავალი-უცხო დაქირავებულ ჯარზე დაყრდნობაა. ამის შაგალითი ფეოდალურ ეპოქაში არა ერთია ცნობილი. ბაგრატ IV-საც უცხო რაზმების დაქირავებისათვის მიუმართავს. როგორც ჩანს, მას ვარანგთა დაქირავება მოუხერხებია. არაფრის თქმა არ შეგვიძლია, სიღან გამონახა, რომელ სამთავროში დაიქირავა ბაგრატ IV-მ ვარანგი. ვარანგთა და რუსთა რაზმების დაქირავებას ბიზანტიის ლებიც მიმარ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფ. 1906 წ. გვ. 263.

<sup>2</sup> ივ. ჯავახ იშვილი, ქართველი ისტორიის 5. II, გვ. 439.

თავდნენ და, შესაძლებელია, ქართველთა მეფეს ბიზანტიიდან გადმოებირებინა ურთ-ერთი რაზმი საქართველოში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ჩვენ გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XI საუკუნეში, მის პირველ ნახევარში, ქართველებმა არა მარტო იკოდნენ რუს-ვარანგთა არსებობა, არამედ გარკვეული, უშუალო შეცვედრა ჰქონდათ მასთან. შეხვედრის ან ურთიერთობის სივრცე, არსებული მასალების მიხედვით, ჩვენ მხოლოდ ზემოთ აღწერილი სამხედრო საჭმებით შეგვიძლია განვსაზღვროთ.

XI საუკუნის ქართულ ძეგლებში სხვა ცნობები არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ შივილებთ წრით ძეგლს, რომელიც XI საუკუნეში არის შედგნილი, მაგრამ შიგ შემდეგი ხანის ცნობებიც არის შეტანილი, და იქ ერთი საეჭვო ხასიათის ცნობა დაცული ცნება „რუს-ის შესახებ. ჩვენ აქ ამ ცნობაზე არ შევჩერდებოდით, მაგრამ არადგანაც ზოგიერთ მკვლევარს ამ საეჭვო ხასიათის ცნობაზე დამყარებით გამძლეული დებულებები აქვს წამოყენებული, საჭიროდ მიგვაჩინა აქ რამდენიმე სტრიქონი დაცულმოთ ამ ძეგლს და მასში დაცულ საეჭვო ცნობას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ათონის ქართველთა მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი, ეს ხელთნაწერი აძვამად საქართველოს მუხუმშია დაცული. 1901 წელს ხელონაწერი სათანადო შენიშვნებით გამოცემული აქვს ისტორიკოსს მოსე ჯანაშვილს.

ამ ხელთნაწერში, სხვა ობზულებებს შორის, ჩიკერებულია აღაპების ნუსხა. ამ აღაპთა შორის ეპ. კირიონის ყურადღება მე-47 აღაპმა მიიღორო. იქ აღნიშნულია: „თუ ესა იანვარსა კზ, აღაპი (არს) ი- რუსულილისად: მოსცნა ეკლესიას წიგნი. აღესრულებოდინ ყოვლითა გულსმოდგანებითა, ვითარცა სხვათა შემომზირებულთა სწერია ძალისაეჩჩრ. წიგნი ზუთი არიან ითანე რუსულილისა მოცემულნი: საღლესასწავლონი ორნი, დიონოსი ერთი, ლავსაიკონი ერთი და თეოდორიტე ერთი და ვინცა ამას ეკლესიას გამოაჭუას ერთიცა, ღმერთსა მან მისცეს პასუხი“<sup>1</sup>.

აქ, როგორც ვხედავთ, ითანე რუსულილს ქართველთა ათონის მონასტრისათვის შეუწირავს წიგნები და აბის სამაგიეროდ მონასტერს აღაპი განუწესებია. ეპ. კირიონი აქ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ითანე რუსულილია“ არის მოხსენებული. კირიონის აზრით, „რუსულილი“ ნიშნავს იმას, რომ ითანე რუსი იყო, დატოვა რუსობა და გაქართველდა: „Русские в Иверском монастыре на Афоне на всю жизнь оставались и даже приобщились к грузинской национальности, на что указывает выражение «рускопали». (бывший русский)<sup>2</sup>“.

აქედან შემდეგ კირიონს დასკვნები გამოპყავს, რომ რუსები ძველად გასაზათლებლად ათონის ქართველთა მონასტერში მიდიოდნენ, და ქართულ იმდროინდელ კულტურულ ზეგავლენას ეძებს რუსულ სალიტერატურო ძეგლებში. რათემა უნდა, მარტო ამ ცნობას არ ემყარება თავის დასკვნებში კირიონი, მაგრამ ერთ-ერთ საბუთად გამოყენებული აქვს ზემოთმოყვანილი აღაპი. ჩვენ ამ-

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელონაწერი აღაპებით. საკულ. მუზ. გამოც. 1901 წ. გვ. 227.

<sup>2</sup> Еп. Кир ион, Культурная роль Иверии в истории Руси, гл. 94.

უამაღლ მიზნად არა გვექვს კირონის მოსაზრებები განვიხილოთ საერთოდ, მაგრამ ამ კრიბას განმარტება ესაჭიროება.

კირიონის მსჯელობა ითანა რუსულფილის შესახებ, ჩვენ ვფიქრობთ, საბუ-  
თის ნაჩერაუედ განხილვაზეა აგძლული, და აი რატომ. ათონის ზემობსენებდულ-  
ხელთნაწერში მოთავსებულ ყველა აღაპს თუ განვიხილავთ, დაინახავთ, რომ  
სიტყვა „ყოფილი“ თან სდევს ბერის იმ სახელს, რომელიც ამათუში პირს  
ბერად ალვეცამდე რჩევია. როგორც ცნობილია, ბერები ერისეაცობის-დრო-  
ინდელ სახელს ბერად ალვეცის დროს იცვლიდნენ და ახალ სახელს იჩქმევ-  
დნენ. იმავე ხელთნაწერში მოთავსებულ სხვა აღაპებში, მაგალითად, ვკითხუ-  
ლობთ: „აღაპი განუწესეთ საბა მონომას ყოფილს“<sup>1</sup>, „ამავე დღესა აღაპი არს  
გიორგი აბაზოფილისა“<sup>2</sup>, „აღაპი განვიწევსების ქრისტეფორე ლალაკო ყოფი-  
ლისათვის“<sup>3</sup>, „ვაჩ ყოფილისა ბასილისათვის განვიწევსებია პანაშეიდი“<sup>4</sup>, „თუ-  
ესა სეკელნბერსა 19 აღაპი. არს მამისა აჩენისა ფარსმან ყოფილისად“, „აღაპი  
არს დელოფლისა ჩერინისა მარიამ ყოფილისად“<sup>5</sup> და სხ.

მაშასადაცე ითანე „რუსულოფილი“ ისე უნდა გაეყიოთ, რომ ითანეს ერისკაცობის დროს რუსი ერქვა, ბერად ალკეცების შემდეგ ითანე დაურჩევიათ და გმოვიდა ითანე რუსულოფილი. რუსი ან რუსა, როგორც საკუთარი სახელი, არ-სემობდა ძევლად. ამაზე მიგვითითებს დღეს არსებული გვარი „რუსაძე“, შემდეგ ნაგვიანევი ფორმით რუსიშეილი. ამას გარდა ჩვენ სხვა ძეგლშიაც გვხვდება „რუსი“, როგორც ქართველი კაცის საკუთარი სახელი. იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის აღაპების ნუსხაში, რომელიც აკად. ნ. მართა გამოსცა, სხვათაშორის კითხულობთ, რომ დეკემბრის 17: „პანაშეიდი (არს) რუსი ჩეტეტის-ძისა მოგუცა ხუთასი თეთრი დიდა დაწირებებასა შინა მას ქამსა ოდეს ჯი წემოგუაქციეს ვინცა არ გადაიხადოს კანონსამცა ქუე არს“<sup>7</sup>. ამდენად, კრიონისბურგი ტექსტის გავება მართობული არ უნდა იყვეს, მიზ უმცესები, რომ იმ ხნანდ რუსობა ქრისტიანულ მონასტრში, — რამდენადც არუსებიც ქრისტიანები იყენენ, — არაუერი დასტოუებელი იყო. გასაგები იქნებოდა სპარსულობა, თურქულობა, ე. ი. მაჰმადიანობიდან ქრისტიანობაში გადასცლის გამო დატოვებული სარწმუნოების ეთნიკური ტერიტორია აღნიშვნა, შემინ ხომ ეთნიკური სახელწოდება და სარწმუნოებრივი გაიგიებული ჰქონდათ, ძელად გამოითქმოდა და კველასათვის გასაგები იყო „გათურქება“, „გასომხება“, თურქულ ანდა სომხურ სარწმუნოებაზე გადავიდათ. ათონის მონასტრის ხელთანწერში ჩაერებულ აღაპების ნუსხიდან ზემოთმოყვანილი აღაპი XII საუკუნის მეორე დროს ქრისტიანები ადრინდელი არ არის<sup>8</sup>. XII საუკუნზე უკვე რუსი იმავე დროს ქრისტიანები ადრინდელი არ არის<sup>9</sup>.

<sup>1</sup> დასახ. ათონის 1074 წ. ხელთანაწ., გვ. 218.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 219. <sup>3</sup> იქვე, გვ. 235.

<sup>4</sup> օյջօ, 83. 241. <sup>5</sup> օյջօ, 83. 243. <sup>6</sup> օյջօ, 83. 250.

<sup>7</sup> Bibliotheca Armeno-Georgica, III, առաջնայի պահանջման մունակատական, 1914 թ., 83. 30.

<sup>8</sup> 6. ბ ე რ ქ ე ნ ი შ ვ ი ღ ლ ი. ა თ ი ნ ის მ მ ა ნ ა ს ტ რ ი ს 1074 წ ლ. ხ ე ლ თ ნ ა შ ე რ შ ი მ ი თ ა ს ე გ დ უ ლ ა ლ ა ქ ე ბ ი ს დ ა თ ა რ ი ლ ე ბ ი ს ა თ ე კ ი ს. შ რ ი მ ა მ ბ. ბ ე რ ქ ე ნ ი შ ვ ი ღ ლ ს დ ა მ ა ზ ა ფ ე ბ უ ლ ი ა კ ე ს დ ა ს ა ბ ე ჭ დ ა. თ ა ს ი ღ ლ ის შ ე ს ა ბ ე ბ ე ც ნ ი ღ ბ ი ს გ ა მ თ ა მ ბ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ვ ი ღ ლ ს ა კ ე ს მ ა ღ ლ ო ბ ა ს ვ უ ც ხ ა დ ე ბ თ.

ტიანისაც ნიშნავდა, ასე რომ ითანეს რუსულფილობა სხვანაირად არ შეიძლება გაგებულ იქნას, თუ არ ისე, როგორც ჩვენ ვსკადეთ, სანამ ახალი სხვა ცნობა არ აღმოჩნდება ითანეს რუსობის შესახებ. ზემოხსენებულ აღაპისათვის ვანსე, მოსე ჯანაშვილსაც მიუქცევია უურადღება და მის მიყრ გმოცემულ ათონის ამ ხელთანაწერის წინასიტყვაობაში ითანე მასაც რუსად მოუჩნდებია: «Также об-  
разом, мы видим, что начали духовного родства между грузинами и рус-  
скими положено еще в X-XI веке»<sup>1</sup>. პარივცემული მკვლევარი ცდებოდა ამა-  
მარტო იმაში, რომ იგანე რუსად ჩასთვალა, არამედ აღაპის დათარილებშიაც; იგი არ არის X-XI საუკუნეში დაწესებული, არამედ როგორც ზემოთ აღ-  
ნიშნეთ, XII საუკუნის მეორე ნახევარზე აღზრდილი არ არის. ამრიგად, ხსე-  
ნებული აღაპი ძეველ ქართველთა და რუსთა ურთიერთობის არსებობის და-  
სამტკიცებლად ჯერ-ჯერობით არ გმომდეგება.

XI საუკუნის ქართული ძეველიდან რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას გი-  
ორგი ხუცეს-მონაზონის თხულების ერთი ადგილის შესახებ, სადაც „სლავი“  
არის მოხსენებული. თუმცა აქ დაცული ცნობა რუს-სლავთა საქართველოსთან  
ურთიერთობაზე არაფერს გვაწვდის, მაგრამ სლავის ძეველ ქართულ მწერლო-  
ბაში მოხსენება საინტერესოა და განმარტებას საქართველოს. გიორგი ხუცეს-  
მონაზონს, როგორც ცნობილია, XI საუკუნის მეორე ნახევარში დაუწერია  
თხულება „ცხორებად და მოქალაქეობად გიორგი მთაწმიდელისად“<sup>2</sup>. ამ თხულე-  
ბაში, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ავტორი მოგვითხრობს გიორგი მთაწმინ-  
დლის მოლვაშეობაზე ათონის ქართველთა მონასტერში. სხვა ამბავთა ზორის  
მას მოთხოვობილი აქვს... „არს მთაწმინდისა პრასტინთა შინა სოფელი ერთი,  
რომელსა ლივსდის ეწოდების, ადგილი რახამებ მოქცეული უურე, ყოვლად უდაბ-  
ნო, მთანი უღალ მაღანარნი, და ვაგონებ თუ არავინ წმიდათაგანი მიმწუთარა  
მუნ; ხოლო კაცი მევიდრ არიან ბორლანი, რომელთა სკლავ ეწოდების, ყოვ-  
ლითურ უგუნურნი და პირუტყვე სახენი, წარმდებნი და არა წმინდათა ქუე-  
წარმვალთა მჭამელნი“<sup>3</sup>. ამ ცნობიდან ჩვენს უურადღებას იპყრობს ბოლგართა  
მოხსენიება „სკლავ“-ად „სკლავი“ იმდროიდელი ბიზანტიური სახელშიდებაა  
სლავთა. ქეგლი, რომლიდანაც ჩვენ ეს ამნაზერი, მოვიყვანეთ, ბიზანტიაში, ათონის  
ქართველია მონასტერში, იწერებოდა, მისი ავტორი იქ მოლვაშეობდა. ამიტომ  
სახელწოდება „სკლავ“ ადგილობრივ ბიზანტიაში შეთვისებულია უდაოდ, ქარ-  
თულ ენაში ეს სიტყვა, ახალია, XI საუკუნეშე ადრე შემოსული არ უნდა იყოს  
და, რაც მთავარია, იგი ათონურ ძეგლს გარდა არსად მოხსენებული არ არის.

თვით ათანელ ქართველებისათვისაც „ბორლალი“ ანუ „ბორლალი“ უფრო  
ჩვეულებრივ ხმარებაში უნდა იყოს, ვინენ „სკლავი“. იმავე ხელთანაწერში ითანე  
და ეფთიმე მთაწმინდლის ცხოველების აღწერილობაში, რომელიც გიორგი მთაწ-  
მინდელმა შეადგინა, ყოველგვარ განმარტების გარეშე აღნიშნულია: „და კუ-  
ლად ბორლალთაგან ყოველნი სოფელი შინა იყვნეს და კნინდა უკაცრულა“.

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთანაწერი, გამოც. საყ. მუს., გვ. XVII.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთანაწ. 1901 წ., გვ. 305—306.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 47—48.

ეთნოგრაფიული ცნება „სკლავი“ ბიზანტიის ტერიტორიაზე წარმოშობილ ქართულ ძეგლში იხსენიება მხოლოდ; ამ ცნებაში ათონელი ქართველები ბოლგარელებს პეტრისხმობლებს. არ ჩანს, იქაურა ქართველები ასხავებდნენ თუ არა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სლავებს აღმოსავლეთ ევროპის, დნეპრის აუზისა და მისი შენაკადების მიდამოებში მცხოვრებ სლავებისაგან, თუ უკანასკნელნი მათთვის მხოლოდ რუსებად იყვნენ ცნობილნი.

ამრიგად, ქართული ძეგლები, საერთოდ, ბიზანტიისაკენ მიგვითითებენ რუს-ვარანგთა ქართველების მხრით გაცნობის გზებზე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, გამორიცხული არ არსს ჭავაქასიონის გზიზ რუს-ვარანგთა შესახებ ცნობები შემოსულიყო საქართველოში XI საუკუნეში. *V*

XII საუკუნისათვის მოსალოდნელი იყო ქართულ ძეგლებს მეტი ცნობები შემონახა ჩვენთვეს ამჟამად საინტერესო საკითხებისთვის, მაგრამ ძეგლების გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. სხენიბულ საუკუნის ქართულ ძეგლებში რუსეთზე მხოლოდ ორჯერ არის ლაპარაკი. ერთი შეეხმა თამარ მეფის ქმრის გიორგის, ანდრია დიდი მთავრის შვილის, საქართველოში მოყვანას, ხოლო მეორე—პოეტი გრიგოლ ჩახრუხაძის თხულებაში პოეტი მოგზაურის რუსეთზე გავლას.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი აღვიწერს თამარ მეფის კარის დიდებულთა შეკრებას და თათბირს თამარ მეფის საქმროს არჩევის გამო. ამ თათბირზე, როგორც ცნობილია, ქართლისა და ტყილისის ამირამ აბულასანმა წამოყენა ვიორგი. რუსის კანდიდატურა. საყურადღებოა, თუ რა ცნობები გააჩნდა აბულასანს ვიორგი რუსის შესახებ, როცა იგი თათბირზე გიორგის კანდიდატურას აყენებდა: „მე ვიცი შეილი კელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა რომელსა მონებებ სამასნი მთავარნი რუსთან“ და იგი მცირე დარჩომილი მამისაგან ექსორია ქწით დევნული გარდამოხვეწება ბიძისა სავლთად სახელწოდებულისაგან და არს იგი ყივჩაყთა მეფისა საუნჯისა ქალაქსა“<sup>1</sup>. რუსული ისტორიული ძეგლები საქებით ადასტურებენ გიორგი რუსის შესახებ ქართულ წყაროში დაცულ ცნობებს. გიორგი ან, როგორც რუსი შემატიანე ეძახის მას, იურგი ან იური, იყო შვილი ანდრია დიდი მთავრისა. თვით გიორგის შესახებ ცნობები რუსულ მატიანეში ცოტა დაცული. ვიცით, რომ ეს გიორგი 1172 წელს ნოვგოროდის მმართველ წრეებთან შეთანხმებით, მამა მისმა ანდრია ბოგოლიურ-ბოველად წოდებულმა, მთავრად დასვა ნოვგოროდში: «Новгородци послашаася ико Анидрею князю в Суздаль, и вда им детя свое Юрия, и прияша и с честиюю<sup>2</sup>. როგორი მმართველი იყო ნოვგოროდში გიორგი, ამის შესახებ არცერთ რუსულ მატიანეში არავერთა ნათევამი. ერთგან ნოვგოროდელი მემატიან ალნიშნავს, რომ ანდრია ბოგოლიურველის დავალებით, კიევის საწინააღმდეგოდ გაგზავნილ ლაშქრის სარდლად, ნოვგოროდის მთავარი, ანდრიასავე შვილი, გიორგი დაინიშნაო 1173 წელს. ამ ლაშქრობის დროს გიორგის ხელმძღვანე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფ. ვარიანტი, გვ. 415. ციტატა მოყვანილია ხელნაწერში დაცული სახით.

<sup>2</sup> Летопись по Ипатскому списку. 1871 წ. გამოც. გვ. 386.

лопаты с борзой гвардейской службы саракинами, 7 крестильных греческих лопат в куполе храма и драгоценные дары от императора Федора Иоанновича. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами. В 1174 году царь Федор Иоаннович, находясь в Калуге, послал князя Михаила Федоровича в Новгород, чтобы тот передал византийским крестильным лопатам, хранившимся в Новгороде, письмо императора Федора Иоанновича, в котором он просил привести эти лопаты в Москву. Князь Михаил Федорович, вернувшись из Новгорода, передал письмо императору Федору Иоанновичу, и тот, в свою очередь, послал его в Новгород. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами.

1174 году царь Федор Иоаннович послал князя Михаила Федоровича в Новгород, чтобы тот передал византийским крестильным лопатам, хранившимся в Новгороде, письмо императора Федора Иоанновича, в котором он просил привести эти лопаты в Москву. Князь Михаил Федорович, вернувшись из Новгорода, передал письмо императору Федору Иоанновичу, и тот, в свою очередь, послал его в Новгород. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами.

1174 году царь Федор Иоаннович послал князя Михаила Федоровича в Новгород, чтобы тот передал византийским крестильным лопатам, хранившимся в Новгороде, письмо императора Федора Иоанновича, в котором он просил привести эти лопаты в Москву. Князь Михаил Федорович, вернувшись из Новгорода, передал письмо императору Федору Иоанновичу, и тот, в свою очередь, послал его в Новгород. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами.

1174 году царь Федор Иоаннович послал князя Михаила Федоровича в Новгород, чтобы тот передал византийским крестильным лопатам, хранившимся в Новгороде, письмо императора Федора Иоанновича, в котором он просил привести эти лопаты в Москву. Князь Михаил Федорович, вернувшись из Новгорода, передал письмо императору Федору Иоанновичу, и тот, в свою очередь, послал его в Новгород. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами.

<sup>1</sup> Новгородская летопись. 1888 №, 88. 151.

<sup>2</sup> Летопись по Ипатскому списку. 1871 №. 88. 392.

<sup>3</sup> 1174 году царь Федор Иоаннович послал князя Михаила Федоровича в Новгород, чтобы тот передал византийским крестильным лопатам, хранившимся в Новгороде, письмо императора Федора Иоанновича, в котором он просил привести эти лопаты в Москву. Князь Михаил Федорович, вернувшись из Новгорода, передал письмо императору Федору Иоанновичу, и тот, в свою очередь, послал его в Новгород. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами.

<sup>4</sup> 1174 году царь Федор Иоаннович послал князя Михаила Федоровича в Новгород, чтобы тот передал византийским крестильным лопатам, хранившимся в Новгороде, письмо императора Федора Иоанновича, в котором он просил привести эти лопаты в Москву. Князь Михаил Федорович, вернувшись из Новгорода, передал письмо императору Федору Иоанновичу, и тот, в свою очередь, послал его в Новгород. Видимо, это было в благодарность за помощь в борьбе с монголо-татарами.

თამარ მეფის მაშის გიორგი III დროს ყივჩაყების დაწინაურებაც იწყება სამეტე კარზე. ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე იქ, სადაც მას გიორგი ]II-ის მეფობის ხანზე აქვს საუბარი, გიორგის ძლიერების აღნიშვნის დროს შენიშვნას: „და ოქსთა და ყივჩაყეთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“<sup>1</sup>. თამარ მეფის ხანშიც ყივჩაყეთან ურთიერთობა გრძელდება. თამარ მეფის პირველ ისტორიუმს აღნიშნული აქვს რამდენიმეჯერ, რომ თამარის ლაშეარში ყივჩაყნი კვლავ იყვნენ. იქ, სადაც მას ლაპარაკი აქვს გიორგი რუსის, — განდევნის შემდეგ, — კვლავ კანსტანტინეპოლიდან დაბრუნებისა და დასაცლეთ საქართველოს დიდებულობა თამარის წინააღმდეგ ამხედვებისა და თამარის მომხრების გამარჯვების შესახებ, მემატიანე სხვათა შორის აღნიშნავს: „ავნცაცნების ეს კვლავ მახარობლისა ძოსლითა სარგის ვარდანის ძისათა ზრახაც ვა კვეს რომელი მყოფ იყუნეს მის წინაშე, ჭიამერი მანდატურთ უხუცესი და ჰერნი და კახნი დიდებული და ახნაურნი თანდართვით ყივჩაყათა“<sup>2</sup>. იმავე ისტორიუმისის მეორე ცნობიდან ვიტყობთ, რომ არამც თუ ყივჩაყათა ლაშეარი იყო საქართველოში, არამც თამარის დროს „მა ყივჩაყათა მეფისა სევინჯისავ სავალთი აქა იყო სამასახურად“<sup>3</sup>. მეორე ადგილას თამარს ისტორიუმისი, იქ სადაც მას თამარის ლაშერის შეყრაზე აქვს საუბარი, კვლავ ახსნებს ყივჩაყათა მეფის ძმას: „და მოვიდა თამარ და იხილნა მუნ იყო შარებნ-შაჲ და ამირ მირან და ძმაცა ყივჩაყათა მეფისა დიდისა ლაშეარითა“<sup>4</sup>. თამარ მეფის ისტორიუმის იმასაც გარკვეუთ იუწყება, რომ ყივჩაყნი ძელად მოსული სხვა იყვნენ და ახლად მოსული — სხვა. ერთ ადგილას იგი, აღვერების რა დაბაზობას, სადაც თურმე თამარ მეფე, დავით სოსლანი და მათი შვილი გიორგი ესწრებოდნენ, ამბობს: „პირველად რა გამოვიდეს ტევილისით ქალაქით, მიეგმნეს წინა ოქსნი და ყივჩაყნი ძელი და ახალი, შემდგომად ამისსა ჰერნი და კახნიონ“<sup>5</sup>. ერთგან თამარ მეფის ისტორიუმის გაეკრით იმასაც უწადა გვეუბნებოდეს, რომ ყივჩაყებისაგან სამხედრო ხელოვნების ერთი წესი შეუთვისებიათ კიდეც. შამქორის ბრძოლის დროს, წერს ისტორიუმის: „შეიქმნა განსვლასაცე რიმი და კვეთება, არათუ სრულობით წარმოლებითა ააზმისთა, გარნა წინამსრბოლთაგან ყივჩაყათა ენითა ჩაბაზად და ჩანჩახად ეწოდებისო“<sup>6</sup>. ყივჩაყათა შესახები ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ყივჩაყებს თავისებური სამხედრო წყობა და ბრძოლის წესი ჰერნიათ? ზორაბაძელისიდმი გიორგი რუსის მოყვანის შინდობა შემთხვევით მოვლენა არ არის. თამარის ისტორიუმის ცნობით იგი დიდ ვაჭარია; მას უდაოდ, როგორც ვაჭარს, ყივჩაყეთის გზით ულია, შესაძლებელია გიორგი რუსის შესახებ ამბები პირველად მისი მოტანილიც იყენეს.

ამრიგად, ყივჩაყეთან თამარის დროს გარკვეული დამოკიდებულება არსებულა და აბულასანს გიორგი რუსის და, საერთოდ, რუსეთში მომხდარი ამ-

<sup>1</sup> ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გამოც. ი. ვ. ჯავახიშვილის მიერ, გვ. 14.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლ ვარ, გვ. 440.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვ, მარიამ დედოფლ ვარ, გვ. 456.

<sup>4</sup> ქართ. ცხ., ჭიქინაძის გამოც., გვ. 442.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 439.

<sup>6</sup> ქართლ. ცხ., ჭიქინაძის გამოც., გვ. 446.

<sup>7</sup> ენციკლოპედ. ლექსიკონი ბროკ. და ეფრონისა, წიგ. 47, გვ. 354.

ბების შესახებ ცნობები ადგილად უნდა მიღლო. ქართველ ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ცნობა იმის შესახებ, თუ რა სისწოდით მოიყვანეს გიორგი რუსი ყიფჩიაუეთიდან, იმის აშკარა მაჩევნებელია, როგორ მოწესრიგებული ყოფილა მიმოსკვლა ყიფჩიაუეთამდე: „მაშინ მომსმენართა მისთვის უკმერ ერთი მკაფიო-თავანი დიდ ვაჭარი ზანქელ ზორაბაძელი მიწრაფლ მისრულმან ცალებითა ჰინეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პატინითა”<sup>1</sup>.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულ შესაძლებლობათა გიორგი რუსის შესახებ საქართველოში ცნობების გავრცელებისა, შართებულად მიგვაჩინია მაინც საკითხი დავაყენოთ: რამდენად სისწორით გადმოგვცემს ჩვენ ისტორიკოსი აბულა-სანის სიტყვებს. თამარ მეფის ისტორიკოსის გადმოცემით, ქართველ დიდებულოთა შეკრებილობას აბულასანი აცნობს ანდრია დიდ მთავარს, რომ მას სამასი სხვა მთავარი ემორჩილება, რომ მასი კანლიდატი, გიორგი, დიდი მფლობელის შვილია და სხვ. ასეთი შესავალი ნამდვილად გაუკეთა აბულასანმა თავის კან-ლიდატის სასარგებლოდ წარმოთქმულ სიტყვას, თუ ეს დეტალური ცნობები გიორგის შესახებ, გიორგის საქართველოში მოსვლის შემდეგ და ამასთან დაკავ-შირებით გაგებულ ცნობებიდან ისტორიკოსმა შემდეგ მიაწერა აბულმასნის ამ საკითხის გადაწყვეტა ამჟამად შეუძლებელია, მაგრამ სიტრანსილისათვის ამ სა-კითხის დაყენება, მართობულად მიგვაჩინია. ის გარემოება, რომ ძალიან სწორად გადაწყვდა დადებულოთა წრეში გიორგი რუსის სასარგებლოდ საკითხი, ერთის შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ არავისთვის, თაბიბოზე დამსწრე დადებულ-თავებს, გიორგი რუსის მშობლის, მასი სამფლობელოს ძლიერება და დიდი სა-ხელი უცნობი არ იყო, მხოლოდ საქართვისი იყო გიორგის არსებობა მოეკონე-ბინა ვინმეს, რომ საკითხი ნაჩქარევად გადაწყვეტიათ. თამარ შეფის შეორე ისტორიკოსი აღნიშნავს: „ესოდენსა მძიმესა საქმესა სუბუქად შეხებოდებოს”<sup>2</sup>.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში აღნიშნულია, რომ გი-ორგის ქრისტიანობა საკითხის გადაწყვეტის ძალიან უწყობდა ხელსო არის ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ გიორგი რუსის გვარიშვი-ლობასა და ქრისტიანობას იმდენ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა მისი კან-ლიდატურის გარშემო მსჯელობის დროს შეკრებილ დადებულებისათვის, რამდენადაც მის უთვისტომობას. გიორგი რუსი რომ გარდომხევწილი იყო, კველა-თავისიანების მიერ მოძულებული, ეს გარემოება საქართველოს სამეფო კარის დიდებულებისათვის უფრო ხელსაყრელი და მიშჩიდველი უნდა ყოფილიყო. იმი-ტომ რომ უთვისტომო რუსეთის უფლისტულს, რაი თავისი ხალხი არ გააჩნდა, აქ საქართველოს სამეფო კარშე ადგილობრივ გაბატონებულ წრეში დასაკრდე-ნის ძიებაზე უნდა ეფიქრა, იგი ამიტომ საშიში ვერ იქნებოდა აქ გაბატონებულ წრებისათვის. ეს მომენტი, თუმცა მემატიანეს აღნიშნული არ აქვს, მაგრამ მხედველობაში მისაღებია. თამარ მეფის ისტორიკოსებს, პირველს და მეორე-საც, ისე აქვთ მოკემული ცნობები; რომ თამარის გათხოვება ბაგრატიონთა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლი, ვარ., გვ. 415.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და რამაზ მეფის მეორე აქამდე უწნობი ისტორიკოსის თხზულება, ტფილ. უნივ. მოადგენ. III, 1923 წ. გვ. 214.

გვარის გადაშენების შიშით ეჩქარებოდათ, რადგან მეკვიდრე უჭვე აღარ რჩებოდა ტახტა, თორემ, როგორც მმართველი და მეფე, თამარი სასურველი პირი ყოფილა. მაშასადამე, გიორგი რუსი იქნებოდა თუ სხვა ვინმე, მასში ქართველი დიდებულები თამარის ქმარს ეძებდნენ პირველ რიგში. მაგრამ რადგანაც თამარ მეფის შესაფერი მმაკაცი მეფის შთამამავლობისა უნდა ყოფილიყო, ამდენად თამარ მეფის გათხოვების საკითხი პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებდა, და, პირველ რიგში,—ქართველ დიდგვარიან თავადებისათვის. ამიტომაც არის წყაროებში აღნიშნული, რომ, მოუხედავად თამარის დიდი წინააღმდეგობისა, დიდებულებმა თავისი გაიტანეს: „შეაიწრებდეს სულსა მისსა, ირემთა ემსუბუქობენ სახისა ოდენ მხსელითა და პოლოოთაებრ არა განაბილების მისაყრდნობელთა. ეს რდება მძიმესა საქართველოში შეეხებოდეს“<sup>1</sup>.

გიორგი რუსი დიდებულთაობის შეტის-შეტად ხელსაყრელ, მათვის სასაჩვენებლო კანდიდატად იქნა მიჩნეული. თუ მართლაც გიორგი რუსის უთვისტომობა გადამჭრელი მომენტია გიორგი რუსის თამარის ქმრად არჩევის საქმეში ქართველ დიდებულთაობის, მაშინ ზემოთ დასმული კითხვა: ნამდვილად წარუმდლეარა თუ არა აბულასანმა თავის სიტყვას გიორგი რუსის ბიოგრაფია, თუ გიორგი რუსის საქართველოში მოსკლის შემდეგ გაიგეს დეტალური ცნობები მისი ვინაობის შესახებ და შემდეგ მიაწერა ისტორიკოსმა აბულასანს, ეს კითხვა უნდა მოიხსნას. აბულასანს გიორგი რუსის თავგადასავალის მრყოლით უნდა დაეინტერესებინა დიდებულთა წრე. საკითხის სისრული-სათვას ერთ გარემოებასაც სჭირდება აღნიშვნა. დამარის ისტორიკოსთა თხზულებებში არაური ნაჟევამი, იცოდა თუ არა თვით გიორგი რუსმა, რომ მისი საკითხი იდგა საქართველოში, სანამ მის წასაყვანად მივიღოდნენ საქართველოდან. ჩენ კვირეობთ, რომ გიორგის კანდიდატურის წამოუენება თვით მისი წინასწარი ამ მიმართულებით ვადადგმულ ნაბიჯების გარეშე არ უნდა მომხდარიყო. იგი ყივჩაყეთში უნდა გასცნობოდა საქართველოს ტახტზე არსებულ მდგომარეობას და, საფიქრებელია, მოლაპარაკებას აწარმოებდა ზოგიერთ, საქართველოს ტახტან ახლო მდგომ, პირებთან, მათ შორის აბულასანთან.

ჩენ მიერ ზემოთწამოყენებული მოსაზრებანი გიორგი რუსის თამარ მეფის ქმრად მოყვანის შესახებ საქართველოს ისტორიის არასპეციალისტის აზრებია. ამ გარემოებას იმიტომ აღნიშნავთ, რომ საქართველოში იმდროინდელ გაბატონებულ კლასს შეინით არსებულ დასთა ურთიერთ ჭიდილის წარმოდგენა საქართველოს ისტორიის ლრმა შესწავლას და ცოდნას მოითხოვს,—რაზე-დაც ამ სტრიქონების ფრთხოებით პრეტენზიები არ აქვს, —ხოლო ამ ცოდნის გარეშე ზე ზემოთწამოყენებულ მოსაზრებების საბოლოოდ გადაჭრა არ შეიძლება.

თამარ მეფის ისტორიკოსთა ცნობებს ანალიზის შემდეგ იმ დასკვნამდე მივყართ, რომ საქართველოსა და იმდროინდელ რუსეთ შორის შუამავალინურმატორად რუსეთ-საქართველოს საერთო მეზობელი კავკასიონს იქნა მდგრადი ყოვჩაყეთი უნდა ყოფილიყო. წყაროებიდან კარგად არა ჩანს, საქართველოდან ქართველის მიერ ყივჩაყეთს იქით, ჩრდილოეთით, რუსეთის სამთავროებისაკენ გზა ჩვეულებრივ თელილი იყო თუ არა. XIV საუკუნეში მცხოვრებ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრ., კიბინაძის გამოც., გვ. 414.

ქართველ ისტორიკოსს<sup>1</sup>, ქართულ ისტორიკოგრაფიაში „ეამთა აღმწერლის“ სახელწოდებით ცნობილს, თავის თხზულების იმ ნაწილში, სადაც მონგოლთა მიერ საქართველოს დაპყრობაზე აქვს ლაპარაკი, ერთგან აღნიშნული აქვს, რომ ჩაღათა ნორიშა ავაგ ათაბაგი რუსეთის მპყრობელ ბათო ყაენთან გაგზავნაო. ისტორიკოსი ავაგის მ-მოგზაურობის შესახებ შენიშნავს: „წარვიდეს უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა და... მიიწინეს წინაშე ბათოსომ“<sup>2</sup>.

როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს<sup>3</sup>, „ეამთა აღმწერელი“ შართალი XIV საუკუნეში ცხოვრილდა, მაგრამ თავის თხზულების დაწერის დროს სელმძვანელობდა და მასალებს ჰქიანდა, მონღოლთა საქართველოში შემოსვლის და აქაურ ამბების ვითარების შესახებ, XII საუკუნის ქართულ საისტორიო ძეგლებიდან. ამიტომ, ერთის შეხედვით, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ბათო ყაენის რუსეთში გაბატონებამდე ქართველს მართლა ფეხი არ დაედგა ვოლგის ქვემო ნაპირებამდე, სადაც მაშინ ბათო ყაენის საბრძანებელი იყო. მაგრამ ჩენ საფუძველი გვაქვს ვითიქროთ, რომ ქართველ ისტორიკოსს ავაგ ათაბაგის ბათო ყაენის საბრძანებლამდე მოგზაურობის სიძრელის დასახასიათებლად პიპერბოლა უნდა ეხმარა, და ამიტომ ზემოთ მოყვანილი ისტორიკოსის წინადადება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული.

XII საუკუნის ქართველი პოეტი გრიგოლ ჩახრუხაძე ძეირტას ცნობას გვაწედის ზემოთშეულის დასამტკიციებლად. პოეტი მოგზაურის შესახებ იყი სწერს: „ატალას მოყვის, ქვეყანა მისცეის, არევის ჰქონლის შესაური, ხაზარეთს დაჭყის, რუსეთსაც ჩაჰყის, ზღვის პირით ჰქონდის ტარისით ქარი“<sup>4</sup>. თუმცა ჩახრუხაძის თხზულებაში არაფერის ნათევში საქართველოდან პირდაპირ რუსეთისაკენ მოგზაურობის შესახებ, პოეტი მოგზაური ინდოეთიდან ჩინეთზე გამოვლით მოდის ატალაზე ანუ თანამედროვე ასტრახანის მასლობლად და იქიდან ყოფილ ხაზარეთის ტერიტორიაზე გაელით რუსეთისაკენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია,— XII საუკუნეში, ე. ი. მონგოლთა შემოსევამდე ქართველისათვის უყოლად უცნაური გზა“ არ ყოფილა ვოლგის მიღმოები.

XII საუკუნეში რუსეთისაკენ მიმავალ გზას ჩენ კელავ შევეხებით რუსული წყაროების განხილვის დროს ქვემოთ. ამჩიგად, XI და XII საუკუნეების ქართული წყაროები რუს-ვარანგთა შესახებ საქართველოში ცნობების არსებობას გვაუწყებენ. ეს ცნობები, ამ წყაროების მიხედვით, როი გზით უნდა მომდინარეობდეს: დასავლეთით ბიზანტიიდან და ჩრდილოეთით კავკასიის იქით მცხოვრები ჩენ მეზობლების, ხაზარების და შემდეგ ყიყჩაყების საშუალებით. უშუალო კავშირი ძეველ რუს-ვარანგთა სამფლობელოებთან დღემდე ცნობილ და გამძლევებულ ქართულ ძეგლებში არ მოიპოვა. მაგრამ ეს გარემოება, როგორც წინამტებარე წერილის დასწისში გვქონდა აღნიშნული, არ გვაძლევს უფლებას აქ წერტილი დაისეას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ზემოთ

<sup>1</sup> თუ როდის უნდა ეცნოვა უამთადმწერლელს ამის შესახებ ის. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყარ. და მეთოდები, 1916 წ., გვ. 196.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლ ვარ., გვ. 508.

<sup>3</sup> თამარიანი ჩახრუხაძისა. ს. კავაბაძის გამოცემა, 1937 წ., გვ. 60.

მოვანილ ქართულ წყაროებში დაცულ ფაქტებით განვსაზღვროთ. ძალიან ხშირ რად, ნარატივულ ძეგლთა მათუმიტ საკითხზე დეტალი არ ნიშნავს ისტორიულ მოვლენის არარსებობას მათუმიტ გვივის. მით უმეტეს რომ, როგორც პროფ. შალვა მირიანშვილის უწითი წერილიდან ჩანს, ნოვგოროდის მახლობლად მდგბარე სოფ. ნერედიცის მელესის მხატვრობი ჩერნებური წარმოშობისა არის ტა, რაც მოვარია, XII-XIII სს. ემთხვევა ეს ფაქტი, აგრეთვე კიევის ციხიბილი XI საუკუნის „სოფის“ ტაძრის აღნაგობაც რომ ბიზანტიურს არ უდგება და უროკ ქირთულს, მოქმედი დაცულს, ტაძრს ენათესვება, ქართულ წყაროების მწირი ცნობებით დაქმაყოფილებაზე ხელს გვალებინებს. მომავალში სპეციალისტების მხრით კვლევაძეების ამ მიმართულებით ჩატარება ძევლი საქართველოსა და რუსეთის ისტორიის საყურადღებო ურულებს გადასულის.

Цінобасівській університеті, котрій було засновано в 1804 році. Але вже в 1811 році він був закритий за наказом імператора Миколи I, який вважав, що вищу освіту повинні отримати тільки представники аристократії та духовенства. Відтоді університет працював лише як гімназія, але вже в 1825 році було зроблено рішення про відновлення вищої освіти в місті. Це стало можливим завдяки зусиллям місцевих підприємців та міської влади. У 1832 році було створено новий університет, який отримав назву «Університет імператора Петра І». Він був розташований в будівлі колишньої гімназії, яка була перебудована та адаптована під наукові потреби. Університет мав чотири факультети: філологічний, математичний, фізико-математичний та медичний. У 1840 році було створено кафедру астрономії та математики, яка стала першою в Україні. У 1850 році було створено кафедру хімії та фізики, а в 1860 році — кафедру філософії та логіки. У 1870 році було створено кафедру економіки та фінансів, а в 1880 році — кафедру права та політології. У 1890 році було створено кафедру філології та літературознавства, а в 1900 році — кафедру філософії та логіки. У 1910 році було створено кафедру хімії та фізики, а в 1920 році — кафедру філософії та логіки. У 1930 році було створено кафедру філології та літературознавства, а в 1940 році — кафедру філософії та логіки. У 1950 році було створено кафедру хімії та фізики, а в 1960 році — кафедру філософії та логіки. У 1970 році було створено кафедру філології та літературознавства, а в 1980 році — кафедру філософії та логіки. У 1990 році було створено кафедру хімії та фізики, а в 2000 році — кафедру філософії та логіки. У 2010 році було створено кафедру філології та літературознавства, а в 2020 році — кафедру філософії та логіки.

<sup>1</sup> Барсов Н. П., Очерки исторической географии: География начальной летописи, 28-48.

<sup>4</sup> Летопись по Ипатскому списку, изд. Арахома, 23. 322. չ հյուշը Լետопիս ու Լավրենտ տառապ, изд. Аրքօքտ. 1873 թ., թ. 323.

<sup>2</sup> වෙත්තුරු එකිනෙක් පිටපත් නොලැබේ. මායාරූපය නොමැත්තු ය. මායාරූපය නොමැත්තු ය. 212.

<sup>3</sup> კაველიძე, რუსთველოლოგიური შრუდიდი, ტფ. სახ. უნ. შრომები, III. 1936 წ. 32. 116

<sup>4</sup> თ. ქორდანია, ქრონიკები. ტ. I, გვ. 254.

თხოვდა ხეარასნის სულტანზე, და მეორეჯერაც დაქერიებული და უშეილოდ დარჩენილი, ძმისწულების, გიორგი შვალიშვილების, თამარის და რუსუდანის აღზრდას შესდგომია.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: XII საუკუნეში კიევის სამთავროს მესევერთა ოჯახი საქართველოს ნაოცაურად დაკავშირებია, და აქაშდე თუ საერთო ცნობები უნდა ჰქონდათ საქართველოს შესახებ კიევში, ქაროველი მეფის ასულის იქ მისელის შემდეგ, უფრო კონკრეტული ცნობებით შეიცვალდა კიეველების წარმოდგრანა საქართველოში. მით უმეტეს რომ ქართველი მეფის ასული აქიდან რუსეთში მარტო არ წავიდოდა, მას სათანადო ამალა და მესვლები თან უნდა გაჰყოლოდა, ნაწილი იქ დედოფალთან დარჩენის მიზნით, ნაწილი კი ისევ საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. რა გზით უნდა ემოგზაურათ საქართველოდან კიევამდე ქართველ მეფის ასულსა და მის მსლებლებს? ამ საკითხის გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს იძლენად, რამდენადც საქართველოდან რუსეთისაკენ მიმიერა გზა, ალბათ კიევლაზე უფრო მოხერხებული და საიმედო. ჩვენთვის ცნობილი გაძლება. სამწუხაროდ, ქართველთა მეფის ასულის მიერ კიევვამდე გავლილ გზის ოთხი მეხუთედი ჩვენ არ ეიცით. რუსულ მატიანის ცნობიდან ეიტყობთ, რომ ქართველთა მეფის ქალიშვილს დნეპრის ჭორომებთან შეხვდნენ და იქიდან დნეპრით კიევში მიიღვანეს, «ცერე ი ვ იირავე» პრივედე იო ქიევი», აღნიშნულია მატიანეში. მაგრამ დნეპრის ჭორომებამდე რა გზით იმოგზაურა მან? ზოგიერთი ცნობების თავის მოყრით შეიძლება გზის დანარჩენ ნაწილზედაც ვარაუდი მაინც ვიქრინით.

საქართველოს XII საუკუნის ისტორიიდან ცნობილია, თუ რა ურთიერთობა დამყარდა საქართველოსა და ჩრდილოეთი მყოფ მეზობლებს, ისებსა და ყივჩაყებს ზორის. დავით აღმაშენებლის მეორე ცოლიც ხომ კიევის ბატონის ქალი იყო. XII საუკუნის ოციან წლებიდან ყიებაყოთა მეფე, დაეით აღმაშენებლის სიმამრი, საქართველოში გადმოსახლდა თავის ქვეშეერდომ ყიებაყოთა ტომით. ზემოთ, ქართველი წყაროების განხილვის დროს, ჩვენ აღნიშნული და დასაბუთებელი გეგმნდა, რომ ყიებაყებთან ახლო შეკობრული დამოკიდებულება მთელი XII საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ეს დამოკიდებულება, დემეტრე I ხანშიაც უნდა ყოფილიყო მით უმეტეს.

ამიტომ ისეთზე გავლით, დარიალის გზით, ყიებაყეოთზე უნდა გადაევლო ქართველთა მეფის ასულს და კიევის მთავრის სამფლობელოში სწორედ აქიდან უნდა მისულიყო. ამ მოსახრებას აძლიერებს ის გარეშოება რომ, როცა კიევიდან იზიასლავმა ხალხი გამოგზავნა ქართველთა მეფის ასულის შესახედრად, ისინი მას დნეპრის ჭორომებთან შეხვდნენ. რატომ აქ შეხვდნენ? იმიტომ რომ წესი იყო, შეხეედრა სამფლობელოს საზღვართან უნდა მომზადარიყო და მართლაც, XII საუკუნის შუაწლებისათვის, კიევის რუს სამთავროს საზღვარი ყიებაყებთან დნეპრის ჭორომებამდე აღწევდა. მაშასადამე, დედოფალი ყიებაყეოთზე გაელოთ მიემართებოდა კიევის სამთავროში.

რუსეთისაკენ მოგზაურობა, როგორც ქართულ წყაროების განხილვის დროს, გვეკონდა აღნიშნული, XII საუკუნის პოეტს გრიგოლ ჩახრუხაძესაც ყიებაყოთ სამფლობელოზე გაელით აქვს მოცემული „ხაზარეთს დაჰვის“, რუსეთსაც ჩაჭ-

ყვის, ზღვის პირით ჰქონდის ტარისით ქარი<sup>1</sup>. აქ საჭიროა ცნება ხაზარეთის განმარტება. როგორც ცნობილია, ხაზარეთი X საუკუნის შემდეგ უკვე პოლი-ტიკურად აღარ არსებობს, მაგრამ ქართულ ძეგლებში კავკასიონს იქით მდე-ბარე ტერიტორიას, სადაც შემდეგ ყიფჩაყთა ტომები ბატონობდნენ, საფიქრე-ბელია ნაწილს მაინც, ხაზარეთს უწოდებენ. ცხადია, XII საუკუნეში ხაზარეთი ქართველებისათვის პოლიტიკური ცნება აღარ უნდა ყოფილიყო, იგი ეთნიკუ-რი და გეოგრაფიული ცნებაა ამ დროისათვის, საფიქრებელია ახოვის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებამდე მაინც. უამთააღმწერელი XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, როდესაც მონლოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებს ჩამოსოფლის, არაერთგან აღნიშნავს ხაზარეთს: „უხუცესსა შეიღს თუბის მისუა ლაშერისა ნა-ხევარი და წარავლინა დიდასა საყიფჩაყესა ზედა ოცეტის ხაზარეთს და რუსეთს”<sup>2</sup>. მეორე ადგილას უამთააღმწერელი განმარტავს: „ყაენთა უპირატესობა ბათოს ყაენსა ეპყრა, რომელსა შქონდა ოცეტი და დიდი ყიფჩაყები, ხაზარეთი და რუ-სეთიონი<sup>3</sup>“. თამარ შეფის პირველ ისტორიკოსს იქ, სადაც გიორგი III შეფონის ხანაზე აქვს საუბარი, ერთგან ისე აქვს ამბავი მოთხრობილი. რომ ხაზართა ერთი ტომი XII საუკუნეში კიდევ ცნობილი ყოფილა: „ისე შარვანშა შემოხვე-წილ იყო ოდესმე დაკირვებული დარუბანდდლთა ხაზართაგანო“<sup>4</sup>. XII საუკუნის ქართველისათვის სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ხაზარეთი, ძნელი სათ-ქმელია, მაგრამ, როგორც ჩასრუხაბის თხხულებიდან ჩანს, რუსეთზე მიმავალი ერთი გზა ხაზარეთზე გადიოდა, და ხაზართოდან კიევში მისული მართლაც ჩაივლიდა დაწყრით რუსეთს. მით უმეტეს, რომ შემდეგ ჩახრუხაებს ლაპარაკი აქვს ბიზანტიიზე: „წავიდის ხმელსა იონთა ველსა მუნ სადა მეფედ ზის კეისარიო“<sup>5</sup>. ამრიგად, ყველა ზემოთნათქვამის შემდეგ ჩენენ იმ დასკვნამდე მივღივართ, რომ XII საუკუნეში საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალი გზა მიმართებოდა და-რიალით, ხაზარეთზე და ყიფჩაყეთზე, დონზე გადავლით ღნეპრამდე, ღნეპრით კიევამდე და ასე ცნობილ ისტორიულ დიდი წყლის გზით შეიძლებოდა ნოვ-გორიდამდე, ან პირიქით ნოვგოროდიდან ღნეპრით და შავი ზღვით კონსტა-ტინეპოლიამდე.

იზიასლავ მსტისლავის-ძე XII საუკუნეში, ვლადიმერ მონომახოსის შედევზ, ერთი ძლიერი მთავართაგანია კიევის ტახტზე, 1146 წლიდან 1154 წლმდე. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთით კიევის ბერიბელ პოლო-ნეთის, ჩეხეთის და უნგრეთის მფლობელებთან, განსაკუთრებით უნგრეთის მუ-ფესთან, რომლისაგანაც არა ერთგზის ჯარით დახმარება მიიღო მის მოწინა-აღმდევე რუს მთავრების წინააღმდევ საბრძოლველად. ნათელი არ არის, რით ხელმძღვანელობდა კიევის მთავარი იზიასლავი, როგა საქართველოს სამეფო ტახტს ქალს სთხოვდა, —იმ დროს მეფებსა და მთავრებს შორის ასეთი და-მოყვრება პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო. ერთი რომ უდაოდ უნდა ჩაითვალოს: საქართველოს სამეფოს ძლიერება იმდროს კიევის პრილი

<sup>1</sup> ქართლის ცხოველება, ჭიჭინ. გამ., გვ. 504.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 532.

<sup>3</sup> ქართლის ცხოველება, ჭიჭინ. გამ., გვ. 395.

Կյուր մշվարերութատցուս լրպետի առ Մնճա պատուլուց, դա, პորուկու, Տավարուելուս սամբոց Ըստի գարյայուղու հնոյումալու լրճա վյոնուցա կոյզու գուգու մուգրուս Մշսաեծ, տորութ ասետ Մորեյուլ մեարես մշոյ թմոնձուց ալնատ Մշուլս առ ցու-  
մերուելունց.

Տամիշիարուց, քյերուր 1 մետունու եան, տուշմու 30 Վյելութագո, Տավար-  
ուելուս օւուորուս եարյեթա պյաս չյըր-չյըրունտ. քյերուր Մշսաեծ հյօնամըց  
մուլույուլ յարույու օւուորույուտա տենյուլեցցի հոմդունմէ Տիրույունս ոմեր-  
ծցն. յս օմ գարյունուն ասեննեցա, հոմ քյերուր Մշսաեծ յարույու օւուորու-  
յուսու տենյուլեցա գայարցուա, յարուլուս լրպուրունու յարույունու դրուս  
քյերուր օւուորույուսու տենյուլեցա Շոյ առ Մշուրանատ. ույ յու տամար մեցուս  
რაც შეეხება აღგილობითი ბრუნების შინაარსით მიცემითის, გამოყენებას, ეს ხერხდება უმეტეს შემთხვევაში ზმინის წინდებულების შეშვებით, მსგავსად მეგრულისა. აღგილის სახელის გადმოცემიში ქართულსა და მეგრულს შორის შემდეგ განსხვავებას ვხედავთ: ამჟამად ქართულში აღგილის სახელი თან დებულებით გამოიხატება (რამდენიმე შემთხვევაში მიცემითი ბრუნვითაც, ოღონდ

გაქვავებული ფორმით: ადგილს, ალაგას, ნაპირას და სხვა), მეგრულში კი უმეტეს შემთხვევაში მიცემითი ბრუნვით, ოღონდ ზმინას უჩნდება რომელიმე წინდებულითანდებულის საკომპენსაციოდ.

მაგალითად,

ქართულში:

წიგნი მაგიდაზე ძევს  
მოხუცი ოთახში არის (იმყოფება)

მეგრულში:

წიგნი სტოლს გეძე  
ბაღიდი ოთახის მილარე

ქვემოადილეურში კი მეგრულის მსგავსადაა, მაგალითად:

თხ'ულ'ურ სტოლგ-მ თხაბ-ლ'  
წიგნი მაგიდაზე ძევს (წევს)  
ლიგზრ უნაშ ი-თ  
მოხუცი ოთახში არის (დგას)

### C. ვითარებითი ბრუნვები

ქართველური ენების ვითარებითი ბრუნვა ქვემოადილეურში გაფორმებულია აუ სუფიქსით. აქაც მას იგივე შინაარსი აქვს, რაც ქართველურ ენებში ვითარებით (მიმართულებით) ბრუნვას (სახელდობრ: ვითარების, როგორობის გამოხატვა, მაგ., კარგად, სუსტად; მიმართულების ან ადგილის გამოხატვა: ქალაქად, სოფლად; საგნის გარდაქმნა, სხვა რამედ ქცევა, მაგ.: გადაიჭ-ცა ქვად, ორთქლად).

ფუნქციები ვითარებითი ბრუნვისა:

1. ვითარების, როგორიცაც გამოხატვა

ა) ზედსართავი სახელი

ქაბუ არ ლ'აშ-აუ გლასჩალუალ  
აბუ ამან ძლიერად გააკერება‘

ბგლუმში წუწებ ჭადაკაბზ-აუ ეს კაბზა იშეჭალ  
‘საქონელსაც ადამიანის მსგავსად სუფთა ჰერი ესაკიროება‘  
თა არ ზაგრუპ-აუ ტსეუნ  
‘ჩეენ ამას რამენაირად ვიზამო (გავაკეთებთ)‘.

ბ) მიმღეობა

ფსულურ პგჭალ-აუ ჩარალ-აუ მაკუჭსაც.

‘კამეჩი გაყინულად (გაციებულად) ძლიეს მიიბარება (მიღის)

ეშნაპეზე ზაეოლებ ჩიგრაკტ-უ ცუპალ  
‘მისი უფროსი ძმა ქარხანაში მუშად იყო’.

### გ) ნაცვალსახელი

კუნა არ-არ ქაცუპუ  
წალი, ასე (ასედ) უფსარი

### დ) რიცხვითი სახელი (დროის შინაარსით)

ჟატტარარ-არ ჰავაერუაპებ აუქუ იპალ  
‘შეორედ (მერე) ნაღირები მათ კვალზე წაეიღნენ’  
კალაშ აფა-არ ზავებ  
კელაქში პირველად (წინათ) თუ როგორ წაეიღდა’.

### 2. საპნის გადამცვება, გარდამცვა სახელი

კაბუ დათქ ილუსაშე კალაშ ჰავაერუა დაქუ კუალშე  
‘აბუ მის მამასთან ერთად ქალაქში უფროს ძმხსთან სტუმრად, წაეიღდა  
(წვეიღნენ).  
ჩაბა ქლადოვში-არ ქოლხოზებ იპამბარს ცუქალ  
ჩაბა „კლადოვშიკად“ ქოლმეურნეობის ბელელში დადგა (შევიღა)  
კემაფუ ქოლხოზებ ცოჭ-არ იყარ ბა  
ზამთარში ქოლმეურნეობას რაც საქმედ აქვს, ბევრია’.

### 3. მიმართულითისა თუ ადგილის შინაარსით

შაქა-არ შეკუხარ ზეღაპუ დაცუპაშულიალ  
„ჟეკუში (შეკად) მოთავსებულ კურკლებთან მიჩოჩდა”.

### 4. ზმა ვითარებითი გარემოების შინაარსით (აბსოლუტივი)

შეგღუ შემ მაკუ აფგდილ ჰან-არ შაშებ იპალ  
‘შეჯინიბე ცენებისათვის თივის შესატანად (შეიტანოს რა) თავლაში შევიდა’  
ქურ საფხნ-არ ‘ურემი მე რომ გაერექო’.

აუ სუფიქსი ძირითადად ზმის ფორმანტიუაა, რის გამო ის არ მიაწიათ  
ბრუნვის ფორმანტად. პროფ. ბ. იაკოვლევი წერს -აუ სუფიქსის შესახებ:  
“Наконец, следует упомянуть еще о постоянно употребляемых в кхачском  
языке сочетаниях слов, с помощью которых выражаются русские сочетания  
обстоятельственных со сказуемым (сочетания наречия, с глаголом). В этих  
случаях, обстоятельственные слова по черкесски выражаются дополнением  
с особым окончанием.”

Наприклад:

გუსერტალტ-აჭ ტარად კრატერ

Радостно поет (буквально: песню скажывает, говорит)

შე-აჭ ტარად კრატერ

Сияя поет.

(„Краткая грамм. алфаг. языка“, гл. 41).

ჩევინი შეხედულებით -აჭ სუფიქსი სახელიან შეწყობით გამოსატავს გარკვევით ვითარებით ბრუნვას.

ქვემოადილეური ვითარებითი ბრუნვის ტარკვენტი წამოღებულია ზმნის გარკვეული ფორმისაგან, აბსოლუტივისაგან. სახელმა, პირველ რიგში ზედსართავმა სახელმა, ზმნის აბსოლუტივის ფორმისაგან გაიჩინა ფორმანტი -აჭ. აკი მეტად ჭყიდრო შინაარსეული და სინტაქსური მსგავსებაა აბსოლუტივისა და ზმნისართს, აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში დაყენებულ ზედსართავ სახელს შორის, ორივე სიტყვა წინადადებაში ეწყობა ზმნას ვითარებითი გარემოების გამოსახატავად.

მაგალითად:

ქვემოად. შე-აჭ ტარად კრატერ

რუსულად ციდა ითვის შეწყობებში შეიძლება დაესვათ კითხეა: როგორ მღერის? იგივე კითხეა, რაც დაისმის ვითარებითი გარემოებისთვისაც. მაგ., როგორ მღერის?

ქვემოადილ. დალტ-აჭ ტარად კრატერ  
ქართ. კარგად მღერის.

ქვემოადილეურის ვითარებითი ბრუნვის ფორმის წარმოშობის საკითხი შეგძლება დაუკავშიროთ ქართული ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის წარმოშობას. ხომ არ შეიძლება ვითიქროთ, რომ ქართველეური მიმართულებითიც ზმნისეული წარმოშობისაა. ამის უფლებას იძლევა ქველი ქართულის მასადარის ბუნება, როცა ის დგას ვითარებით ბრუნვაში. ამის შესახებ პროფ. აკ. შანიძე წერს: „პირდაპირი ობიექტი, ჩვეულებრივ, შეიძლება პირიან სიტყვას ჰქონდეს ქართულში, ბრუნვიანს კი არა. მაგრამ უძელესი ძეგლების ენაში გვხდება შემთხვევები მისი ხმარებისა ბრუნვიან სიტყვასთანაც, სახელდობრ, როცა საწყისი ზმნისა (მასდარი) ვითარებით ბრუნვაშია დაყენებული, ამას, ევროპ. ენების ინფინიტივის მსგავსდ, შეიძლება პირდ. ობიექტი ჰქონდეს, მაგ. „ბრძანა მიცემად იგი მას“ [რუსულად: велел дать ее (голову) ей], „იწყეს ზონგბად მცირე ტალვარი“ (რუსულად: Начали строить маленький шатер и с молотом, ქველი ქართული ენა“, გვ. 33).

შესაძლებელია ძველი ქართულის მასდარის (ვითარებით ბრუნვაში) ეს ზმურობა (პირდაპირი ობიექტის დართვა) იყოს შემონახული იმ დროიდან, რო-

ცა ზმნასაც გააჩნდა—ად ფორმანტი გარკვეული შინაარსის მატარებელი, ე. ი. ქართული მიმართულებითი ბრუნვის ფორმანტიც ზმნისეული წარმოშობისა იყოს...

### დ ა ს პ 3 ნ/პ

ქვემოაღილეულს ამჟამად გააჩნია საკუთარი ფორმით სამი ბრუნვა:

1. სახელობითი — რ სუფიქსით, 2. მიცემითი — მ, (მშ) სუფიქსით და
3. ფითარებითი — პრ სუფიქსით.

სახელობითისა და მიცემითის ფორმანტთა პირველადი ფუნქციაა სახელის განმსაზღვრელობა. ამჟამად — რ და — მ ფორმანტები ორი ფუნქციის მქონეა. სახელის განუსაზღვრელ ფორმაში იშვიათი ხმარების გამო ეს ფორმანტები კარგავენ განმსაზღვრელობის ფუნქციას და რჩებიან მხლობ ბრუნვის ფუნქციით.

მეოთხე ბრუნვა, მოქმედებითი, საკუთარი ფორმით, ჩამოყალიბების პროცესშია. -ჭ სუფიქსი სახელისა, -მ სუფიქსის განმსაზღვრელობითი ფუნქციის დაკარგვასთან ერთად, ხლება დამოუკიდებელი ბრუნვა.

## თ. გორიაშვილი

### დიალექტიზმისათვის პალიშის ძეგლები

[

საქონის დასმისათვის დიალექტიზმის პალიში ძველს ჩართული

ჯერ კიდევ იაკმ გრიმი ამბობდა: ჩვენი ენა ჩვენი ისტორია უნდა იყოსო. ენა, საზოგადოდ, და დიალექტი, კერძოდ, ისტორიული ძიების მნიშვნელოვანი წყარო არა მხოლოდ იმ რამდენიმე ათეული საუკუნის მონაკვეთზე, რომელიც ისტორიული რეტროსპექტიის შესაძლებლობას ქმნის, არამედ ხშირად ამ პერიოდს მიღმაც. დიალექტის, და მით უმეტეს, ისტორიული დიალექტის მონაცემი მოწოდებულია გადაწყვიტეს ხალხთა ისტორიული წარსულის არა ერთი და ორი დანისლული საკითხი...

ანგლო-საქთა ტომბის წარსულის შესახებ ფრიდრიხ ენგელს ერთი საუკრადლებო აღვილი მოეცოდა: «! Цлевиг любопытная страна... Достаточно поездить по стране и убедиться, что основное ядро англичан произошло из Шлезвига... я уверен, что «юты»..., перекочевавшие в Англию вместе с англами и саксами, были фризами, а датская иммиграция в Ютландию и Шлезвиг начинается лишь с VII или VIII века. Доказательством этого служит сам пынешний ютский диалект» (ხაზი ჩვენია, თ. ვ. ფრ. ენგელის წერილი მარქს 1864 წ. 2. XI-ს, ქ. მარქს დ. ფ. ენ-გელის, კონკრეტურა, გვ. 204, 1932).

ჩვენი ძიების საგანია პალიშის ძეგლში დიალექტური რეალიების მიკვლევა. ძეგლში უდაოდ მოცემულია ისეთი ენობრივი მასალა, რომელიც ასეთ კვალი-

1 წინამდებარე ნაკვეთი წარმოადგენს შესავალს შრომისას, რომელსაც ავტორმა უწოდა „დიალექტი მებისათვის პალიში და გლოსი“ და რომლის სრული სახით პულიკაცია ამჟამად სხვადასხვა „მიზნების გამო არ მოხერხდა.

მსო გამოკვეყნება მრმავლში ვარაუდობს დასაბლებული თემის გაშლას შემდგომი მოცულობით: 1. ფონეტიკური შენიშვნები, 2. მორფოლოგიური შენიშვნები (ა. სახელები, ბ. ზმნა), 3. საკუთარ სახელთა ზოგი თვალისებურების გარკვევა, 4. სიტრაქსური შენიშვნები და 5. ლექსიკური შენიშვნები. ცალკე იქნება დამუშვებული საკითხი პალიშის შეგლის სადაურობის შესახებ (ბერძნულ და სომხურ ვერსიებთან „შედარება“). ასეთი შედეგნილობა პირობითია და მასი მონაკლინუაცია ავტორის მიზანს არ შეადგენს. პირუკუ, პალიშის ძეგლში წარმოდგენილი დიალექტური მასალის მეცნიერული ანალიზი ბუნებრივად გულისმობას არ ერთეულს სამეცნიერო ძალას, არამედ გაცილებით მეტს.

ავტორი ულრემესს მადლობას მოახსენებს პროფ. ა. რ. ნ. ჩიქობავას რიგი არსებითი ხასიათის შენიშვნების მოწოდებისათვის და იმ ფაქტოურ შეცომებს მითითებისათვის, რომელიც აცილებულ იქნა.

უიკიცის ჰერობს. დიალექტიზმების დასაფენად ენობრივ მოელენათა ერთობლივის ყველა დეტალი ფასეული ჩევნების მომწოდებელი შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომ შექლებისამებრ, ჩევნ შევეხებით ძეგლის ენობრივი მასალის ყველა იმ მხარეს, რომელიც ამ თვალსაზრისით უტევი არ იქნება, ბუნებრივად, აյ ჩევნ მოგვიხდება ზოგიერთი ზოგად-ეროვნული მოსაზრებისა და დებულების გათვალისწინება. აյად. ნიკა მარმა პირეველმა არის უნივერსალური საკითხის რეკვეში არ არის კონცენტრირებული და ამდენიად ფრაგმენტარულ ხასიათი ატარებს.

ქართული ენის ყველა კოცხალი კილო ერთნაირი წარმოშობისა არ არის. ნაწილი უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართული ენის ისტორიულად ცნობილი პერიოდის გასწერივ მომენტი მაპოლარიზებელი ენობრივი პროცესების წყალობრივ, ნაწილი კი ენობრივი ინტეგრაციის პირობებში უნდა აღმოცენებულიყო. დიალექტური საზღვარი ჭრელოვის როდია ეთნურ-პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრების ზუსტი თანხმდენილობა. ისტორიულ ცნობათა ნაკერწელები და ზოგი ეთნურ-კულტურული დეტერმინატი ამ დებულების მაილუსტრირებელია. მგვირად, ჩევნ ვასხვავებთ, ერთი მხრივ, ისტორიული პერიოდის ქართულის წინამორბედი ტომის (თუ ტომების) ენის ლინგვისტურ მოვლენებს, რომელიც ქართების ენის ჰეგიმონის პირობებში დიალექტიზმებად იქცენ (და ასეთ დიალექტიზმები არსებოთად სცადასხვა დიალექტური ფენების პრობლემას ეგჯინება) და, მეორე მხრივ, დიალექტიზმებსაც კუროდებოთ იმ რიცხვებისა მოვლენებს, რომელიც წარმოშენებ ძევლი სამწერლო ქართულის ნორმებთან დაკილების შედეგად. როგორც პირეველი, ისე მეორე რიგის დიალექტიზმები უკუფენილია ძევლ სამუშალო ქართულში და, თუ ეს მეცნიერული თვალთახედების არეში ერთის შეხედეთ არ გამოვლინდება, მათ გამოსამუშავენდლად მეცნიერებას საგანვებო შეცურეა ქმართებს.

ძევლი სამწერლო ქართული არასოდეს არ უნდა ყოფილიყო ენობრივად მონალითური. მხოლოდ მწერლობის არსებობა მასზე მოგვაჩვენებს მას მონალითურ ბირთვების სინამდვილეში ეს ბირთვი დასერილია სულ სხვადასხვა თვისებებისა და ოდენობის ანონიმური მოვლენებით, რომელიც დღეს ჩევნ თვალთახედებაში ცნება ქართულის სახეობად გადატყდებიან. დიალექტური ფაქტების ამ შენილბულობით და საერთოდ მათი სიმწირით აიხსნება მეცნიერული ტრადიციის ის სისუსტე, რომელიც თან ახლავს ძევლს ქართულში დიალექტიზმების პრობლემის რეკვეს. ემპირიკული მასალის სიღარიბე არსებითი და ძირითადი დაშრულებაა ამ შემთხვევაში, რადგან ძევლ სამწერლო ქართულს არ დაუტავს ლიტერატურულ დიალექტზე (ე. წ. *Lingua franca*-ზე) შესრულებული არც ერთი ძეგლი, თუნდაც იმ ტიპის ძეგლი, როგორიცაა მეცნიერებაში ქარგად ცნობილი, საქსონურ ლიტერატურულ დიალექტზე ნაწერი ჰედიანი, ძევლ სახხეთ-ჩუსულ, აგრეთვე ლიტერატურულ დიალექტზე აღმოცენებული იპატის მატიანე, ძევლი რუსული სასიტორიო მწერლობის ეს უძველესი ძეგლი და მისთ...

ჩევნი ძიების საჯინისთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ფრიდრის ენგელ-სის ის შესანიშნავი გამონათქმები, რომელიც მან დაგვიტოვა თავისს „ფრან-

კულ დიალექტი<sup>1</sup>-ში (უფრო სწორად, თავის ნაშრომში „ძეველი გერმანულების ისტორიისათვეს“)<sup>2</sup>, სადაც იგი W. Arnold-თხ, W. Braune-სთხა და M. Heyne-სთან შეკამათებისას ზოის ტომობრივი ერთეულის (გერმანული ტომობრივი ერთეულის) და ტომობრივი ენის (გერმანულთა ტომობრივი ტერიტორიების) პრინციპზე დაყრდნობით დიალექტთა კლასიფიკაციას. უკან ენგლისთან, რომელიც ზოგადი ენათმეცნიერების პრომლებებს ჩხილავს მცირო იეზიჩირში კონკრეტულ ისტორიულ ძეგლსათან, დაკავშირებულია ფრანკული დიალექტის ახალი გაშუქება და განსაკუთრებული მისი დამოუკიდებელ დიალექტის ფაქტი.

ერცი ისტორიული ექსკურსის საშუალებით მან ავგიშერთ ფრანკული ტომების ენის ისტორიული როლი ვერმანეთის სხვა ტომების მიმართ. როგორც თვით აქტორი ამბობს, მან ნათელყო, რომ ფრანკული დიალექტი უკვე VI—VII სს. წარმოადგნდა დამოუკიდებელ დიალექტს. ფრანკული ტომები გერმანული ტომების უბრალო ნაჩერებს კი არ შეადგნდნენ, არამედ სარულიად დამოუკიდებელ, ერთერთ ძირითად გერმანულ ტომთაგანს—ე.წ. ისკერძებს, რომელთაც თავისი განსაკუთრებული დიალექტი და ამ დიალექტის შიგნით კილოკავები ჰქონდათ, რა დიალექტებმა დღემდეც კი მოალწიეს. ლრმა ენათმეცნიერული ანალიზით ენგლისი გვისურათებს აწინდელი ეკროპის რომელ ტერიტორიაზე სახლობდნ ფრანკების ენობრივი და ტომობრივი შთოქომაგანონი (ფრანკთა სალიური კილო დღეს კუცხლობს ნიცერლანდურში და მის თას ფლამანდიურ და ჰოლანდიურ კილოში; ფრანკების რიცუარული კილო [რიცუარული, როგორც ენგლის ხაზგასმით აღნიშვნას, ნაბეჭირია ვიწრო გაგებით]—წარმოდგენილია რაინულ-ფრანკული კილოს (სახით). ენგლისის სიტყვა-ხმარებაში საყრელოდებო ტერმინი დიალექტი, რომელსაც იგი ამ ნაშრომში ხმარობს ეთნურ ერთეულთა ენის (კლემენტი ჯავა) ალსანგშნავიდ გერმანეთის ტომების ენობრივი კლასიფიკაციის დროს.

როგორც ცნობილია, გერმანეთის ტომობრივი ენების კლასიფიკირებისას ფრ. ენგლისი არ კმაყოფილდებოდა ოდენ-ფონეტიკური მარკენებლებით, და რაც თითქმის იგივეა, ბევრათგადაწერის აღმავალ-დაღმავლობის კრიტერიუმით (რადგან ის მეორეული ხსიათისა) და თავისი ნაშრომში „ძეველი გერმანელების ისტორიისათვეს“ ტომობრივი ენების ლინგვისტური დახსინთებისას ენობრივ მოკლე ენათა მთელს კომპლექსს ითვალისწინებდა.

ამგარად, ენგლისის კონცეფციით, ტომის ცნება მცირდოდ გადაჯაჭვეულია დიალექტის ცნებას, თუ დიალექტი ტომის ენაა, ტომისავე ისტორიაში უნდა ვეძიოთ დიალექტის წარმოქმნა და მისი შემდგომი განვითარება, ენათა გენეზისი და განვითარებაც ჩამარხულია ტომების დაყოფისა და გაერთიანების ისტორიაში, საერთოდ, ხალხთა ისტორიაში.

<sup>1</sup> K. Marks, Фр. Энгельс, Сочинения, т. VХI, ч. I, 1937. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეგვლის ამ ნაშრომში მოცემული აზრების ჩვენი განხილვადა სადათდ შეიძლება იქნეს მინეული, რადგან ენგლისი გარკვეულ ენობრივ მასლას ეხება და თვით ამ მასლას იქთ არ გააქცის თავისი მოსახულებები. მარც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგს შემთხვევაში მათი გავრცემა არ უნდა იყოს გადაპარებეული.

ჩაც შეეხება კერძოდ ქართველური ტომების ირგვლივ წამოჭრილ ეთნურებობრივ საკითხთა მწერივს, მას ჯერ კიდევ 1908 წელს, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ 1 წიგნის დასაწყისს თავში შესძლენა თვეისი შესანიშნავი ნარკევე.

ჩევ ეხელმძღვანელობთ ამ ნაშრომის მეორე შესკებულ-შესწორებული გამოცემს 1 თავითვე<sup>1</sup>, რომელიც შეიცავს ორ ნაწილს: 1. „ქართული ენა-ეილორები“, მათი დამახასიათებელი თვისტებანი და ბუნება“ და 2. „ქართველობა სხევა-დასხევა სტრომ სახელები, სამშობლო და უძველესი ბრნადრობა“. ჩათქმაუნდა, მცენიერების დღვევანდელ დონესთხ შეფარდებით ზოგი დებულება მოცემული სახით სადომა (ძაგ., ქართველური ჯგუფის ენებისათვის ენა-კავების წოდება, აფხაზურის მოთავსება ქართველური ენათ ჯგუფში და არა აფხაზურ-ალილურში და მისთ). მაგამად ალბათ, თვით პატიცებული ავტორისთვისაც. მაგრამ დღემდის ჩენი მცენიერების ფასულ შენაძერად დარჩა პროფ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ანალიზი ქართველ ტომთა ეთნონიმებისა, და ამ ტომების წინა-აზიაში ყოფნის ეტაპების ისტორიული გაშეება.

აღნიშნულს გარდა, ჩენთვის საყურადღებოა მკლევრის, ზოგი დებულება, მაგ., რომ მწერლობის შექმნაში სხვადასხევა ქართველ ტომს „თავისი წელილი აქეს შეტანილი ამ საერთო საუნივერსი“ (დასახ. ნაშრ., გვ. 4), თუმცა ხვერორი იმასაც აღნიშნავს, რომ „ჩა ნიადაგზე იყო აღმოცენებული იგი უცდელს დროს, ჯერ გამოჩეული არ არის“ (დასახ. ნაშრ., გვ. 4). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფ. ივ. ჯავახიშვილის დებულება ქართულის ენობრივი ნარევობის შესახებ: „საერთო ენის ქართულის“ შექმნაშ შთანთქა შემდეგ არა ერთი და ორი ენა-კავი, როგორც, მაგ., თვით ქართების, მესხების და იბერთა ენა-კავები (დასახ. ნაშრ., გვ. 4) და „ამის გამო, რომ თუმცა ქართულმა ქართ-შეს-იბერული შთანთქა, მაგრამ მაინც უკეთესერს, ჩაც ქართულშია, მთლად ქართების, მესხთა და იბერთა ენა-კავების კუთვნილებად. ეერ ვიცნობთ“ (დასახ. ნაშრ., გვ. 4).

წარმმართავ დებულებათაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აკად. ნ. მარის ერთოთი ნაშრომის ის საყურადღებო აღილი, რომლის თანახმად თითოეულ ტომობრივ ენას თავისი დიალექტი უნდა ჰქონდა, რომელიც სამწერლო ენას ან სხვა ფაქტორს უნდა ჩაენთქა, ან არადა იგი გადაეკვარებინა სხვა დიალექტს ან ენას. ილოური ფორმები ზოგჯერ სთიშავენ სამწერლო ფორმებს, ამბობს აკად. ნ. მარი, მაგრამ ამის მიეცვეთ მნელია, ჩადგან „многие из таких выражений и говоров исчезли под влиянием различных факторов, особенно пострадал в этом отношении картский язык, лежащий в основе грузинского литературного языка и под влиянием последнего утративший все свои наречия. И можно себе представить, какое разнообразие звуковых явлений представляла Грузия в эпоху сохранности не диалектов... Скращение диалектических явлений происходило ее только в пределах каж-

<sup>1</sup> ქართველი ერის ისტორია, 1914 წ.

дого языка особо, скрещивались различные языки одной и той же группы, скрещивались же языки различных групп, в языке одной группы отливалась диалектические явления других групп».

ტერპინი საქართველო კუთხური ეთნონიმის ზოგად-ეროვნულ სახელმი დაცულის დემონსტრაციას წარმოადგენს და როგორც პროფ. ქ. კეკელიძე აღნიშნავს იგი „არ არის ენთოგრაფიული, არამედ ნაციონალურ-ელტურული, ის სხარებაში შემიღის, ყოველ შემთხვევაში, არა უძრეს XI საუკუნის“<sup>2</sup>. ეკად. მარის კონცეფციით საქართველოს ეროვნული სხეულის ისტორიულად ცნობილი შემაღლებული ტომები საბადასხვა ეთნური ტიპის მატარებელი „იავერიანი“ არიან<sup>3</sup>; ჭორობის აუში თავმოყრილ ტომთა რიცხვში, ხალიბების, კოლხების ანუ იძერ-ტიბარების რიცხვში «первоячально как будто не было ни хайен, как себя называют армяне, ни картвелов, как себя называют Иверы»<sup>4</sup> (ხაზი ჩერნია, თ. გ.).

Հայութին օգեր-վարտո եղալոցն առ մոյտուցքն օհ Յոլուցիս-կոլ-  
Շուրով և սուրպացանց, հոգեցաւ սամերտուան ճամփալ ոյցիրտա, ան հաւ ոցոցք,  
տշիալ-ընձարկուա ան օգերտա՝ յոնցի Ծալուս զաջմոնածիրուուս զիմանսու  
առմուս. սայսահուցուցաւ ֆարշահուտ, ոյ սաւաւ յարտոցի նոնաժորուածնեն; ամո-  
ւումաց, ան նահցաւ զաօդ. Ե. Զարու Յոհուատուա օգեր-վարտոցն ըլլուցքնեն. ովքան  
զամունոնահու ոցու սեցացքն օգերտա անց ոյցիրտա սայսահուցուցաւ (տայգաձախորդց-  
լաւ շորուես սատացքնեն հոմ մըցի ծարուածնեա) աւ յարտոցն սայսահուցուցաւ  
(չպայ թիւյրուս աշխմու մըցի ծարուածնեա)».

<sup>1</sup> вб. было «Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по латным яфетическим языкознания»—Избранные работы, с. 4, 1933, № 55.

<sup>2</sup> იხ. ქ.: კერალის ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I გვ. 19.

<sup>3</sup> См. Н. Марр, Племенной состав населения Кавказа, 1920, 22: 51.

<sup>4</sup> Батум, Арлагаш, Карс исторический угол...

<sup>5</sup> ପାଶୁନ୍ତି, ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ, ୨୩, ୩୦,

Фа́рмоподгру́нда са́куютиро́й յа́ртата յна ցցնենիսу́րա́д—ա́ր զուրա. օսტ్րոնու́լու վյահրու́ծի յա́рտան մշեսա́խը նացունց պատճենն ցանցուն և օսուց գակցե- ծուսացուն մերժու մշուն մասալու (հաւ տցու սաարայ յարտանուն մմագուն- հյոման մոտսաւ յեթա), եռու յարտայու յրուն յուղանունու օսტորուն տցա- սանրունու ֆա́рмоподгру́нда յա́ртան յու տպար սоставной из нескольких  
якобы народов-примитивов (картов, солов, месков, колхов) в наш край проникают позднее, после армян, гименно после хайо-хайков  
с их христианской Культурой<sup>1</sup>.

უცხოელმა ისტორიკოსებმა ქართველ ტომებს იმ დროს მოუსწორეს, როდესაც ისინი, დაახლოებით დღევაზე ტერიტორიაზეც კი რომ ავიღოი ვარა-უდი, მეტად ჭრელ ეთნურ კონგლომერატს წარმოადგენდნენ. ჩენ არ ვიცით, რა ენობრივ თანამიმართება იყო მათ შორის, ამის შესახებ წყაროები არა-ფრს გაღმოვცემენ; ერთერთი მეცნიერულად შესაძლებელ მოსაზრებათაგანია. დაუშვათ, რომ ეს ეთნური ერთეულები განსხვავებულ ენგზე თუ არა, სხვადა-სხვა ეთნურ კილოგზე მაინც მეტყველებდნენ. წყაროები მეტისმეტად დამა-ჯერბლად გვიხატავენ ჯერ კიდევ ძევლი წელთალრიცხვით ამ ერთეულთა ეთნურ თავისთავადობას და მეტისმეტად მჭვერმეტყველია მათი ეთნური სახელ-დება, რომ ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხოთ. ძევლთავან ცნობილნი ტაბალ-ნი, მუსკინი, კასკინ და სხვანი საისტორიო ასპარეზზე წარმიგვიღებიან ურ-თიერთ განსხვავებული ეთნური ნიშნების მქონე ერთეულებად, განსხვავებულია მათი კულტურულ-ისტორიული როლიც ამ ასპარეზზე. ჩენი ზეცნიერების თანა-მედროვე გვზი და ორალური მონაბოეარი შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპა-რაკოთ ტაბალურს ანუ თუბალურს კულტურაზე არა შემოლოდ „შესაქმეთა“ შეინში მოხსენებული ეთნარქების ოდინდელი მოსაქმეობის დახასიათების სა-ფუძველზე<sup>2</sup>.

ენათა ქართველური ჯგუფის წევრთა უმრავლესობაში ჩატარდება ფეხის მიღებით (თუ ფეხები), რომელსაც ცნება ქართველურისა ვერ ჰქონავს. ამ გაგებით სეანურსა და ქართულს, მაგალითად, ქართველურობის გარდა დაუცავთ ისეთი რამ, როს გასარკვევეად ჩევნ სხვა ენებისათვის—კაცისისური, წინააღმდეგის ძევლი ენებისათვის—მიმართვა დაგვჭირდებოდა.

“მეგარად, ზემოთ დიალექტისა და დიალექტიზმების შესახებ ნათქამის შეჯამებისას მიეიღოთ: ჩოდესაც ძევსს ქართულში დიალექტიზმების შესახებ კლაპარაკობთ, ვასხვავებთ ქართების, ან ქართულ ენასთან სხვა ტომობრივი ენების (ან ენის) შერევა-შეჯვარებინების შედეგად ქართთა გაბატონებულ ენაში ჩაღვრილ დიალექტიზმებს და თეთი ქართული ენის ისტორიულ პერიოდში წარმოქმნილ დიალექტებსა და დიალექტიზმებს.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ეროვნული ენის განვითარების შემდეგ შესაძლებლობათ აუკრიბენ, რომელიც ჩვენი დასაცავის საგანასაც შეაღვენენ: «В людом

დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>2</sup> იქ. გ. ჩილაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, I, 1937, 23: 288.

современным языке стихийно-возникшая речь возвысилась до национального языка отчасти благодаря историческому развитию языка из готового материала, как в романских и германских языках, отчасти благодаря концептуализации диалектов в единий национальный язык, обусловленной экономической и политической концентрацией<sup>1</sup>.

საქართვისინმ მწერლობის ჩასხვა და აყავება ქართულ ენაზე იმავე ნიშნით დახმარდება; რა ნიშნითაც ხასიათდება ყოველი სალიტერატურო ენა, რომელიც გარკვეული მწერლობით არის შეპირობებული, ე. ი. ეს ენა ან რამდენიმეგა როგორც წევრ ამას ეხედავთ სხვა ერების სამწერლო ენათა მიმძირ, როდესაც სხვადასხვა ენობრივი ნაკადი თავისთავადობის თვალსაზრისით მეტად საგრძნობლად არის გამოკეთილი, ან ერთი, როდესაც ჟულტურულ ჯგუფის გარემო კველა სხვა ენობრივ ნაკადს ერთ ენობრივ ნაკადს უქვემდებარებს და აბატონებს მას.

Յուրաքանչյուղում մագալութեա առօտեա սածուառութ զաթարունեցամց ար-  
և կեցած տակու լուսարութիւնը դուռը մարտ սածուառութ աշխատութ աշխա-  
տութ աշխատութ աշխատութ աշխատութ աշխատութ աշխատութ աշխա-

ჭირს ქართული სალიტერატურო ენის მონოლითობაზე ლაპარაკი, როდე-  
საც ჩვენ ამ შერივ არაფერი ვიცით მისი ენობრივი წარსულის შესახებ, და ამ  
მოგვეპოვება ძელი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სათანადო  
სიძეველის გამაშუებელი დოკუმენტები. ჩვენამდე მოტანებული წერილობითი  
ძეგლები არას გვაუწყებენ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ძეგლი ქარ-  
თული სამწერლო ენა, ან რამდენი იყო იგი: ერთი, როგორც იგი ახლა გვესა-  
ხება, თუ რამდენიმე? ჩვენს ხელთ არის მხოლოდ მოსაზრებათა წყება, რომელ-  
თავან შეცნიერულად უცილობელია, მაგალითად, რომ ძველი ჭარბული  
სამწერლო ენა რამდენიმე კილოს და ენის სტილიზაციას  
მარჩება წარმოადგენს. მაგრამ რომელია ეს კილოები (თუ კილო), ძნელი  
მისაკვლევია. ძელი ქართული სამწერლო ძეგლების ენა ამ თვალსაზრისით არის შესწავლილი.

<sup>1</sup> К. Маркс и Фр. Энгельс, Немецкая идеология, 1934, Партизлут, 23. 414.

<sup>1</sup> რომელთა „ენიბრივ“ დახსინუობებს კარგად იძლევა და აგრეთვე ჩამოსულის იმ შეჩერებებს, რომლებიც ამ დიალექტებით სარგებლობდნენ, ანტიკურა ხანის ვიმე ანტიკურა მარკივისი; ამის შესახებ იხ. «Античные теории языка и стиля», О Г И З, 1936 გვ. 142—143.

საკითხის ამგვარად დაფენება ნიშნავს შევლი სამწერლო ქართულის კულტურულ-ენობრივი ისტორიის გათვალისწინებას. რაღაც ქართული მწერლობის მქონე ენაა, მიტომ, ბუნებრივად, მისი ისტორია მჭიდროდ არის გადაჯაჭული მწერლობის მატარებელ ცენტრებს. საშუალო საუკუნეებში საქართველოს შიგნით და გარეთ — უცხოეთში იმდენ სამწერლო ცენტრი იყო, რომ ეს არ შეიძლობოდა წერილობითი ძეგლების ენას არ დასტურობოდა. არა მხოლოდ უცხოეთში გამნეული სამონასტრო ცენტრების წილიდან გამოსული ძეგლები უნდა განსხვავდებოდნენ ენობრივად, არამედ საქართველოს შიგნით არსებულ სამონასტრო კერძოში შემუშავებულ-შექმნილი ძეგლების ენა, უმჭველია, ამ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად სათანადო დასკვნებამდე მიგვიყვანს.

აქეც მხედველობით არ უნდა იქნეს გაშევებული სათანადო გარემოება. სახელდობრ ქს, რომ როგორც ჩვენი ქართული მწერლობის მიმოხილვიდან აშეარავდება, ესათუის საგანმანათლებლო კოლექტივი სრულიადაც არ გულისხმობს იმას რომ მისი წევრები ამ საგანმანათლებლო კერის რაიონიდან არიან წარმოშობილი. პირიქით, იქ თავს იყრიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, მაგრამ რანაირი ღიალექტური ნაირობაც არ უნდა ყოფილი იყო. ღროთა განმავლობაში, ხანგრძლივი ზიარი ცხოვრების, და შემუშავებული ენობრივი ნორმატივიშის შედეგად, საბოლოოდ მაინც ერთს ენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

იმის წარმოსადგენად, თუ რა სირთულით მოცული გარემო ახლავს თან ყოველს ასეთს საგანმანათლებლო კერის ძევლი ქართული ენის პერიოდისათვის, ავილოთ ტაო-კლარჯეთის საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის ერთერთი პუნქტში — შატერდში — გადაწერილია ჰადიშის ძეგლი და რომელიც გარკვეული ხანისათვის სამართლიანად იყო მიჩნეული საქართველოს კულტურის მაჯისცემის დედამართვად.

ისტორიული ცნობების მიხედვით, ტაო-კლარჯეთის მხარე ჯერ სპარსთა ბატონობამ მთაოხრა; VIII საუკუნიდან კი, როდესაც თითქმის მთელს მასლობელს აღმოსავლეთს არაბთა თარეში ავერინებს, იგი ჩდება არაბთა ბატონობას გამოქცეულთა თავშესაფრად. იქ ჩაისახა და აყავდა ქართველ კურაპალატების სახელგანთქმული შტო, რომლის ერთერთი წევრი იყო ის აღზენეს კურაპალატი (შეილით დავით ერისთავით), რომელიც ცოცხალი მომსწრე უნდა ყოფილი იყო ჰადიშის ძეგლისწერისა (იგი 10 ს.-ის, პირველ ნახევარში გარდაიცალა), რომ აღარაფერი ვთქვათ ჰადიშის ძეგლის სოფრონის ბოლოსიტევაობაში შესანდობრად მოხსენებული არსენის, დავითის და აშოტის შესახებ. იქვე ჩაეყარა მტკიცე საძირკველი ჩვენი მწერლობის აყავებასა და წინსვლას მთელი ხუთი საუკუნის ქსიგრძებზე. VIII საუკუნიდან აქ ისინი იწყებენ დაშენებას და IX საუკუნის პირველ ნახევარში უკვე აღმართულია ამ კუთხის შესანიშნავ ნაგებობათა უმრავლესობა. ეს გრიგოლ ხანძთელის მოღაწეობის ხანაა.

ამ ხარის ადრინდელი ამორივენების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ გამომქვეყნებული აკად. ნ. მარი<sup>1</sup>. მისი

<sup>1</sup> იხ. მისი „ჩეტიე /Григория Хандат“, ТР, VII.

თეორიით, ჯერ კიდევ „პრეისტორიულ“ ხანაში იქ ბერ-კანი ბინადრობდნენ, შემდეგში არმენები დაემკვიდრნენ, და დასასრულ, იქ კვლავ ჭაბ-ლაზთა სახელმწიფოებრივიამ მიღიადა ფეხი, და მართლაც, VI საუკუნისათვის ჩეენ გვაქვს დამაქმაყოფილებელი ისტორიული ცნობები თუბალ-კაინების შთა-მომავალთა—ლაზების სახელმწიფოს არსებობის შესახებ<sup>1</sup>. შემონახული ისტორიული ტოპონიმიება ნათლად გვისურათხატებს ამ ინტენსიურ მიგრაციულ პროცესს. თუბალ-კაინთა დროინდელია, მაგალითად, ობიზას სახელწოდება. აქად. ნ. მარს გამორკვეული აქს, რომ «Օսმა თოცე Օපილჯა—Түңрәл-қайысская ქюорма слова, соотвествующая греческому Сапири»<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, შეშინაწარმოშობისა უნდა იყოს აგრძელებული „ოშეი“, რომელიც შეიძლება მეგრ. ჟან. შეა („შუა“)-საგან ნაწარმოებად მივიჩნიოთ (სომხური მიჯნაძორის ტიპისად). რეალურადაც არაფერია გასაკვირი დასშევებად მივიჩნიოთ, რომ სწორედ ზანური ტომები იყვნენ ობიზას პირველი მაშენებელნ. რაღაც VI საუკუნისათვის, პროკაპი კესარიელის ცნობით, ლაზებს თავისი მონასტერი ჰქონდათ იერუსალემის უდაბნოში, რომელიც იუსტინიანებ განაახლა<sup>3</sup>. ამას გარდა, ამ ტომების ენბრივ გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ ის ჭანურ-მეგრული დაბოლოება, რომელიც გვხვდება სწორედ ტაო-კლარჯეთის ქართულ ენაში: ობიზარი, მტბევარი, სომხითარი<sup>4</sup>. იმ დროინდნ, ჩაც თუბალ-კაინთა შენები არმენებმა დაიპყრეს, ამ მხარის ტოპონიმიამ შემოგვინახა მთელი რიგი არმენიზმებისა, როგორიცაა, მაგალითად: შატბერდი (რომელიც ისეთივე წარმოებისაა როგორც სომხური ამბერთი), მინაძორი, იშხანი და ა. შ.<sup>5</sup>.

ამ მოკლე ისტორიული ექსურსიდან აშეარვდება ის ფენობრივი სიურეალე, რომელიც უნდა დაემკვიდრებინა თუნდაც გრიგოლ ხანძთელის დროინდელ ტაო-კლარჯეთს. ჩეენ ამ შემთხვევაში იმიტომ ვიღებთ გრიგოლ ხანძთელს და მის გვიქას, რომ იგი თითქმის თანადროულია პალიშის ოთხთავისა-აფილობრივად გამომუშავებული ენის გარდა, რომელიც გრიგოლ ხანძთელს დახვდა. უკანასკნელს, როგორც სწავლულ ადამიანსა და მწიგნობარს თან უნდა მოეტანა თავისი ენა, რომლის ზოგს ნორმებს შეთისების მხრივ საკმაოდ ვრცელი არე უნდა მოეცვა. სამწუხაროდ, მეტისმეტად ჭირს თვით გრიგოლ ხანძთელის სადაურობის დადგენა. გორგი მერჩულს ყრუდ აქვს ნათვები, რომ გრიგოლში წამოიყენა თავისი თანამოსაგრენი და თითონაც წამოვიდა ქართლიდან ობიზას<sup>6</sup>.

<sup>1</sup> დასახ. ნაშრ., გვ. XXXV.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრ., გვ. XXII.

<sup>3</sup> იბ. ფეორგიევა, ტ. II, გვ. 192. ამას გარდა, იმ დროინდელი ლაზიკეს შესახებ იხ. ჟანაშია ამგრისის სამეფოს წარმოშობა, ტფ. სახურტის შრომები, ტ. I, 1936 წ., გვ. 266—276.

<sup>4</sup> იბ. A. Шанидзе, Два чано-киврельских сuffixa в грузинском и армянском языках, Зап. Восточного Отделения Имп. Русск. Арх. общества, 1916.

<sup>5</sup> ტერმინებს არმენულსა და არმენებს ჩეენ გვხარობთ არასახეობრი ცნების სახით, როგორც ეს აკად. ნ. მარს თავის აღრინდელ ნაშრომთა უმრავლესობაში აქვს მოცემული, არამედ ამ ცნების გვარობული გაგებით.

<sup>6</sup> „და მოიყანნა იგინი ქართლით ობიზას პირველად“, TR VII გვ. ვ.

გიორგი მერჩულის სიტყვა-ხმარებაში კი ქართლი მეტად პირობითი ტერ-მინია, რაღაც, როგორც იგი ამბობს, „ქართლად ფრიადი ქუყანად აღი-რაცხებას“<sup>1</sup>. ამგვარად, ძეგლში სრულიადაც არ არის ნაჩენები, თუ რომელი ენობრივი კუთხის წარმომადგენელი იყო გრიგოლ ხანძთელი, რის გმოც ჭირს ენობრივი დახასიათების მოხდენა. ამგვარადვე ჭირს, ტაო-კლარჯეთის თბედან გამოსული სამწერლო ძეგლების ორთოგრაფიულ მოვლენათა დახასიათებისას: იმის თქმაც კი, რომ „известность литературной среды, в которой писалось Житие, дает нам возможность установить поместный характер некоторых орфографических явлений, характеризовать ими особую грамматическую школу Тао-Кларджетию“<sup>2</sup>. არც რმის დამვებაა აგრე რიგად ადვილი, რომ რაკი ავტორის წარმოშობას და თვით ძეგლის აღმოცენების ადგილს შეგვიძლია მიყუთითოთ, ამიტომ „... мы получаем в нем материал и для выяснения диалектических элементов древне-грузинского литературного языка для приурочения их к данной области, как вкладов ее“<sup>3</sup>. შემდეგში, რასაკვირ-ველია, ეს ენა გაადგილობრივდებოდა, მაგრამ რამდენადაც იგი გარევეტლი ადგილიდან იყო წამოლებული, მას საკუთარი ენობრივი განსაზღვრებაც უნდა ჰქონდა.

ამგვარად, ნათქვამი მიგვითითებს იმ მეტად რთულს გარემოცეაზე, რომელ-შიც ჩაისახა და განეითარდა ტაო-კლარჯეთის საგანმანათლებლო სკოლა და რომლის წიაღიდან ჩვენი ძეგლიც გამოვიდა. სათანადო დიალექტოლოგიურ და დიალექტოგრაფიულ ცდათა უქონლობის პირობებში არ შეიძლება დაისვას ძეგლი სამწერლო ენის შედეგილობისა და აგებულების საკითხი სხვა კილო-გბთან მიმართებით, რაც ერთდროულად ნიშნავს გამოირკვეს ესა თუ ის ძეგლი რა ენობრივი წარმოშობისას.

როდესაც დიალექტის ცნებაზე ემსჯელობთ უნდა განვასხვავოთ ზოგა-დაც დიალექტის ორი სახეობა: ერთი, დიალექტის ჩვეულებრივი ცნება, რომლის მიხედვით დიალექტი გაგებულია, როგორც ენის შიგნით წარმოშობილ ენობრივ გადახრათა თავისილობა, ე. ი. ის, რაც კონკრეტულად წარმოგვიდგება რომელიმე რაჭულის, ფშაურის, გურულის და მისთანათა დიალექტის ანუ კილოს სახელწო-დებით, ან გაგებულია როგორც შედეგი გარევეული ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ტენდენციების დეფორმაციისა და ნიველირებისა მასზე მეორე ენობრივი კოლექტივის გაბატონების პირობებში.

დიალექტის ამგვარად განსაზღვრული ცნება არ არის დამყარებული. ამა-თუმი ენობრივი კოლექტივის სოციალურ დიფერენციაციაზე, ან უკეთ. არ არის უშუალოდ მისით გამოწვეული, რაც, რათქმაუნდა, არ გამორიცხავს სოციალურ დიფერენციაციას თვით ნაგულისხმევ ენობრივ კოლექტივს შიგნით; მაგრამ იგუ-ლისხმება. რომ ასეთი დიალექტის ენობრივი ნორმები საერთოა მასში არსე-ბული ყველა სოციალური ფენისათვის. ასეთ დიალექტს ჩვენ პირობითად „კუთ-

<sup>1</sup> დასახ. ნაშრ., TP, VII, გვ. მთ. (ტექსტი).

<sup>2</sup> დასახ. ნაშრ., გვ. VII.

<sup>3</sup> დასახ. ნაშრ. გვ. VII.

ჭურ დიალექტს“ ეუწოდებთ. მეორეა ე. წ. სოციალური დიალექტი, რომელიც იხმარება და კითარდება სოციალური დიფერენციაციის შედეგად. დიალექტის ამ სახეობას ჩვეულებრივ პროფესიულ დიალექტს ან პროფესიათა ენს უწოდებენ. პროფ. უირშუნსკიმ თავის ნაშრომში წამოაყნა სოციალური დიალექტის ცნება; როგორც შრომის სახელშოდებიდან ჩანს, იგი სოციალურ დიალექტს უპიროსისირებს ნაციონალურ (ანუ ლიტერატურულ) ენას. ასეთი შეპიროს პირება ჩვენც საესხვით მართებულად მიგვაჩნია, და თუ ჩვენ ელაპარაკებთ, „ქუთხურ დიალექტზე“, მხედველობაში გვაქვს ენობრივად უფრო მცირე ერთეული, ვიდრე ნაციონალური ენაა, ე. ი. ჩვენ ერთი მეორეს ვუპიროსისირებთ დიალექტის ორს ცნების ყველა აქიდან გამომდინარე შედეგით.

ამგვარად, ჩვენს ამრცანას შეადგენს განვიხილოთ ჩვენი ძეგლი როგორც ენობრივი დიალექტის, ისე სოციალური დიალექტის თვალსაზრისით. როგორც ლიტერატურის მოქლე მიმოხილვიდნ დავინახავთ, არც ერთს მკვლევარს არ უცდია ჰადიშის ძეგლი ამ მიღვიმით შეესწევლა. რაც შეეხება აյად. ნ. მარს, მან თავისს ადრინდელს ნაშრომებში ხაზი გაუსვა ამ ძეგლის ენის ხალხურობას. ის გარემოება, რომ ადრინდელ ეტაზზე აკად. მარმა მხოლოდ ხალხურობას მიაკცია ყურადღება, იმით აისწნება, რომ მარმინ იგი ძეგლის განხილვისას უმთავრესად ე. წ. ეულგარიზმებსა და დიალექტიზმებს ასხვავებდა (იხ. მაგ., TP, VI ფიზიოლ. გვ. XXIV) და მხოლოდ ამ რიგის უკანასკნელს ნაშრომში, საკითხი დააყენა მასში წარმოდგენილი სოციალური დიალექტის შესახებ ამ ცნების საქმიად თავისებური გავებით.

ერთი არსებითი საკითხი დარჩა კიდევ გასარევევი—საკითხი ძეგლისა და ახალი ქართულის თანამიმართებისა. უდაბი ჭეშმარიტებაა, რომ მკვდარ ენას დინამიურად გაგებული დიალექტის ცნება არ გააჩნია; მკვდარი ენას წიაღში ძეგლის კვლევის საგნად შეიძლება იქცეს მარტოოდნ დიალექტის სტატიურად წარმოდგენილი მასალა, ისიც იგულისხმება ისეთს მკვდარ ენაში, რომელსაც თანადროულობამდე წერილობითი ძეგლებით მოუღწევია. რაოგორუნდა, ძეგლი ქართული ენის ცოცხალ-მკვდრობის საკითხი გარკვეული დასკვნის გამოტანას გვავალებს: ძეგლი ქართული იმ რიგის მკვდარი ენა არ არის, როგორსაც განეკუთნება, მაგალითად, ეტრუსკული ნაწილობრივ და ხალდური, ე. ი. ისეთი ენები, რომელთაც უშუალო ენობრივი მემკვიდრეობა არ დაგვიტოვეს, ზეგრამ მათს ელემენტებს ჩვენ ვპოულობთ ცოცხალს ენებში (მაგალ., ხალდურისას ზოგიერთს კავკას. ენაში). ამ რიგის ენები მართლაც მკვდარს ერთეულს წარმოადგენენ. ძეგლი ქართული ენა-კი, რომლის სასიცოცხლო არტერია დღესაც მძაფრად შეიგრძნობა, როგორც პ. ჩიქობავა სამართლიანად შენიშვნავს: „ნაწილობრივადა მკვდარი ახალი ქართულისათვის, მკვდარ ენად ის არ ჩაითვლება“<sup>1</sup>. მართლაც, ქართული ენის განვითარების აწმყო მდგომარეობას ამჩნევია მისი ისტორიული წარსულის ღრმა კვალი, და მიუხედავად

<sup>1</sup> В. Жирмунский, «Национальный язык и социальные диалекты», Ленинград, 1936.

<sup>2</sup> იხ. პროფ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტფილისი, 1935, გვ. 5.

იმისა, რომ ძველს ქართულს ჩამოცლილი აქვს აქტუალური საკომუნიკაციო ფუნქცია იმის წყალობით, რომ ძველს ქართულს ახალი ქართული დაემჰკიდრა, იგი ნაწილობრივად დღესდღეობითაც ცოცხლობს.

მკვდარს ენაში დიალექტური ფარგლების შემოხაზვას გასაგები სიძნელე ახლავს. სიძნელე გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ მკვლევარი მოკლებულია შესაძლებლობას შესასწავლი ენობრივი ობიექტისაგან მიღებული აკუსტიკური შთაბეჭდილებით იხელმძღვანელოს. ის იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ მონაცემებით, რაც წერილობით ძეგლებს შემოუნახავთ, ე. ი. მას ცოცხალი მეტყველება კი აღარა აქვს ხელო, არამედ მწიგნობრობით აღბეჭოს გარევეული ენობრივი ერთეული. მას შემდეგ, რაც მწერლობა ფეხს იკიდებს, იგი ინტენსიურ ზემოქმედებას ახდენს ენის განვითარებაზე, ნებისით თუ უნებლივ უკარნახებს მას თავის ნორმებს. ეს იმის წყალობით ხდება, რომ სამწერლო ენა-ანელებს ენის სტრუქტურულ-სემანტიკურ განვითარებას, ახდენს მის კონსერვაციას, მუშავდება ე. წ. გრამატიკული ნორმატივიზმი, ჩნდება ზღვარი ზეპირ-სიტყვასა და წერილისტყვას შორის. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ცოცხალი მეტყველება თავის მხრივ არ იცავს ენობრივ არქაიზმებს. ამ მეტად რთულს ენობრივ პროცესში არქაიზმების მატარებლად სამწერლო ენაც შეიძლება მოვველინს და ცოცხალი მეტყველებაც.

დღემდეა განმტკიცებული აზრი, თითქოს ხალხური მასობრივი ენის ელემენტები მას შემდეგ შეიწრება ხოლმე სალიტერატურო ენაში, როდესაც ფეხს აიღამს საერთ მწერლობა, თითქოს ე. წ. *lingua vulgaris*-ები სხვადასხვა ენებში ვერ პოვებენ გამოძახილს ჯერ კიდევ სასულიერო მწერლობის ძეგლებში.

ავალ. 6. მარამ ჯერ კიდევ 1911 წ. იღიარა, რომ «тенденცია კ სближениЮ с живыми наречиями, т. е. качества, которые как прежде казалось, впервые внесены были в грузинскую литературу двумя столетиями позднее великим светским писателям»<sup>1</sup> ნამდვილად საკულტო ნაწარმოებებშივეა ასახული. სხვა შესწავლილ ძეგლებს რომ ვანებოთ თავი, პაზიშის ძეგლი მართალია *lingua vulgaris*-ზე შესრულებული ნაწარმოების ნიმუშად არ ჩათვლება, მაგრამ უღრესად საგულისმო მოვლენას წარმოადგენს მასში წარმოდგენილ დიალექტიზმების სიუხვის გამო.

## II

### ლიტერატურის მიმოხილვა, ნაზ. I

საკუთრივ პაზიშის ოთხთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურა საკმაოდ რიცხვმცირეა. ძეგლის ყოველმხრივი მონოგრაფიული დამუშავება დღემდის არ მოგვეპოვება. გვაქვს მხოლოდ ცალკეული შენიშვნები ამათური საკითხის შესახებ.

<sup>1</sup> იხ. T.P., VII, გვ. X, თუმცა იგივე ავტორი თავისს ადრინდელ ნაშრომში საწინააღმდეგ გა აზრისაა, რომ მხოლოდ საერთ მწიგნობრობის ენას დაედო საფუძლად ბალტური ენის ნირმები; იხ. მისი «История Грузии», 1906 წ.

ეს ძეგლი პირველად ბესარიონ ნიკარაძემ ჩატვა ს. ჰადიში სხვა ხელნაწერებთან ერთად. მისი გამოცემა სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოხერხდა. მოგვიანებით მისი შენიშვნები ამ სვანეთში ნაპოვნი ხელნაწერების შესახებ გამოქვეყნებული იყო უზრ. „მოამბეში“ № IX—X 1904 წ. სათურით: „სვანეთის ხელონაწერები“. ამ პატარა წერილში ავტორი მეტად მოკლედ და ზერელედ განიხილავს ნაპოვნს ხელნაწერებს და უმთავრესად აჭყავეს მათს ტექსტუალურ შინაარსს. ამ წერილის შესახებ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა «ვიზანტიური ხრომენიკა»-ში (ტ. XII, ნაკვ. 1—4. 1906 წ., გვ. 438—439) მოათხესა მოკლე რეცეზია.

1906 წ. რუსეთის ისტორიუმის ფილოლოგ-არქეოლოგთა ორგანოს Mater-riam ით არქეოლოგიური კავკავა-ს ერთერთს ნომერს აღ. ხახანაშვილმა დამატების სახით დაურთო სვანეთში ნაპოვნ ხელნაწერთა მოკლე ისტორიულ-ფილოლოგიური მიმოხილვა (დასახ. ნაშრ., გმოშ. X, მთლიანობები, გვ. 1—9).

1916 წ. დასახელებული ორგანოს XIV ნაკვეთში პ. ს. უკართვასა, აღ. ხახანაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოქვეყნებულ იქნა თვით ჰადიშის ძეგლი 200 ფოტოგრაფიული ტაბულის სახით და ექ. თაყაიშვილის საქმიან კრელი წინასტრუკტორით. როგორც ვებულობთ რედაქციის სახელით უგაროვს მიერ წამდვიარებული წერილიდან, ძეგლი გამოაქვეყნა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ რომელმაც, სხვათა შორის, მიზნად დაისახა, ქართულ ოთხთავთა დამუშავება და გამოცემა“ (დასახ. ნაშრ.) და ჰადიშის ოთხთავიც ამ სერიის ხაზით იქნა გამოცემული. ცხადია, რომ ა. ხახანაშვილიც და ექ. თაყაიშვილიც ძეგლთა შერჩევისას ხელმძღვანელობდნენ ჰადიშის ძეგლის იმ სპეციფიკით, რომელიც თუ მთელი თავისი სისახსით არ იყო მათთვის ნათელი, ყოველ შემთხვევაში საქმიან საგრძნობი მანცც უნდა ყოფილიყო. ექვთიმე თაყაიშვილს თავისს წინასიტუა-ობაში მოჰყავს აღ. ხახანაშვილის თეზისები მოთხოვთა ქართული თარგმანის შესახებ.

თეზისები წარმოადგენს ნაწილს მის მიერ განზრაბული კრელი შრომისას, რომელსაც ქართული ოთხთავის პრობლემატიკა უნდა გაერკვია და რომლის განხორციელება მას არ დასუალდა. თეზისები დაყოფილია ხუთ პუნქტად. ამათგან ჩვენ ყველაზე საგულისხმოდ მიგვაჩნია II და IV თეზის, სახელით, II თეზისში აღ. ხახანაშვილი იძლევა მეტად საყურადღებო დებულებს, რომ ჰადიშის ოთხთავი დამოუკიდებელ რედაქციის წარმოადგენს და არაფითარი მსგავსება არა აქვს ქართული ოთხთავების სხვა ნუსხებთან (რასაცირკელია), მას მხედველობაში არა აქვს ოთხთავთვი ხანმეტ-ჰამეტი რედაქციები, რასაც ჩვენც საგსებით ვიზიარებთ. IV თეზისი ნაკლებ საყურადღებოა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი; იგი წარმოადგენს დებულებას: სხვადასხვა რედაქციის ნუსხები ერთომორისგან იდენტურ შედგენილობით არ განსხვავდებიან, რამდენადც ლექსიკური მასალისა და სტილისტიკურ თავისებურებათა მხრივ. ვინც თოხთავის შინაარსობრივ რაობას გაითვალისწინებს, მისთვის აშკარაა, რომ ეს საქმის ვითარების სწორი მიგნებაა.

აღ. ხახანაშეილის ოეზისთა გადმოცემის შემდგომ ექ. თაყაიშეილი იძლევა ძეგლის ღრუბლობას. აღწერილია იგი დამატაყოფილებელი სისტემით და სისწორით, რამდენადაც ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა უშეალოდ შეგვემოწმებინ ამ ძეგლის ნაწერი ფერითი მხარისა და მასალის გარდა, რადგან ჩვენს ხელო არის მხოლოდ მისი ფოტოტიპიური დედანი. მცირეოდენი შესწორება უნდა იქნეს შეტანილი სკეტში მოთავსებულ სტრიქნოთა საოვალავში: ექ. თაყაიშეილით «По 17 строк в столбце» (დასახ. ნაშრ., გვ. 7) მოლად სწორი არ არის, რადგან ძალიან ხშირად სკეტში 16 სტრიქნონა. არაიშეიათად, ერთსა და იმავე ტაბულაზე მოთავსებულ სკეტში ზოგში 16 სტრიქნონა, ზოგში კი 17. არის შემთხვევები, როდესაც სკეტში 18 სტრიქნონი გვჯეს, მაგ. იბ. ტაბ. 176, მეშეიდე სკეტი. ამას გარდა, ექ. თაყაიშეილი არაფერს გვეუბნება ძეგლის დამწერლობის შესახებ. ძეგლი შესრულებულია კარგად გაწაფული მრველოვანი ასომთავრულით და თავიდან ბოლომდე თითქოს ერთი მწერლის, ალბათ, მინველის ხელით. ასომთავრული დამწერლობის შერყევას ამტკიცებს მთელი ძეგლის სიგრძეზე მხოლოდ ერთხელ შეპარული მაგალითი ნუსხური დამწერლობის ასოს ბ-ს ხმარებისა (ლ. 19<sub>14</sub>, 42 ც. 7), თუ მხედველობაში არ მივიღებთ უცნობი ფრაგმენტის უ-ს და ც-ს აგრეთვე ნუსხურ დაწერილობას. ექ. თაყაიშეილს თავის წინასიტყვაობაში (გვ. 10) აღუნიშნავს, რომ ტაბულა 198-ის ქვედა ნახევრის I სკეტიდან მოდის საკითხავი მარკოზის თავისა თ. XIV, მუხლები: 33, 34, 35, 36 და 37, და რომ ეს ნაწყვეტი განსხვავდება ჰადიშის ოთხთავის შესატყევისა ადგილებისან. ექ. თაყაიშეილსვე მიტენული აქეს უზრადლება, რომ ნაწყვეტში ნახმარია ეფანგველე ნაცელად. დამკეიდრებული ოთხთავისა ან სახარებისა. ტერმინი მეტად საყურადლებოა, რადგან მისი ხმარება ჩვენი მწერლობის უძველესს ძეგლებში საქმოდ იშვიათად არის დამოწმებული!

ამ ფრაგმენტის დანიშნულება დღესდღეობით სრულიად გაუგებარია. ექ. თაყაიშეილი, რომელსაც პირადად აქეს ნანაში ჰადიშის ოთხთავის ორიგინალი, არაფერს ამბობს, განსხვავდება თუ არა იგი მასალისა და წერის ტექნიკით ძეგლის ძირითადი ტექსტისგან, ან რა დამოკიდებულებაშია მასთან დროის მხრივ. ფოტოტიპიურ გამოცემაზე დაყრდნობით კი შემდეგი შეიძლება ითქვას: აღნიშნული ფრაგმენტის სელი ერთი შეხედით თითქოს არ განიჩევა ძირითადი ტექსტის ხელისგან, მაგრამ მასში მოცემული ორი ასოს მოხაზულობა გვაიძრებინებს, რომ ასე არ უნდა იყოს; სახელდობრ, უ და ც დაწერილია შემდეგნაირად: ყცმაზები (sic!) ე. ი., უ-სა და ც-ს მოხაზულობათა ძირითადი ნაწილი—ტანი ოდნავ შელუნულია და კუთხოვანი ნუსხურისკენ გარდამავალი საჯეხურისად ჩანს, მაშინ როდესაც, ჩვენი ძეგლის უ-სა და ც-ს საშუალო ტიპებია: ყ და ც.

ფრაგმენტში ენობრივად საყურადლებო რამდენიმე მოვლენაა. მაგ.: საკუთარი სახელი სიმონ მოცემულია ფორმით სეიმონ (მარკ. 14<sub>12</sub>), ჰადიშის ძეგლს უახლოვდება შემდეგით: 1. საკ. სახელს სახელობითის აფიქსი ერთვის მაგალითში:

<sup>1</sup> შდრ. „და თანა წარიტანა ეფანგველი თვესი“ — ი. ხ უ ც ე ს ი, წამება შუშანიკისი. ს. გორგაძის რედაქტორობით, 1917. მოხსენებულია ევსტათ მცხოვრილის წამებაშიაც.

„იაკობი“ (მარკ. 14 აა). 2. უც კომილექსი უ-დ არის წარმოდგენილი სიტყვაში: „ილექტიზი“ (მარკ. 14, აა). 3. 0-ს ხმრება დ-ის მნიშვნელობით: „ევანგელიუმ“ (sic! სათაურში); ამ სიტყვაში უკანასკენელ ი-ს ოდნავ წაშლილი აქვს თავი, და შეიძლებოდა გვაფიქრა ე არისო, რომ ე-ს ზედა მოკლე კიდური აღნიშნულ ფრაგმენტში შესამჩნევი წაგლელებით არ იწერებოდეს. მაშასადამც, ევანგელიუმ მოგვაგონებს ჩვენი ქეგლის მოსიტ-ს. ამას გარდა, ზემომოყვანილ აუამი ცესე „(sic)-ში (მარკ. 4:35). ამ ორი სიტყვის გაყიფვა ორგვარად შეიძლება მოხდეს: „აუამი ცესე“, ე. ი. ჩვენს ქეგლში მოცუმული „ტილიახთა“-ს ტიპის მსგავსად, ან 2. „უამიტ ესე“ ევანგელიუმ-ს და მოსიტ-ს მსგავსად, რაც შეუძლებელია, რადგან სიტყვა უამი ე-ს არ შეიცავს. ასეთუისე, მოყვანილი გვაფიქრებინებს, რომ ფრთის მხრივ ეს ფრაგმენტი ჩვენი ქეგლის თანხელებინდა. მით უფრო, რომ მის გაგრძელებას უნდა შეადგენდეს ქეგლისმწერის ბოლოსიტყვაობა და ადვი-ლი შესაძლებელია, მიქაელმა (ქეგლისმწერი) ეს ფრაგმენტი ან ეპიგრაფად იხმარა, ან არადა, დასასხელა იყო, როგორც ის ბერძნულიდან ნათარგმნი ვერსია, რომელთანაც მან ჰადიშის ოთხთვე შეაჯერა (ამისათვის იხ. ფრაგმენტის „ევანგელიუმ“). ხოლო ის დიდი კითხვა-სხვაობა, რომელიც ჰადიშის ვერ-სიასა და აღნიშნულ ფრაგმენტს შორის არსებობს (და რასაც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ) აისსნება იმით, რომ ფრაგმენტისა და ჩვენი ქეგლის სახით საქმე გვაქვს ორს დამოუკიდებელ რედაქციასთან (იხ. ტაბ. I).

ამ ფრაგმალური მხარის განხილვის შემდგომ ეჭ. თაყაიშვილი გადადის პრინციპული მნიშვნელობის ქექნე სკითხებზე. როგორიცაა საკითხი ქეგლის-მწერის, ქეგლისწერის ადგილის, დროისა და ქეგლის შინაგანი თავისებურების შესახებ. იქვე ავტორი ისტორიულ ინტერპრეტაციას აღლეს ბოლოსიტყვაობას. ქეგლის დასასრულს დაცული ორი ანდერძის—ქეგლის. დამკვეთისა და ქეგლის-მწერის—ეჭ. თაყაიშვილისული კითხვა (ზოგი არაარსებოთი ხასიათის დაცილების-გარდა) საქსებით სწორია. ძირითადად ვიზიარებთ მთე ინტერპრეტაციასაც.

ამრიგად, პირველი ანდერძეს მიხედვით ქეგლისმწერად ვინმე მიქაელი უნდა ვიცნათ. ქეგლის მხატვრული და გამფორმებლად კი ვინმე მიქაელ დიაკვან-ხოლო შეორე ანდერძის ავტორად გამოყვანილი სოფრონი, ეჭ. თაყაიშვილით ჩვენი ქეგლის დამკვეთი და რედაქტორი (რა მოსაზრებაც სავსებით მისაღებია თუნდაც სოფრონისავე ანდერძის შინაარსის მიხედვით) შატბერდის მონას-ტრის ის რესტაურატორი სოფრონია (რავი ქეგლისწერის თარიღად 897 წელს ვიღებთ), რომლის შესახებ გრიგოლ ხანძთელის მემატიანე გიორგი მერწული ამბობს: „რამეთუ ვჰვინებდ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს უამთა ჩუენთა დიდი სოფრონ სანატრელი, მამად შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი“ (ΓP, VII, გვ. ნგ, თავი მო). ქეგლის ენის დახასიათებისას ავტორი თუ მთლიანად არ იზიარებს, ყოველ შემთხვევაში საქმაოდ ვრცლად სარგებლობს აკად. 6. მარის თეორიით ოთხთავის ქართული თარიღმანის ისტორიული გზების შესახებ.

ეკად. ნიკო მარმა პირველმა წამოყენა კარილინალური საკითხი: რა ენაშე, ან უკეთ, ქართული ენის რომელი ეთნური წრის ენაზე ითარგმნა ქართული ოთხთავი? ამ საკითხის დაყენება თავდასხვანულ მნიშვნელოვანი იყო ძელი ქარ-

თული ენის დიალექტიზმის პრობლემის რკვევისათვის. აკად. ნ. მარმავე მეცნიერული მრავალმხრივობით დასახა საკითხთა ის რიგი, რომელსაც უნდა მისდომის მკვლევარმა ამ შემთხვევაში. ჰადიშის ოთხთაგა ის პირველად შეეხო ნაშრომში: «Из поездок в Сванетию<sup>1</sup>», ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჰადიშის ჭევლი გამოცემული არც კი იყო. აკად. ნ. მარს მხედველობაში აქვს მხოლოდ მისი, მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაში შემთხვევარიული პირი. 1913 წ. იგი უკვე აღნიშნავს, რომ ამ ქეგლის ტექსტის შესწავლამ მეტად საყურადღებო დასკვნები უნდა მოგვცეს (თუმცა ეს დასკვნები მისი სიძეველის სასაჩვებლოდ იქნება არც კი არაფერს გვეუბნებოდეს)<sup>2</sup>). ავტორს მხედველობაში აქვს ორი თარიღი, რომელიც ქეგლის ბოლოსიტყვაობაში მოყვანილია: 897 და 1001 წელი. ე. წ. კულგარიშვები, ნ. მარსის ტერმინოლოგიით, რომელიც ამ ქეგლში ბლომად გვხვდება, მცველერის აზრით, მხარს უჭერებს სწორედ მეორე თარიღს, რადგან ენობრივად, მოცემული კულგარიზმების გამო, IX ს-ის ენასთან მათ ვერ შევათავსებთ<sup>3</sup>. თავისი ტრანზე ჩვენ შევეხტდით ე. წ. კულგარიზმების საკითხს და ამასთან დაკავშირებით ქეგლისწერის თარიღსაც. დასახელებულ შრომაში, იქ, სადაც ავტორი აშუქებს სვანური ენის მეთოდოლოგიურ ლირებულებას იაფეტურ ენათა ურთიერთ დამოკიდებულების გასარკვევად ზოგადად, და, კერძოდ, სამწერლო ქართულის პირველ წყაროს გასარკვევად, იგი შესი კარგად ცნობილს „სონმესხურ“ თეორიას, რომლის თანამად ოთხთავის წიგნი თავდაპირველად ითარგმნა არა საკუთრივ ქართულ ენაზე სიტყვის დღევანდელი გავებით, არამედ ქართული ენის ე. წ. სომეხურ კილოზე. ამ ტერმინის უფრო გამოწვლილით განხილვას ჩვენ თავის ადგილის კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი ავტორის აზრთა სკლას რომ გავსილოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო თუ მთლად სვანური ენა არა, ყოველ შემთხვევაში ქართული ენის ის კილო, რომელიც დატვირთული იყო სვანიზმებით ერთი შერივ და შეორე შერივ იმ იაფეტური არმენიზმებით, რომელიც უშუალოდ შექრის გარდა via სამაიცას წყალობით ჩაიღვარა მასში, რაღაც „სომეხური“ სვანების სალპარაკო კილო იყო. ამ ფრიად მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ პრობლემას შეკვევარი საბოლოოდ არ სწყვეტს, იგი დიდის სიფრთხილით აღნიშნავს ამ თეორიისათვის მხარის დამეტერსა და საწინააღმდეგო ფაქტებს და აღმავებს სვანური ენის შენიშვნელობას, რომელიც ნათევამის გარდა, იძლევა შესაძლებლობას გაშუქებულ იქნებს იმ სომხურ სიტყვათა რიგი, რომელიც ძველს ქართულში გადავიდა: ესნია ლექსიკური არმენიზმები დაბადების ქართულ ტექსტში, რომელიც მკვლევარს მიაჩინა სომხითის სვანურ კილოდან წარმომავლად და შეთვისებულად. ამ თავისს აღრინდელ ნაშრომშივე ნ. მარი მიუთითებს, რომ ჰადიშის ქეგლიც, როგორც სახარების ტექსტი ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს დამუშავებული.

<sup>1</sup> იხ. Xp. Восток, ტ. II, ნაკვ. I, 1913. <sup>2</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 4.

<sup>3</sup> «Адипская рукопись грузинского евангелия считается древнейшей по одной из двух дат: состоянне текста показывает, что согласиться с такою древнею латою как IX век, нет никакой возможности» ამბობს იგი და მხედველობაში აქვს ქეგლისწერის 897 წელი. იხ. Н. Я. Марр, Заметки по текстам св. Писания, ХВ, II, ნაკვ. II, გვ. 172.

როგორც აღინიშნა, აკად. ნ. მარმა იმ თავითვე ყურადღება მიაქცია ჩვენს ძეგლში უხად ვაბრულს ლექსიურ „ანაქრონიზმებს“, რომელსაც ის „ვულგარიზმებს“ უწოდებს. ამ „ვულგარიზმებზე“ დაყრდნობით იგი სწყვეტს ძეგლის-წერის თარიღის საკითხს მისი ჩვენი ლროისენ გამოწევის სასარგებლოდ ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ამ „ვულგარიზმები“-სავე წყალობით მის წინაშე წამოიჭრება აუკლებლობა დაისეას საკითხი ამ ძეგლის „ხალხურ“ კილოზე შესრულების შესახებ<sup>1</sup>. საკითხის ასეთ შემობრუნებას იგი უბრუნდება კარგად მოვინანებით თავის ნაშრომში „კლასთა ბრძოლა სახარების ტექსტის ქართულს კრისიებში“.

ქართული მწერლობის უძველეს ძეგლთა—პალიმფსესტების აღმოჩენასთან დაკავშირებით ჰადიშის ძეგლს, უწინარეს ყოვლისა, გამოეხმაურა პალიმფსესტების აღმოჩენი პროფ. ივანე ჯავახიშვილი. იგი შეეხო მისი სიახლე-სიძევილის საკითხს, ე. ი. მის დათარიღებას. ის ლექსიური ანაქრონიზმები, რომელი ბიც აკად. ნ. მარმა „ვულგარიზმებად“ გამოაცხადა და მათ საფუძველზე ძეგლი მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისად იცნა, პროფ. ივანე ჯავახიშვილს უძველესი ქართული ენის კუთვნილებად მიჩნია, რადგან მათ მხარს უჭრენ ახლად აღმოჩენილ პალიმფსესტები: მიტომ მან ძეგლისწერის თარიღი კვლავ IX საუკუნისაკენ გადასწია და ჰადიშის ოთხთავის რედაქტირა თითქმის ოთხთავის ხანძეტური კერძისის მიმდევრად გამოაცხადა<sup>2</sup>.

ვფიქტობთ, არც ე. წ. ვულგარიზმების არგუმენტაციითა სწორი ძეგლის 1001 წლით დათარიღება, მაგრამ სამაგინეროდ ძეგლის თავისდათავად სწორი დათარიღება 897 წლით, სრულიად არ იძლევა საბუთს იგი ხანძეტური კერძისის გაგრძელებად კუნათ, რადგან ამ მხრივ იგი სრულიად თავისებურს და შესრულებით მეტად ორიგინალურს რედაქტიას წარმოადგენს.

ამავე წელს პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი დ ე მ გამოაცევინა თავისი პატარა წერტლი<sup>3</sup>, რომელშიც მან ჰადიშის ოთხთავის იორბულება შემოსაზღვრა მისი როლით გარდამავალი ძეგლის ნიმუშისა ხანძეტობა-ჰემეტობის საფეხურიდან (რენესანსის და უფრო ადრინდელი ხანის-დროინდელი) ზმნის პრეფიქსურის მხრივ ნორმალურად გათვარმებული ძეგლებით წარმოდგენილ საფეხურამდე. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი დ ე აღნიშნავს, რომ ჰადიშის ოთხთავში მოყვანილია სამი თარიღი: ხუთა, რიზ-და ჩა. ორი მათგანი ქართული წელთაღრიცხვით, ე. ი. კვეუნის გზე-ნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე 5604 წელს თუ ავილებთ გამოსავლად და გამოვაკლებთ ხუთა-ანუ 6501 და მიუმატებთ ქორონიკონს რიზ ანუ 117 (6501—5604—780+117) მივიღებთ 897 წელს. რაც შეეხება -ჩა- რიცხვს, მის გაანგა-

<sup>1</sup> «Либопытно, что в Мф. 4, 8 Московское издание в значении „шарства“ сохранило архаическое чтение სუფევанი სუреვанი (სუფევანი ამის სოფლისანი), (тогда как в тревицей национальной рп. вудхарпое მფობანი თერიბანი (ყოველი მფობანი და)», ამბობს მკვევარი, იბ. Н. Я. Марр, «Определение и зыка II категории языка Ахеменидских наций».... ЗВОИРАО, ტ. XXII, ნაკ., I—II, 1914, გვ. 73, შენიშვნა მეორე;

<sup>2</sup> იბ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი—ადად აღმოჩენილი უძველ. ქართული ხელონა-წერტები—ტფლილისის უნივერსიტეტის მთამბე, II, 1922-23 წ. გვ. 349-353.

<sup>3</sup> იბ. კ. კ ე კ ე ლ ი დ ე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, ტფლილისის უნივერსიტეტის მთამბე, ტ. II, 1922-23 წ., გვ. 392-397.

როშებას პროფ. კ. კეკელიძე ახდენს წელთაღრიცხვის ალექსანდრიული სისტემის მიხედვით, საღაც კვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5500 წელია აღმართული. უკანასკნელს ქრისტე წელთაღრიცხვა რავე 104 წლით აღმართება, ამიტომ ალექსანდრიული წელთაღრიცხვით ხფა-ს შესატყვისად მოყვანილია ჩა, ანუ 1001, რომელსაც 104-ს თუ გმოვაკლებთ, მივიღებთ 897 წელს (ე. ი. 6501—5500—1001—104=897 წ.). ეს გაანგარიშება ჩვენც სრულიად მართებულად მიგანია და მთლიანად ვაზიარებთ რა მას, ჰადიშის ძეგლს ვთვლით 897 წლით დათარიღებულად, და არა 1001 წლისად, როგორც აკად. 6. მარს აქვს მიღებული, მიუხედავად მის მიერ შემჩერული „ვულგარიზმებისა“ და ე. წ. ნეოლითიშმებისა.

დასასრულ, ამ ქართულ პალიმეტესტების აღმართენის ხანასაც ეკუთვნის პროფ. ა. შანიძის აგრეთვე მოკლე შენიშვნა ჰადიშის ოთხთავის ჰავებების შესახებ<sup>1</sup>. ავტორს პროფ. პროფ. გავახიშვილისა და კ. კეკელიძის მსგავსად ძეგლი — 897 წლისად მიაჩნია. შემდეგ მას მოჰყავს ჰავებების თურომეტი შემთხვევა, რაც ძეგლის მიხედვით საცხებით დასტურდება.

1924 წელს ს. კაკაბაძე მ გამოქვეყნა თავისი წერილი „საისტორიო ძიებანი“-ს ციკლიდან, რომელიც ავტორის თქმით ეხება „საკითხს სახარების ქართულად თარგმნის საფეხურების შესახებ ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით“<sup>2</sup>. ავტორი, სხვათა შორის, აღნიშნავს ხანმეტი ტექსტების V-VI ს-ით დათარიღების ნაჩერობას პროფ. ივ. ჯავახიშვილის მხრივ. კრეტიულად უყურებს აგრეთვე ამ დათარიღების არგუმენტაციას პალეოგრაფიული საშუალებით. ავტორის მოცემული აქვს ცდები ქართულ სახარებათა სხვადასხვა რედაქციების შედარებითი დამუშავებისა, თუმცა მას არასისტემატურად და ფრაგმენტარულად ასრულებს. საყურადღებოა ავტორის მიერ მოცემული ჰადიშის ძეგლის გაკვრითი დახასიათება (მართალია არა ენობრივი მსრით). მაგ., უდაბნო სწორია, რომ ჰადიშის ოთხთავი თავთავეთა ჯრუჭისა და პარხალის ვარიანტებთან შედარებით განსხვავდებულ რედაქციას წარმოადგენს, რომ ჰადიშის ძეგლი განსხვავდება მათვან როგორც თვით სიტუაცია დალაგებით, ისე ხმარებული ლექსიკონის მოცულობის მიხედვით<sup>3</sup> და ა. შ.

ს. კაკაბაძემ წამიაყენა დებულება, რომ ჰადიშის ოთხთავი თავიდან ბოლომდე ერთ რედაქციას არ წარმოადგენს (დასახელებული ნაშრომი, გვ. 7), რასაც (აგრეთვე სახოგადოდ რედაქციულ განსხვავებას სახარების ქართულ ვერსიებში) მცვლევარი სხინ საქართველოში მწიგნობრობის ორი გზით გავრცელებით: ბერძნული და სომხური გზით. მწიგნობრობის ამ არი გზით შემოჭრა ჩენეს მწერლობაში, რათქმანდა, უდაო ფაქტია, მაგრამ ს. კაკაბაძე მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ არც ბერძნულში და არც სომხურში სახარების პირველთარგმანი არ შემონახულა და სანამ სათანადო დისციპლინაში მეცნიერული უცკველობით არ იქნება დადგენილ ესათუის ქარ-

<sup>1</sup> იბ. პროფ. ა. შანიძე, ჰავებების აღიშის სახარებაში, დასახ. ნაშრ., გვ. 417—424.

<sup>2</sup> იბ. ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი: სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ, 1924 წ. სახელმამი, გვ. 1.

<sup>3</sup> ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924. გვ. 6 და შემდ.

თული ვერსია ომელი მომდინარეობს ბერძნული ან ომელი სომხური ვერსიიდან, ვიღებე ზუსტად არ იქნება დადგენილი, თუ რა თანამიმართებაშია ჰადიშის ძეგლის ოთხი შემადგენელი ნაწილი ერთისეორებული, მანამდეკ ცოტა არ იყოს, ნაადრევია ჰადიშის ძეგლის ორი სხვადასხვა წყაროთი მომდინარე ნაწარმოებად მიჩნევა. ჩენ, რათქმუნდა, არ გამოერიცავთ იმ შესაძლებლობას, რომ თავდაპირველად სახარება მთლიანად ოთხთავად კი არ ითარებნა, არამედ ცალკალკ მახარებლებად და მაშინ გასაგები იქნებოდა ტექსტუალური სიჭრელე, თუმცაც ჰადიშის ძეგლის ფარგლებში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ გრეციზმები არმენიზმების გვერდით ქართულს ვერსიებში იმის მომასწავებელი შეიძლება იყოს, რომ თვით ქართული თარგმანის პირველწყარო იყო ნაჩევი: ადგილადგილ—გრეციზმებული და ზოგვან კი—არმენიზმებული.

ჰადიშის ოთხთავის რედაქციის შესახებ ჩენ მსჯელობა გვექნება საცეკიალურ, ამისთვის განკუთვნილ ნაკვეთში, ქართული ტექსტის სათანადო ბერძნულ და ეკ. სომხურ ტექსტებთან მთლიანად შედარების ნიადაგზე. როგორ უნდა დაისვას საკითხი, უკვე ნაჩევნები გვაქვს აქვე ზეშოთ.

აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სარგ. კაკაბაძის კვლევის მეოთ-დიკა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რაღაც მას მტკიცედ არა აქვს გათვალისწინებული თუ რა უნდა იყოს ალებული ამოსავალ წერტილად მის მიერ წარმოებული შედარების დროს, მაგალითად: ავტორი ასკენის, რომ ჯრუქისა და პარხალის ოთხთვები ბერძნულს მისცვევნ; ხოლო ჰადიშისა (და ზოგჯერ სანმეტი იოთხავის № 999 და 844 ხელნაწერები) კი—სომხურს. ვნახოთ, რა ფაქტებს ეყრდნობა ავტორი:

1. ჯრუქის ოთხთავის „საპირველ გზად“<sup>1</sup> (მათ. 7,14) ს. კაკაბაძით გადმოსცემს ბერძნული—თესლამურები უ ბიბი, ხოლო ჰადიშის და ხანმეტი ოთხთავის № 999 და № 844 „წულოლუ გზა“ კი სომხურის ნელ მანამაყარას. ცხადია, ავტორის საყრდენია მნიშვნელობითი მომენტი, ეს უკანასკნელი კი მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, რადგან სომხური ნელ ნიშნავს ვიწროს (τεταύη, ოქათა), ხოლო ბერძნული გამონათქმი თესლამურები ბიბი აგრეთვე ნიშნავს „ვიწრო გზას“. მაშასადამე, საჭიროელისა და წულოლის ფაქტის ასნა ბერძნულ-სომხურ ში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თვით ქართულ ენაში, რომელსაც უცხო ენის გამონათქმისათვის ორი სხვადასხვა ცნება ჰქონია<sup>2</sup>.

2. ჯრუქის და ხანმეტურის „დაგაბრკოლებდეს“-ში (მარკ. 9,43) გადმოცემულია ბერძნული თავისგაბარი, ჰადიშის „გაცოუნებდეს“-ში კი — სომხ. գოյ/ქოფლეცისუქ; ნამდვილად სმხ. գოյ/ქოფლელ თოხე; ნიშნავს „წაბორიდეკ—ბას“, „ფეხის დაცდენას“, ხოლო გოი/ქოფლელ კი—ცოომას, ცოუნებას; ბრძნ. თავისგაბარ აგრეთვე—ცოენას, ცოუნებას, შეურაცხოფას და თავისგაბარ—„სათურს“, „დაბრკოლებას“. როგორც ცხედავთ, მათი მნიშვნელობა საქმაოდ თანხედებულია და მოყვანილი დასკვნის სასარგებლო ჩენებას არ იძლევა.

<sup>1</sup> აქ და ქვემოთ მოყვანილი სალექსიკონი მასალის ვანმარტებისას ჩენ ვერაცებით სომხურისათვის A. ხუდაშევ-ის «Армяно-русский словарь»-ს (მოსკოვი, 1838) და ბერძნულისათვის C. Alexandre-ს Dictionnaire grec-français-ს (ვარიზი, 1867).

3. ჯრუქისა და ხანმეტურის „ზუარა“-ში (ლ. 15,23) გაღმოცემულია ბრძნ. ის მარჯვი, პალიშის „წარ“-ში კი—სომხურის ქაყან, ნამდვილად კი კირა და ნიშნავს „ხბოს“, „უშობელს“, „მოწვერს“, აფხ. ნიშნავს „ხარს“; მარჯვი-ში სწორედ მოზევრი რომ უნდა იყოს გაღმოცემული, ჩანს პალიშის „წარი იგი უსხი“-დან და ქართული „ზუარაკიც“ გულისხმობს ნასუქარ ხბოს (იხ. საბა, სიტყვა „ზროხა“).

4. ხანმეტურისა და ჯრუქის „ქუეყანასა“-ში (იოპ. 21,8) გაღმოცემულია ბერძნ. ყუქ, პალიშის „ქმელად“-ში კი—სომხური ქამთქ, ნამდვილად კი ბერძნ. ყუქ ისევე ნიშნავს დედამიწას, ხმელეთს, როგორც სომხური კამათქი—დედამიწას, ხმელეთს, შშრალს და არა მხოლოდ ხმელეთს; ამიტომ სწორი არ არის ს. კაკაბაძის დასკენა, რომ „ქმელის“ ხმარება მიწის მაგიერ, როგორც ზევითაც იყო ნაჩვენები, ახასიათებს სომხური სახარების ტექსტის მიხედვით, სომხურისგან დამოკიდებულ (ქართულ) სახარების რედაქციას (დასახელებული ნაშრომი, გვ. 23).

5. ხანმეტური და ჯრუქის „დააძვეებ“-ში (იოპ. 21, 15) გაღმოცემულია ბერძნ. წმითა, პალიშის „დაამწესენ“-ში კი სმბ. არაბელა; ნამდვილად ბერძნ. წმითა-ცა და სმბ. არაბელი ნიშნავს ძოვებას, მწყას.

6. პალიშით „ასარეზ“-ში (ლ. 24,12) გაღმოუთარებულებულიამ სომხური ასაყარებელ და ჯრუქ. პარხალის ოთხთავთა „უტევნი“-ში კი ბერძნ. რაპიდი; ავტორს ავიშუდება, რომ „უტევნი“ არის ქართულ ენაში ქველისძეველად დამტკიდრებული არმენიზმი. ეს ერთი იმ სიტყვათაგანია, როგორიც თვეთ სმბ. ოთხთავში არ არის დაუსული შესატყვისს ადგილს (საერთოდ კი სომხურში არის), მაგრამ სომხური გზით შემოსულია, ასეთებია: „მეხარბუ“ (სომბ. ქორე ნიშნავს ხშალს), რომელიც ოთხთავის შესატყვისს ადგილს სომხურში გაღმოცემულია სიტყვით ჟარჩევა და რომლის ეტიმოლოგიური ახსნისათვის ს. კაკაბაძემ მიმართა სულ სხვა აგბტულების სეანურ ყვაბას (მნიშვნელობით ხის ჩიქები) და აფხაზურ ა-ყამა-ს (მნიშვნელობით ხანჯალი), და სხვა მაგალითებთან ერთად ეს სიტყვაც მიიჩნია პალიშის ძეგლში წარმოდგენილ სვან-მესხიშმის მაგალითად (დასახელებული ნაშრომი, გვ. 32; ნამდვილად აქ საჭმე გვაქვს თურქ. ყამა-სთან), რც ნიშნავს ხანჯალს, შდრ. მეგრ. ხმარებული, ნასესხები—ყამა).

უდაო არმენიზმებია ჩევნი ძეგლის შემდეგი ადგილები: „ქსა ჰეროდეს ჩიროროდასა“ (მათ. 14,1) „და მისცეს პილატეს ბეჭე“ (მათ. 27,2), „მუნ დგეს ტაკუქი“ (იოპ. 2,6) და სხვნი. მაგრამ პალიშის ძეგლში გრეკოზმებსაც შავაწყლებით<sup>1</sup>, ოლონდ არა იმ საეჭვო ხასიათის გრეკიზმებს, რომლებსაც ს. კაკაბაძე იშველიებს ძეგლის ნარევობის დასამტკიცებლად. ასეთია, მაგალ., შემდეგი: პალიშის და ჯრუქ. პარხალის „ნაყოფთა ჩემთა“ (ლ. 19,8) მას მიაჩნია ბერძნულის თან ნიპარხონთავ-ის გაღმოცემად, ხოლო ხანმეტური ოთხთავის (ხელნაწერი № 999) „ფასისა ჩემთას“ კი სომხური ლინგუისტის გაღმოცემად, ნამდვილად ბერძნ. თა ნიპარხონთავ ისევე ნიშნავს „ქონებას“, „ღოვლათს“, „ფინანსურ საშუალებებს“, როგორც სომხური ძირი ჩან (ცხ. -ც) ნიშნავს ქონებას, სიმღიდოებს, შეძლებას, დოვლათს და ამგვარად, დასკვნა პალიშის ოთხთავის მო-

<sup>1</sup> დაწერილებით ამის შესახებ სპეციალურ ნაკვეთში გვევწება მსჯელობა.

ყვანილი ადგილის ბერძნული ტექსტის მიმდევრობის შესახებ ს. კავაბაძის მიერ მოცემული (დასახელებული ნაშრომი, გვ. 19) მოკლებულია დამაჯერებლობას. ვტორის ფეხულება, რომ პალიშის ოთხთავის ეს რედაქციული ტეხალობა გვიჩვენებს იმას, რომ „შატბერდში, სადაც გადაწერილია ადგიშის ოთხთავი, IX საუკუნის ბოლოს პირვანდელი რედაქციის ოთხთავის ტექსტი უნაკლულდ წარმოდგენილი უკვე არ იყო და ამიტომ, საჭირო გახდა ნაკლის წევეზება მეორე რედაქციის მიხედვით“ (დასახ. ნაშრ., გვ. 20), ჩენ არ მიგვაჩნია დამტკიცებულად.

მეტად ძნელი გადასატრელია საკითხი: არის თუ არა ჩვენი ძეგლი უშუალო თარგმანი თუ ნუსხა (პირი)? მხოლოდ სათანადო ნაწილის მიმოხილვა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაოდენ დამოუკიდებელია იგი მეზობელი ენების ზიარი ლექსიკონის გადმოცემისას (ადგილის და ადამიანის სახელები), შესაძლებელს ჰქონოს წამოვაყენოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძეგლი უშუალო თარგმანი არ უნდა ყოფილიყო. ამგვარად, იგი ნუსხას (პირს) უნდა წარმოადგენდეს, რასაც მხარს უჭერს ძეგლის მეტერის ეპილოგის შემდეგი აღგილი: „ქრისტე [მე]უფერ შეგვწყლენ (sic!) ერთაობით ამინ მწერა (sic!) ამისა მიქაელ [ლ] ლოცვასა მომიქსენოთ და შემინდევთ სიუცბე ჩემი“ (ტაბულა 199), სადაც ავტორი თავს გარევევით მწერალს, ე. ი. დამტერს ან გადამწერს უწოდებს, წინააღმდევ შემთხვევაში, ავტორი როგორმე და სადმე „თარგმანება“ სიტყვას ახსენებდა<sup>1</sup>.

მაშასადამე, პალიშის ძეგლის ენობრივ თავისებურებათა შექმნაში ორი თაობის (თუ მეტის არა?) ნაღვაწი მაინც უნდა ვივარაუდოთ: 1. მთარგმნელის წვლილი და 2. გადამტერის შენაძენი.

იმ დროული მონაცემთის რიცხვითი ერთეულით გამოხატვა, რომლითაც დაშორებულია ძეგლის თარგმნა და გადაწერა, ამჟამად შეუძლებელია. ძეგლის ენობრივი განხილვებას, რათქმაუნდა, სანალიზო მოვლენები თარგმნა-გადაწერის მიხედვით არ იქნება. დიფერენცირებული, რადგან ეს ამჟამად ჩენებს შესაძლებლობას აღმატება და რის გამოც, ალბათ, სხვადასხვა ენობრივი წრისა და სხვა დასხვა დროის მოვლენები ჩვენ ძალაუნებურად ერთ სწრანივზე და ლა გებ ული გა მოგვივა. ამას გარდა, სამწერაროდ, იძულებული ვართ საკითხი ლია დავტოვოთ იმის შესახებ, თუ რა რედაქციული წვლილი შეიტანა მიქაელმა ან სოფრონმა, რადგან ძეგლი სამისო კელვეისათვის მასალას არ ვგაწევის, ხოლო მისი სხვა ნუსხა-კი ჯერხნობით დადასტურებული არ არის. აკად. მარს სამართლიანად მიაჩნია პალიშის ძეგლი გადამუშავებულ ტექსტად, როდესაც ამბობს: „Палимпсестный текст стоит частично на плоскости явно позднейших переработок типа Ахишского евангелия“<sup>2</sup>. მისი ეს დასკვნა კი გამოიწვია ძეგლში უხვად ჩაქსოვობა ცოცხალი სამეტყველო ენის ნორმებმა რომლებსაც იგი მიიჩნევს «чудовищными с точки зрения древне-литературных норм вулгаризмами, как напр., словом მაცადე

<sup>1</sup> შდრ. პროფ. ივ. ჭავაში შვილი, ქართული დამტერლობათა-ცოდნებია ანუ პალეოგრაფია, 1926 წ., გვ. 49, სადაც ავტორს ჩვენთვის საინტერესო მაგალითები მოყავს.

<sup>2</sup> О Кавказской версии Библии в грузинских палимпсестных фрагментах—ТРКФ, I, 1925 წ. გვ. 60.

(7, P 376)», (დასახ. ნაშრ., გვ. 61; შლრ. ჰადიშისავე ძეგლის „გვაცდე“, მნიშვნელობით დაგვანახვე—მარკ. 1<sub>2</sub>).

ძეგლში წარმოდგენილი ხანმეტობა-პაქმეტობაც უნდა ამტკიცებდეს რომ თვი ნუსხაა და არა პირველდედანი, რადგან დასახელებული ორი ენობრივი პროცესი მეტისმეტად ფრაგმენტარულად არის მოცემული (განსაკუთრებით პირველი). ჰადიშის ოთხთავი ერთი იმ ძეგლთავანია, რომელშიც ერთსადაიმავე ტროს ხანმეტობაც არის და ჰადიშისმეტობაც, იმ განსხვავებით, რომ მასში არც ერთი მათვანი სისტემატურად არ არის გატარებული, ყველა დანარჩენ ძეგლში კი სისტემატურად გატარებულ ხანმეტობაში აქა-იქ ჰადიშის გამორჩეული.

ამასთან დაკავშირებით დგვინა საკითხი: შეიძლება თუ არა ხანურობა-ჰადიშების ოვალსაზრისით ჩვენი ძეგლისათვის რომელიმე მათვანი პირველდებნად ჩავთვალოთ, ან ორივე მიერჩიოთ იმ ორიგინალად, რომელიმაც ჰადიშის ვერსიის პირი მოგვცა? ეს საკითხი თავის დროზე წამოაყენა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა<sup>1</sup>. პატრიუტიული მეცნიერებულ დებულებათა განხსნილვა მოცემულია ქვემოთ, ამ კი შემდეგი უნდა ითქვას. თუ გამოვრიცხავთ იმას, რომ ჩვენი ძეგლი ორი (ხანმეტ-ჰადიში) დენიდან კი არ არის გადაწერილი, არამედ ერთიდან, მაშინ უნდა ვითქმოთ, რომ იგი არც ხანმეტური იყო, რადგან ჯერხნობით რედაქციული პარალელები არ გავაქს დადასტურებული და არც ჰადიშები, რადგან ჰადიშები ჰადიშის ოთხთავში სწორედ ჰადიშებაა და არა ჰადიშები (მას ხმა შესამჩნევად ცოცხალი სამეტყველო მოვლენის იერი აქვს!). ეს ის ბუნებრივი ჰადიშები (და არა ჰადიში), რომელიც ამ ოდენობით თვით მიქაელისა და სოფრონისთვისაც ორგანული უნდა ყოფილიყო და, მით უფრო, გრიგოლ ხანძთელის წრისათვეს.

თავისთვისაც, თუ სათანაც პარალელები აღმოჩნდება, ვუიქრობთ, ჰადიშის ძეგლი, როგორც პირი, ხანმეტ დედანთან უფრო უნდა იყოს დაკავშირებული, ვიდრე ჰადიშებთან; ამას გვაიტქინებინებს ის აქარა დეცნულება, რომელიც, აღმართ, შემთხვევით ჩატარების ხანმეტობის ორს ნაშთს განუცდია. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ჰადიშის ძეგლი პირველი პირი კი არ არის, არამედ ქეთრე და მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ პირველი პირი ხანმეტი დენიდან არის გაღმოღებული, ხოლო მეორე პირი კი—ჰადიში ნორმების მიხედვით არის შესრულებული, მაგრამ ეს მოსაზრება დასაშევები იმ შემთხვევაში იქნებოდა, რომ იგი რედაქციულად უდგებოდეს დღემდის ცნობილს ანალოგიურ ხანურ-ჰადიშ ძეგლებს.

ჩვენ ვვიქრობთ, მიქაელიცა და სოფრონიც გრიგოლ ხანძთელის თანამე-დროვენი უნდა ყოფილიყვნენ და უკანასკნელის ბოლოსიტყვაობაში გარდაცვა-ლებულთა შორის პირველ ჩიგში „ამ ქვეყნიურ მეუფებზე“ წინ მოხსენებული „სულიერი მეუფე“, რომელსაც მიქაელი მამა გრიგოლად იხსნიებს, სწორედ ცნობილი გრიგოლ ხანძთელი უნდა იყოს: „და სიალოცველა (sic!) სულთა გარდაცვალებულთა თვის სულისა მამისა გრიგოლისა, სულისა მამისა გაბრიელისა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათვს“ (ტაბულა № 200), ხოლო მოხსენებული მამა გაბრიელი კი ხანძთელის ცნობილი ცნობილი

<sup>1</sup> ი. მისი აახალად აღმოჩნდილი უკველესი ქართული ხელთანაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის—ტ. ქ. ჭ. მოამბ. № II, 1923, გვ. 349 და შემდ. დედაში იკითხება, გარდაცვალებულთა.

გაბრიელ დაფანჩული უნდა იყოს. ექ. თაყაიშვილსაც ჰქონდა წამოყენებული მოსახრება, რომ სოფრონის ბოლოსი ტყვაობაში მოხსენებული გრიგოლი ნამდევილად გრიგოლ ხანძთელი უნდა იყოს (იხ. MAK, წ., XIV, 1914, ექ. თაყაიშვილის წინასიტყვაობა, გვ. 16).

ამგვარად, პატიშის ძეგლის თავისთავად განხილვის გარდა ჩვენ შევეხებით მას მასში მოცემული დიალექტიზმების მხრივაც, იმ წინასწარი ორიენტაციიდან, რომელიც შეგვექმნა ქართული აღრინდელი სამწერლო ძეგლების ზოგადად გაცნობით, ჭარბად შექმერდით სწორედ მასზე, როგორც დიალექტიზმებით განსაკუთრებით უხვად დატეირიტულ ნაწარმოებზე. ამას გარდა, ჩვენ მოვკისყიდა პატიშის სახარების დიდმა ლირებამ, სახელით იმან, რომ იგი განშე დგას ძველი სალიტერატურო ენის სტანდარტისგან. მთარგმნელი თუ გადამწერი ფართოდ უღებს კარს დიალექტიზმებს.

იმის წყალობით, რომ მთარგმნელი თუ გადამწერი ჩინებულად განსწავლული მწიგნობარი და ამვე დროს მშობლიური ცოცხალი მეტყველების შესანიშნავი მცოდნეა, ჩვენი ძეგლის ლექსიკას ახასიათებს ის ინტიმური ტონი, ენის ის ხალხურობა, ბუნებრივად ჩამოყალიბებული ენობრივი მარაგის ის სიახლე, რომლითაც იგი საგრძნობლად გამოიჩინა ამავე ხნის სხვა ქართული ძეგლების ხელოვნურად ნახარდი ლექსიკონისგან. ძეგლის შესწავლის პროცესში სუზგასმით ჩვენ სწორედ ამ ნაწილზე შევქმნდებოთ.

მაშასადამე, თუ დიალექტიზმების სამხილებლად ჩვენ მაინცადამაინც პატიშის ქეგლზე შევდექით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ენობრივი სუბსტრატი ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტურია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ე. წ. დიალექტიზმები სხვა ძეგლებში არ გვქონდეს. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთს მაგალითებს, როგორიცაა „ერტახედ“ (იხ. H. Mapp, Описание 5 пергаментных рукописей Иверя, გვ. 12 X ს-ს ძეგლით), „უძრულება“ (ივე გვ. 27, XI საუკ. ძეგლით; იხ. ოგრეთვე გვ. 28 bis.), „დაადრგეს“ (ივე, გვ. 40 XI ს. ძეგლით bis.), „დღესა ახსებისა ზატიყისა“ (ა. ზანიძე, „ხანმეტი ლექციონარი“; იოვ. 20, 26; აწერია ზემოდან მითითებულ ადგილს), „სახლსა ძრიელისისა“ (პარიზის ლექციონარი, 123 ფურც.. სვეტი I, XI—XII ს-ს ძეგლი), „ამრენაკი“ (უბნის სული ოთხთავი, მარკ. 15, 46, გამოცემული) და ა. შ. მრავალი სხვა, რაც მორიგ გამომუდავნებას ელის.

ქველი ქართული მშენელობის ერთი ძირითად პრობლემათაგანია ბიბლიის ქართული თარგმანის მიმღინარეობის გზები. ამ პრობლემას აკად. ნ. მარი მხრავალს თავის ნაშრომში შექმნა და მისი გადაწყვეტა სცადა იაფეტიანთა ტომების მიკრაციულ ტალღებთან დაკავშირებით წამოქრიდ სხვა კულტურულ-ეთნოგრენზისურ პრობლემებთან ერთად. აკად. ნ. მარის ნააზრევა ქართული ბიბლიის შესახებ მჭიდროდ არის გადაჯაჭული მის მიერვე წამოყენებულ ჭამოებურ“ (resp. სომხესხურ) თეორიას. ამ თეორიის ყოველმხრივ დამტკიცებულად ჩათვლა არც ავტორს მიაჩნდა შესაძლებლად, და მაშასადამე, ყოველი მკელევარიც მას მხოლოდ ამ თვალსაზრისით მიუღება. მართლაც, მასში ხან ისტორიულ ფაქტთა თავურილობაა ერთგარად შეუსაბამო, ხან საენათმეცნიერო ცნიმების მოამბე, ტ. IV,

მასალაა ლარიბად წარმოდგენილი და რაც მთავარია, ამ თეორიაში თავისდა-  
თავად სწორად დაყენებულ საკითხებს მეთოდოლოგიურად მცდარი გაშუქება  
ეძლევა იქ, სადაც ტომებისა და სატომო ენების შერევა-შეჯვარედინების პრო-  
ცესი მთლიანად მიგრაციის ფაქტორის უკუფენად არის მიჩნეული. მოგვიანე-  
ბით, აკად. მარმა უარყო ამ ფაქტორის ყოვლისმძღვრბა ეთნურ-ენობრივ ძრა-  
თა პროცესში, როდესაც პირისპირ წარდგა შემთაშუაზღვეთის ეთნურ-ენო-  
ბრივი სუბსტრატის, ანუ ე. წ. მესამე ეთნური ელემენტის პრობლემის გადა-  
ქრის წინაშე. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, და იგრეთვე იმისა, რომ აკ-  
ტორმა ეს კულტურულ-ისტორიული, არსებითად კი მეტად კომპლექსური ხა-  
სიათის თეორია ისტორიულ ფონზე გაშალა, მიზანი, მეთოდი და ოვალსაზრისი  
კი ენათმეტინერული სკარბობდა, მანიც მას აქვს დიდი მეცნიერული ლირებუ-  
ლება, იმდენად, რამდენად მასში მოცუმულია სააზროვნო პერსპექტივათა დიდი  
შესაძლებლობა.

რაც შექება დაბადების ქართული კერძის პრობლემის ფაქტური შეარის  
დამუშავებას და მის ადგილიდან დაძრას, კველაზე მეტი აქაც აკად. ნ. მარს  
აქვს გაეყობული: მის მიერ უკვე ნაჩენებია ქართული დაბადების კვლევის მე-  
თოდიკა, მისი აღმოცენების კულტურულ-ისტორიული გარემოვა და აქიდან  
გამომდინარე დასკენებიც. სახელდობრ, კველასთვის კარგად ცნობილია აკად.  
ნ. მარის დებულება, რომ ქართული დაბადება ე. წ. via armeniacata- გზით უნ-  
და მომდინარეობდეს. უწყებული თეორიის გარდა, იგი ხელმძღვანელობდა ამ  
ნაწარმოებში წარმოდგენილი ფაქტური მასალით. დღემდე განმტკიცებული  
საპირისპირო აზრი დაბადების ქართული თარგმანის ბერძნული წყაროდან  
მომდინარეობის შესახებ მეტ დაზუსტებას საჭიროებს და თითქოს ნაგვიანევად  
მოჩანს.

რათქმაუნდა, იმასაც არ უგულებელსკორეფთ, რომ თუ ჩვენამდე დაბადების  
ბერძნული კერძის პირველ დედანს არ მოუღწევია, სამაგიეროდ არც სომხური  
და ასურულ პირველ-დედნებია დაცული და ამდენად, დებულების ამათუემ მი-  
მართულებით გადაწყვეტისათვის საკვლევი გარემოს მეცნიერული დამაჯრებ-  
ლობა უკვე იმ თავითევა დარღებული. მაგრამ მეცლევარი მანიც ამის გამო კვლე-  
ვისგან ხელს ვერ აიღობს. კერძოდ, აკად. ნ. მარის საცდელი შენიშვნები ისეთ  
პირობებშია შემუშავებული, როდესაც არაობიერტიური ხასიათის შედარებით  
ადგილად დასაძლევი დაბრკოლებაც კი არ არის დაძლეული; მხედველობაში  
გვაქვს ის გარემოება, რომ ჯერხნობით არ არსებობს დაბადების ქართული ვერ-  
სის კრიტიკული გმოცემა არც ნაწილ-ნაწილად და არც მთლიანად, რაც დი-  
დად აუერხებს კვლევის სათანადო გზით წარმართვას და არა მხოლოდ დაბა-  
დების, არამედ საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთაგან მეტად  
ცოტა რამ არის ისე გაძლიერებული, რომ ისტორიული ძეგლის გამოქვეყნების  
მეცნიერულ-კრიტიკულ მოთხოვნებს აქმაყოფილებდეს. პირველი ნაბიჯი სანა-  
ხევროდ გადაიდგა ოთხავის ქართული ვერსიის აკადემიური გამოცემის მიმარ-  
თულებით. 1909 წელს აკად. ნ. მარის ინიციატივით გამოქვეყნდა ტბეთის, ოპი-

ზის და ურბნისული ნუსხების მიხედვით მათეს თავის საკითხავი<sup>1</sup>. ამ პუბლიკაციის დიდ ღირსებად ის ითვლება, რომ გამოცემის ძირითად წყაროდ აღებული ტეტის ოთხთავი გზა-გზა შეესბულია და შედარებულია ოთხთავთა პირზურ და უჩნისულ ნუსხებთან, რაც მკლევარს საშუალებას აძლევს ამ ორი რედაქციის გარიანტებითაც ისარგებლოს. მართლია, 1911 წელს მას მოჰყვა-იმავე წესით გამოცემული მარკოზის თავის საკითხავი<sup>2</sup>, მაგრამ სამწუხარიც აკადემიკოსი ნ. მარის მთელს ამ დაუფასებელს წამოწევდას (რუსთოს ზეცინერვ-ბათა აკადემიის წინაშე მან შუამდგომლობა აღძრა დაარსებულიყო / ქართული ოთხთავების მეცნიერულად შემწავლელი და გამომქვეყნებელი კომისია), იმპერიალისტური ომის დასაწყისმა მოუღო ბოლო.

აღსანიშნებია აქად. ნიკო მარის ცდები<sup>1</sup> ქართული დაბადების თარგმანის პირველ წყაროს დასაღენად, სადაც მეცნიერი მას მხილავს დაბადების ბერძნულ, სომხურ, ლათინურ, ებრაულ და ასურულ დენძებთან ტექსტუალური შედარების ხაზით. ჩვენი ძეგლის ენობრივი წარმომავლობის საკითხის გამოსარჩევად ასეთი შედარებითი ანალიზი სუსეფთხოს და უტყუარ საშუალებად მიგანითა; მაგრამ რამდენადც ჩვენ უშუალო მიზანს შეადგენს ლიალექტის მების გამოყენა, ამდენად შესაძლებლად ცენობთ დავგმაყოფილდეთ ბერძნული და სომხური კერძოებით.

ପ୍ରକଟିକାତ୍ମକାରୀ ମହାନ୍ଦ୍ୟାଳ୍ୟରେ, ୧୯୯. ମ.

କାନ୍ଧିର-ତ୍ୟାଗମେତୁଳବା ୩୦ ପ୍ରାଚୀନିକେ ହେଲାଯାଇଥିବା

1923 წლამდე ერთადერთი უძველესი, თარიღიანი ძეგლი აკად. ნ. შარის მიერ სინას მოიტან ფოტოგრაფიული პირის სახით 1902 წ. ჩამოტანილი 864 წ. სინური მრავალთავი იყო. ქართული ენის განვითარების ეტაპებად და- ყოფისს ეს ძეგლი იყო მხედველობაში მიღებული რეალური ერთფულის სახით. ყველა დანარჩენი უფროილი ძეგლი მიჩნეული იყო სავარაუდო სიძველისად. 1923 წელს, პროფ. ივანე ჯავახიშვილის აღმოჩენამ, მეცნიერებას შესძინა მა- ნაძე უცნობი, ენობრივად მეტად საყურადღებო სამწერლო ძეგლები, ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები. მათ შესახებ, როგორც თეთი აღმოჩენის, ისე სხვა, დაინტერესებულ მეცნიერთა შორის აზრთა დიდ სხვაობას ჰქონდა აღვილო.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს იონთავი, მათებს თავისად, 1909 წ.

<sup>3</sup> საბარებად ოთხთავი-მარკოზის თავისად, 1911.

<sup>3</sup> მხედველობაში გვაქს მისი მეტად საყრდენობო სერიული ნარკევი, რომელის სათუ-  
რია: „Заметки по текстам св. писания у древних армян и грузин“ (Христианский Восток I, I, ამცაბ. II, 1913, გ. II, ამცაბ. III, 1914, და შემთ.).

<sup>4</sup> აღმოჩენათა სიტუაციას და დეტალებს შეუკვეთი გაცენობა პროფ. ივ. ჯავახიშვილის — „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელობაშეტები და მათი მიზეზურობა მეცნიერებასათვის“ — ტფ. უნივერსიტეტის მასპინ, II, 1923 — და პროფ. ა. ჭანიძის — „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო“ — (ივენ.) შრომებში.

ჩვენ მხოლოდ გაკერით შევეხებით იმ საკითხებს, რომლებიც დაისვა ამ აღმოჩენათა შედეგად, რომდენადაც მათ ჩვენს ძირითად თემასთან — ჰადიშის თოთხავის დახსასათების ამოცანასთან — საზიარო მხარეები აქვთ. ესენია, ბუნებრივად, 1. საკითხი, ან უკეთ პრობლემა ძველი ქართული ენის კილოებისა და სალიტერის თანამიმართებისა, 2. საკითხი ძველი ქართული ენის განვითარების და-საფეხურებისა, დაბოლოს, 3. ბიბლიის და კერძოდ თოხთავის ქართული თარ-გმანის საკითხი. აი, მეტად შემცირროებული სამეული იმ გაცილებით რიცხვ-მრავალ საკითხთა, რომლებიც აღნიშნულ ილმოჩენებთან დაკავშირებით წამოი-ჭრა. ეს ის საკითხებია, რომელთა განხილვისას ენათმეცნიერება ისტორიის შე-შეველებას საჭიროებს და ისტორია ენათმეცნიერებისას, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა მომიჯვნავე დისციპლინებზე.

დავიწყოთ პირველიდან. ხანგეტი და ჰაემეტი ძეგლები ძველი უკანასკნელი ენის ორი სხვა დასხვა დიალექტის კუთვნილებად რენა აღიარებული. მაჩასადამე, მითვე დადასტურდა ორი: ზანგეტი და ჰაემეტი დიალექტის არსებობა. ასეთია, პროფ. აკ. შანიძის შეხედულება<sup>1</sup>. ხან-გეტი ქართული უნის განვითარების დასაწყისი საფეხურია, ჰაემეტი კი ქართული უნის განვითარების შემდგომი ეტაპი; ისინი პერიოდულად არიან ერთმანეთს დაცილებული, გვეუბნება პროფ. იკ. ჯავახი-შვილი<sup>2</sup>. ორივ მეცნიერისათვის ამოსავალი წერტილია შედარებითი ხა-რისხის, მესამე ობიექტური პირის, მეორე სუბიექტური პირის და ი-თ ნაწარ-მოები ერთპირიანი ენებითი გვარის ზრის კულტ პირის მორფოლოგიური მაჩვე-ნებლები ხანგეტურ ტექსტებში — ს და ჰაემეტურში — ს. სხვა ენობრივი მა-ჩვენებლები მხედველობაში არ არის მიღებული. თუ ხანგეტ-ჰაემეტ ტექსტებს ერთმანეთს შეუფარდებთ, მათ შორის დიდ მსგავსებას, თითქმის ენობრივი იგივეობას დავინახავთ, როგორც მორ-ფოლოგიურ-სინტაქსურად, ისე ლექსიკის მხრივ. შეიძლება ვინერმ იფიქროს, რომ ამ ტექსტების ლექსიკურ-სემანტიკური მსგავსება გამოწვეული იყოს ძვე-ლი და ახალი აღთქმის, როგორც სკულტო ნაწარმოებთა ორთოდოქსითი. მაგ-რამ ცნობილია, რომ ორთოდოქსიალურობა კულაზე მეტად სწორედ შინაარსებ-რივი მხარის შემბორეველი იყო და არა იმდენად ენობრივისა და ეს ტექსტე-ბიც ხომ სწორედ იმ დროისა, როდესაც ფილოლოგიურ-მთარგმნელობითი „სკოლების“ ცენტურა მათ მაინცადმაინც არ წასტანები. თოხთავის ქართუ-ლო თარგმანის რევიზია მოხდა უფრო გვიან (ჩვენ შალაში ვტოვებთ ამ შემ-თხვევაში ჩვენი მსჯელობის შედარებით-პირობით ხასიათს) X—XI ს. ს. გიორგი მთაწმიდელის თანამოსაგრეთა და მის წინამორბედ მოღვაწეთა დროს, როდესაც ენობრივ მხარესაც ჯეროვანი კურადღება მიეყრო.

ამგვარად, არასაკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული კილოუ-რობისათვის მარტო თოდენ ეს (მორფოლოგიური) ნიშანი, სა-კირლა გავითვალისწინოთ ენობრივი დიფერენციაციის სხვა

<sup>1</sup> იბ. პროფ. აკ. შანიძე — „ჰაემეტი ტექსტები და მათ მინშენელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ — ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 361.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 365 და შემდ..

კომპლექს ებიც და პირველ რიგში—ლექსიკურ-სემანტიკური, რაც ღაუქე-რებელია არ არსებობდეს, თუ ორი ენობრივი ფენა გამოცხადებულია ორ დიალექტად, ისიც ასეთი მნიშვნელოვანი მოზოოლოგური მოვლენის ჩართვით. ჩვენ ამით არ ვამტკიცებთ, თითქოს ხანმეტ-ჰამეტობა არ შეიძლება ჩიათვალოს დიალექტურ (ან, თუ გნებავთ, ენობრივ) ნიშან-გასაყარად; ასეთი დასაშვებად მიგარინა იმ შემთხვევებისათვის, როდესაც იგი 1. ერთად ერთი ნიშანი კი არ არის, არაშედ ერთერთი და 2. როდესაც იგი, როგორც მორფოლოგიური მოვლენა, მეტი სავსეობით არის მოცემული და არ არის დაყვანილი ფონეტიკური მოვლენის დონე მდე. მართლაც, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილის, ისე პროფ. აკ. შანიძის მსჯელობისათვის არ სუბითად მოწოდო მაჩვენებელი არ არ არ კლად ალებული. ალსანიშვანია ქსიც, რომ ეს ნიშან-გასაყარო, ბოლოს და ბოლოს, ფონეტიკური ნიშანია: ხ-ს ხანმეტურში და ჟ-ს ჰამეტურში შალიფერუნარებელ ნიშანდ მხოლოდ ფონეტიკური ნირსახეობა აქვს, როგორულოგიურად კი ერთიდაიგივეა. თუ ჩვენ შევადარებთ თანამედროვე მდგრადი-იმას აღმოსავლურისა და დასავლურის კილოგრამი სუბიექტი მეორისა და ობიექტი მესამის ნიშნების ხმარების მხრივ, დავინახავთ, რომ აღმ. დიალექტი დასავლურისგან გაინიჩევან სუბიექტი მეორისა და ობიექტი მესამის ნიშანთხ ზმარების წესით. ქართულ კილოთა კლასიფიკაცია ამ ნიშნის მიხედვით პროფ. აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1920 წელს<sup>1</sup> მოახდინა, რა დაყოფასაც მეტი რეალური ლირებულება აქვს იმდენად, რამდენად მას ახლავს მთელი რიგი დიალექტურ ნიშან-გასაყაროა, თუმცა თავისიდათავად, პრინციპიალურად ამგარ კლასიფიკაციისაც მართალია, ნაჯებ, მაგრამ მაინც ოდენ-მოწოდებულ გილოზ საფუძველი უქვეს. ხოლო ძვ. ქართულში ამ ნიშანს ბოლომდე თუ გავუკებით, დავინახავთ, რომ სხვა მაჩვენებლების მიხედვით ერთიმეორის მიმართ კილოური დამკიდებულებაში მყოფი ორი ენობრივი ერთეული, სუბიექტი მეორისა და ობიექტი მესამის ნიშნის მიხედვით ერთ კილოდ შეიძლება იყოს მიჩნეული. ამდენად სათანადოდ დასაბუთებული არ არის ამ დაყოფის გადატანა ძველი ქართული ენის პერიოდისათვის, ხანმეტ-ჰამეტი ძეგლების მიმართ, სადაც ჩვენის ფიქრით, თითოეული მათგანი მთელს ენობრივ ფენას უდრის და არა მხოლოდ იმალებულების სახით, საინტერესოა ზოგიერთ გარემოებაში გავრცევეთ, სახელ-დობრ, რატომ იყო ამ ერთი ფორმანტის არი ფონეტიკური სახეობა: ხ და ჟ არატომ გაქრა ხ როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების წინ უკალოდ—თუ

<sup>1</sup> იბ. მისა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმებში“—1920, გვ. 144 და შემდ..

მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე უძველეს რელიქტს. ზმნებს „ხარ“, „ხვალ“-ს და „ხუცეს“ სიტყვას, —ხოლო ჰ ფლემდე ცოცლობს თანხმოვნების წინ. რატომ მოხდა, რომ დაიკარგა სწორედ ხ, რომელიც ფონეტიურად ქართულისა და მისი კილოებისათვის მეტად ორგანული უნდა ყოფილიყო და არის კიდეც, ნამდვილად კი ჭარჩა ჰ, სპირანტი წრისათვის უფრო დამახასიათებელი ბგერა და ქართულისათვის ნაჯლებ როგონული; ამასთან თუ მხედველობაში არ მივიღებო ძველი ქართულის ისეთს მაგალითებს, როგორიცაა „შრული“ (გრიგოლ ხანძთელის ცხორებიდან, TP, VII) და რამდენსამე მსგავსს სიტყვას, ახალსა და ძველს ქართულშიც ეს ბგერა, თუ არ აუიქსად და შეთვისებულ (თუ ნასესხებ) სიტყვებად, არსად გვხვდება. ქართული ენის ძველი პერიოდი-დანვე მოყოლებული, ენა მას ამათუმ საშუალებით გვერდს უვლის: ან სულ ჯარგავს, ან მის ფონეტიურ გადაბგერებას ახდენს ზოგჯერ იმავ ხ-დ. მაგრამ არ უნდა დავიდოწყოთ, რომ მორთოლოგიურ ნიშნად გამოყენებულ ბგერას ენაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი. ბგერათა რომელიმე კომპლექსი. რომელიც ფონეტიურად დაუშვებელია სიტყვათა აგბეულებაში, სრულიად ბუნებრივია სიტყვის ძირისა და მისი ფორმანტებად გამოყენებით შექმნილს კომპლექსში. ამგვარად, ჰ მიუხედავდ მისი არაორგანულობისა ენისათვის, მშვენივრად იყო და არის გამოყენებული ფორმანტად.

საყრადღებოა, რომ ქართული ანბნის სისტემაში ჰ ნაბოლარა ასკა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ამსახველი გრაფეტი მყოფობდა სემიტურს დამწერლობაში. უძველია, იმ ენობრივი წრისათვის, რომელმაც პირველად გადმოიღო მოილობით გადმოიღო მისი არაორგანულობისა ენისათვის, მშვენივრად იყო და არის გამოყენებული ფორმანტად.

ამგვარად, ჩვენ დავასკვნით, რომ ხ პირის ნიშნად ჰაზე ადრეული მოვლენა უნდა იყოს.

როდესაც ჰ-ს არაორგანულობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გაუშეთ, რომ ეს ეხება „ქართულის“ გარკვეულს ფენას, რომელიც მორთოლოგიურ ნიშნად ხ-ს იყენებდა, ხოლო მეორე ენობრივი ფენისათვის მხოლოდ ჰ უნდა ყოფილიყო უნდა ყოფილიყო შესაძლებელი.

ლიტერატურაში მითითებულია, რომ ე. წ. მესხეთის წყალგასაყარისა და ისტორიული გუგარქის ტერიტორია იყო ის რაიონი, სადაც ჩაისახა და ლვი-კოდა საქართველოსანო მწერლობის კერა. გუგარქის (და სხვაგან) ლოქშივე ნაპოვნი ხანმეტი წარწერები. მწერლობის წინა თუ მასს დასაწყისს პერიოდში მთელი ეს ენობრივი კერა ხ-ფორმანტიანი უნდა ყოფილიყო. ჩვენის ვარაუდით ეს ენობრივი პროცესი I—V ს. ს. უნდა ხედებოდეს (ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც „ქართველი“ ტომების სამიგრაციო ტალღების მიმოქცევა ასე თუ ისე შენელებული ჩანს, და სრულიად არაფერს ვამბობთ ხანურობა-პაეურობის იმ სახეობაზე, რომელიც უნდა ჰქონდა ქართველ ტომებს სულ სხვა გეოგრაფიულს. განედში, სახელდობრ, სამხრეთის მიწაწყალზე—მც. აზიაში ყოფნისას. დამატებით ენობრივი დიფერენციაციის სხვა მომენტების შესახებ ქვემოთ გვენება ლაპარაკი. ყველა ამის გამო მეტად ძნელია, ამ უძველეს-უახლესობის საკითხში ისტორიული

პერსპექტივის დაცვა... თუ ჩვენ ხ ჰაზ აღრინდელად გვესახება და ამით პროფ. ბ. ჯავახიშვილის დებულებას ვეზიარებით, თუცილებელ პირობადად ჩი-გვაჩნია ხაზი გაეცემათ იმას, რომ ეს ხება ქართული ენის „საუკუნეთა წესებია-დში“ დანთქმულს პერიოდს კი არა, არამედ ქართთა ტომების ა/კ სამხროთით „მესხეთისა და ქართ-იმერთა“ მიწაწყალზე დასახლების პირველ ხანას. ამავე ტერიტორიაზე მიუთითებენ პროფ. კ. კეკლიძე<sup>1</sup> და პროფ. აკ. შანიძე<sup>2</sup>.

როგორც უკვე ითქვა, პროფ. აკ. შანიძეს ჲ მიაჩნია ქართული ენის თავ-დაპირუელ მოვლენად<sup>3</sup>, ჯერ კიდევ იმ ძროისად. როდესაც მეგრულ-ქართული ერთი მთლიანი, ენის კილოები იყვნენ, არადვანაც მეგრულ-ჭინური ჰაემეტი კილოს ჩამომავალია<sup>4</sup>.

ზევით გაცემით აღინიშნა, რომ ქართულ ხ ფორმანტის კავშირი უნდა ჰქონ-დეს სვანურ ხ ფორმანტთან (სათანადო ლიტერატურაში ამას თაღვემის ცეცხლა მეცნიერებარი აღნიშნავს), მაგრამ ამის გამო ჩვენ ვერ გაეიზიარებთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის თაობაზე, რომ თითქოს ძე. ქართული ხ-ფორმანტი იგივე ხ იყოს, რასაც ვხდებით ქართულის ზოგს კილოში<sup>5</sup>. პატივცემულ მეცნიერებას მხედველობაში აქვს ხ-ს ხმრება მთის კილოთა ფხოურ ჯგუფში და ქართულში. ჩვენი მხრით შეგვეძლო დაცვემოწმებინა ხ-ს ამ ფუნქციით გამო-ყენება აგრეთვე გურულს დალექტში<sup>6</sup>, მაგრამ, რათქმანდა, ეს ხ ძეველი ქართული ხ-ს ხორციელი შთამიმავალი კი არ არის, არამედ შედარებით ახლად განვითარებული ფონეტიური მოვლენა, როგორც რეციდივი ჲ-ს ხმარებისა, რასაც პროფ. აკ. შანიძემაც მიაქვია ყურადღება<sup>7</sup>. სვანურში ხ-ს პრეფექსის ფორმანტად გამოყენება საკამაოდ მრავალფეროვანია. იგი აღნიშნავს ობიექტს მესამე პირისას, სუბიექტს შეორისას, სუბიექტს პირველისას (ჲ-ს-თან ერთად) და იგი შედარებით-აღმატებითი ხარისის ფორმანტის სახითაც გვევლინება. მიუხედავად სვანურისა და ქართულის საგრძნობი ენობრივი თავისთავადობისა, ამ ორი ენის აღნავობა მანიც დიდის მსგავსებას ამჟღავნებს და ამდენად გასა-კვირი არ არის, რომ სვანურს ბგერითად იგივე ფორმანტი დაუცავს; რაც ხა-ნურობის (და ხანძეტობის) დროინდელს ქართულს.

პროფ. კ. თოფურიას აზრით ჲ იყო ის მორფოლოგიური ფორმანტი, რო-მელიც ქართველურ ენებს უნდა ჰქონდა მათი ჯერ კიდევ გაუყრელობის პერიოდ-ში, ე. ი. ჲ პრექართველური მოვლენაა. მაშასადამე, თუ ჩვენ მათი გაყრის შემ-დღომ ხ-ს უხდებით და არა ჲ-ს (სვანურზეა ლაპრაკი), ჩანს, ამ ენებს დროთა-

<sup>1</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 264 და შემდეგ.

<sup>2</sup> ი. ი. მისი, „ჰაემეტი ტექსტები და მათი მინიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“— ტფ. უნივ. მოამბე, 11, 1923, გვ. 361 და შენიშვნა.

<sup>3</sup> დასახ. ნაშრ. გვ., 360.

<sup>4</sup> იგივე, იქვე.

<sup>5</sup> ი. მესი „ახლად აღმოჩნდი უძველესი ქართული ხელთანაწერები“, გვ. 363 და შემდე.

<sup>6</sup> მოვლენა პირველად და და ას ტურ ებ უ ლ ი ა (თუმცა სტაბური შეგვიანების გამა-მისი წერილობით გამოკვეყნება სამათდ შეყოვნით) კ. ლ თ მ თ ა თ ი ძ ი ს შექმ. („ნაშოვია 1933 იარის ძობექტი. პრეფიქსისა გურულსა და აგარულში“, ტფილ. სახ. უნ.ტის შრომები, V, 1937). მითოებული აქვს მასზე ს. უ ლ ე ნ ტ ს ა ც („გურული კალი“, 1936).

<sup>7</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 360.

კითარებაში იგი გადაუსხვაუერებიათ, ან თუ სულ არ არის (როგორც ქანურ-მეგრულში), სადღაც გზა-გზა შემოჰკარებულიათ. ცოცხალ სვანურში. მოსალოდნე-ლი პ-ს მაგიერ ხ-ია, რსიც მხოლოდ ანტევოკალურს მდგომარეობაში, თანხმოვნის წინ კი მთლად დაკარგულა<sup>1</sup>. ჩა საფუძველი გვაქვს სვანურში, ხ ჰ-ს მონა-ცვალედ მივიჩნიოთ რას უნდა შეეშალა ხელი, ან გვაქვს თუ არა ასეთი შენა-ცვლების მაგალითები? ალსანიშვანია, რომ ჰ-ს არსებობისთვის საუკეთესო მდე-ბარეობა ხომ ხმოვნისწინა მდებარეობაა... გვიხსენოთ რა რიგ უყვარს სვა-ნურს ეს ყრუ ბგერა ხმოვნის წინ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სვანურ-ქარ-თული პარალელური ლექსიკონია (შევადაროთ, მაგალითად, ქართ. ასული—სვა-ნური პასუშ, ქ. ალაგი—სვანური ჰალაგ, ქ. აყირი—სვ. ჰაყირ, ქ. აბედი—სვ. ჰაბედ, ქ. ელვა—სვ. ჰელ, ქ. ბალი—სვ. ჰებ—უკანასკნელში ლ არის დაკარგული, რაც ხშირია სვანურ-ქართული ლექსიკური პარალელების დროს, მაგ., გული—გვ, თვალი—თე და სხვ.<sup>2</sup> და ა. ზ—), მართლია ეს მოვლენა ყელა კილში არ არის, მაგრამ სვანურის არსებით სპეციფიკურ თვისებად მაინც ჩაითვლება.

სვანურში შებრუნებული მდგომარეობა რომ გვქოწოდა, ე. ი. ხ შენახუ-ლიყო მხოლოდ თანხმოვნის წინ, ხმოვნის წინ კი დაკარგულიყო, მაშინ კიდევ შეძლებოდა მსჯელობა სხვარივ წარგვემართა... მეორეცაა და, ერთი წუთი-თაც რომ დაეგუშათ, რომ პირებული პ-იყო და მან ხ-ი მოგვცა, ჩვენ ხომ კარ-გად ვიცით როგორია პ-ს ფონეტიკური რეფლექსები: ძევლთაგანეე მოყოლე-ბული იგი უპირატესად შიშინა და სისინა სიბილანტებს იძლევა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხ-ს ან, ლ-ს. აქ ჩვენ გხელმძღვანელობთ როგორც პ-ს რე-ფლექსების კერძოული შემთხვევებით, ისე ზოგად-თეორიული მოსაზრებებით ჰ-ს ტონირებური ბუნების შესახებ.

სპირანტ-სიბილანტურის აკად. მარისული გაგება სადათა გარევეულ ნა-ტილში, ამიტომდეარ შეიძლება ხაზი არ გაეცსათ იმ გარემოებას, თუ რაოდენ პირობითი ტერმინები სიბილანტური (შიშინა და სისინა) და სპირანტული. სპირანტობა სრულიადაც არ აედლებულებს ენას უსათურო ყველგან სპირანტი ბერები იქნას სპირანტულში და პირუუჟ სიბილანტურში სიბილანტი შტოს პანურს ენაში მეტად გავრცელებულია სპირანტი (აკად. მარის განსაზღვეულებით) მ-ს, მაგრამ ჩვენ იგი ქანური ენის „თვალაპირუელ“ მოვლენად კი არ მივგანია, არამედ—მეგრულ პროცესად. ჩათქმაუნდა, ეს არ ნიშანეს, თითქოს მეგრულ-ჭანურში ჲ არ იყოს, გარდა ამისა, არც თვით პატივეც. პროფ. თოფურია უარ-ყოფს იმ ფაქტურ მხარეს, რომ არც სვანური და არც მეგრულ-ჭანური მასალე-ბით არსად არ მტკიცდება. პ-ს არსებობის პირებულობა, ხოლო მეგრულ-ჭა-ნურს ხომ არსად (თუ მხედველობაში ჭანურში დაცული ნაცვალ სახელების ჲ-ს არ მიიღებთ), არც Ⅱ სუბ. პირის, არც Ⅲ ობიექტ. პირის და არც შედარე-ბით-აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლებდ არ შემოუნახავს სათანადო ნიშანი

<sup>1</sup> იხ. ვ. თო ფ უ რ ი ა, სვანური ზმნა, ტფილისი, 1931, გვ. 6.

<sup>2</sup> ბალი მართლია ნასესხები სიტყვა (შტრ. ხარს. -ს.. სმბ. რუ), მაგრამ ამ შემთხვევი-სათვის ამას არსებითი შემცველობა არა აქვს. რადგან სვანურში ბალ სიტყვა ქართულიდან შე-ტელად უნდა კავშლოთ. ამ სიტყვის შესახებ იხ. ნ. მარის ქართველობის კავკასიის ხერხებს კ. რასტომი, მიან, 1915, გვ. 825, შენიშვნა 3.

და ამ მხრივ (აგრეთვე სხვა მხრივაც), სეანური ქართულთან კონსტრუქტორული მეტს სიახლოვეს იჩენს, ვიდრე მეტარულ-ჭანური.

დაუუბრუნდეთ კვლავ ძეგლი ქართულის ორკილოიანობასა და რაც იგუვეა, ხანძეტ-ჰაემეტობის საკითხეს. შესძლოთ თუ არა აღმოჩენილ ძეგლთა წერის დროისათვის ეს ორი კილო ჩელიანური, ცოცხალ მოვლენად მივიჩნიოთ და ამ დროს შევფუძილოთ? არც ერთი აღმოჩენილ ტექსტი აგან ენობრივია და ტლება ხანური ტექსტი ხანური მოვედების იმ ზოროვეს, რომ ელიცეს განვუკუთნეთ (I—V ს. 6. ჩ. წ. ა.), არ უდგება იმიტომ კი არა, რომ ჩენ I—V სს დროინდელს ძეგლს ვუდარებოთ (ასეთი არ არსებობს), არამედ იმიტომ, რომ ის ქარგიდ უდგება IX—X ს. ს. სამშერლო ძეგლების ენობრივი ნორმებს. აღმოჩენილი ხანურობა მართლაც „ხანძეტობა“, და როგორც ცოცხალი მორფოლოგიური მოვლენა უნიტორივად. მეტარია ამ ტექსტებში და ცოცხალი სამეტყველო კომუნიკაციის ულემენტი აღიარ არის. ამას გარდა, აღმოჩენილი (და არა ისტორიულად, რეალურად არსებული) ხანძეტობა (თუ ხანურობა) ქრონოლოგიურად და, რაც მთავარია, ენობრივიდ იმდენაც. თანხედენილია აღმოჩენილი ჰაემეტობისა, რომ უნგრურია კითხვა იბატება, როგორ არის შესძლებელი დროის ამ უმნიშვნელო მონაცემთში ხარ, ხვალ, ხუცეს სიტყვებთა ფორმალური აღნაგობის გრძნობა იმდენაც შესუსტებულიყო, რომ ეს პირწავერდნილი ხანური სიტყვები ხანურადვე ეხმარათ ჰაემეტ ტექსტებშიც? ეს კი იმას მიუთითებს, რომ შათო ხანურობის ცნობიერება დიდი წესის წამლილია, დიდისანია, რაც ისინი ხანურიად აღიარ აღიმეთიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩენ მოველოდით, ან წესისამებრ ჰარ, ჰევალ, ჰუცეს-ს, ეს იმ შემთხვევაში, თუ ს ას სამ სიტყვაში ხანურიად იქნებოდა გაგებული, ან ჰარ, ჰევალ, ჰუცეს-ს, თუ ხანური ძირისეულად იქნებოდა მიჩნეული: რავი ასე არ არის, ამიტომ ხარ, ხვალ და ხუცეს<sup>1</sup> სიტყვა ხანურობის აეტუალური არსებობის დროისად უნდა მიიღინოთ.

გამოსარეკვერა აგრეთვე შემდეგი: რატომ ეგოდნენ სუსტია ნიშნები იმისა, რომ აღმოჩენილს ხანძეტს ძეგლებში ხანურობას პროცესუალურიად ჰაემეტობა უნდა დაემკვიდროს, ესე იგი, რატომ ასე იშვიათად გვხვდება მათში ჰაემეტი ფორმები? მაშასადამე, ერთის მხრივ, არის უძრავი, პროცესუალური დაშლის მხრივ ურყევი ხანძეტობა და მეორეს მხრივ, მისგან არც ისე დაშლებული ქრონოლოგიურად ჰაემეტობა, რომელიც ანომალიერითაც არის საუსე და დაშლის ნიშნებსაც ამეღავნებს? მართლაც და, ორთოგრაფიული რეტორმა ხომ ას უნდა მომხდარიყო! რაც ძნელი დასჯერებელია. ამიტომ, აღმოჩენილი ხანძეტობა, ჩენ მიგვაჩნია შხოლოდდამხოლოდ მთარ გ მნე ლობი თ — ფ ი ლოლო გიურ ხ ე რ ხ ა დ, სწორედ იმ „ხანძეტად“ რედაქციული შემთხვევაშით როგორც ამას გიორგი მთაწმიდელი ხმარობს. ჩადგან ქართული სამშერლო ძეგლები (ქრისტიანობის პერიოდში) საკულტო შინაარსისა უნდა კოფილიყო და პირელი ნაწილობრივი სწორედ ხანძეტურზე თარგმნილობა მუნჯი.

<sup>1</sup> ხუცეს სიტყვის მდგომარეობა ცოტა სხვანარია, იგი ზოგა არ არის, და ამიტომ ვითარება მრავალ სიტყვაში უფრო ადრე უნდა წალილობით ხ-ს ფორმატურა აღმოს გავშება.

მრივად, ამიტომ მოგვიანებით, როდესაც პირეელი თარგმანი (რა ნაწარმოებიც არ უნდა ეყილოთ) ფილოლოგიური განსჯის საგანად იქცა, მაშინ თარგმნის სიჭმინდისა და აღურევლობის მიზნით ხანმეტური ტრადიციაც დაიმკვიდრეს საკულტო ლიტერატურის გადმოწერა-გადმოთარგმნისას.

როგორილა ჰაემეტობის ამბავი? პირეელყოლისა, ყურადღება მისაცევეა, რომ ჰაემეტობა პროცესუალურად ხანმეტობაზე უფრო ცოცხალია. ერთი იმიტომ, რომ ცოცხალ ხანმეტობაზე უმცროსია, როგორც პროცესუალურად, ისე აღმოჩენების მიხედვით. გამოვლივათ. ზემორეტემულიდან, რომ ქართველი ტომებისათვის ა.-ქ.-ის ტერიტორიაზე სამშერლო ენა თუ არა, *lingua franca* მაინც ჯერ ხანური და შემდეგ ჰაეური ენა უნდა ყოფილიყო. და ამიტომ ეკრ დაევთანხმებით პატივიც. პროფ. აკ. შანიძეს მათს ქრონოლოგიურს თანხედებინილობაში<sup>1</sup>. მკვლევარი იძულებული იყო მათს ქრონოლოგიურ სიახლოებებს მიეთითებინა, რადგან ამას უკარნახებდა მათი ენობრივი მხარის დიდი მსგავსება. თუ ეს ასეა, მხოლოდ იმიტომ, ვიმეორებთ, რომ აღნიშნული დროისათვის ხანმეტობა ფილოლოგიური სტილიზაციის მოვლენაა და არა ცოცხალი პროცესი. ჰაემეტობა კი აღმოჩენათა ჰერიონდისათვის შედარებით ცოცხალია, მაგრამ სრული ჰაემეტობი მაინც ბუნებრივი ფორმა-ხმარება რომ არ უნდა იყოს—აშკარადება ჰაემეტი ძეგლების მერყეობით, ჰაემეტობის დაშლის გზაზე დგომით, მაგრამ აუკი ქართული ენის განვითარების შემდგომი ეტაპი მაინც ჲ-ს ფორმახმაბმარებით ხასიათდება, ამიტომ აღმოჩენილ ჰაემეტობაზე შედარებით ვამბობთ ცოცხალიათ, თორებ არსებოთად არც ის არის ცოცხლად მომქმედი ნორმა, ისიც თავისებურ ფილოლოგიურ სტილიზაციის წარმოადგენს<sup>2</sup>. ამასთან დაკავშირებით: რით აისწება, რომ გორგი მთაწმიდელმა ხანმეტიანი ძეგლებისათვეს<sup>3</sup> ხანმეტური იხმარია, ხოლო მოსალონტელი ჰაემეტური კი თითქოს „საბაჭმილურში“ უნდა ვეძიოთ, მისთვის ხომ ხანმეტურიც და ჰაემეტურიც პროცესობრივად ორივ მკვდარი უნდა ყოფილიყო? ამიტომ, იქნებ მოლად სწორი არ იყოს ხანმეტი ძეგლების შესახებ ძეგლს ქართულს მწერლობაში დაცული ლიტერატურული ცნობის<sup>4</sup> ის ინტერპრეტაცია რომელიც პროფ. აკ. შანიძემ წარმოადგინა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> აკ. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის, ისტორიისათვის, ტფ. უნ. მოამბე, III, 1923 წ. გვ. 361.

<sup>2</sup> ეს რომ ასეა, როგორც ხანმეტი, ისე ჰაემეტ ნაწარმოებთა მიმართ, ამას პატიშის სახარებული დაცული ხანმეტობა და ჰაემეტობაც ადასტურებს, ძეგლისმცემს რომ ხანმეტობის ორი ნაშთი სისტემად გვეხადა, სრულად ბუნებრივად გვექნებოდა დათარილებული ხანმეტი სახარება. იგივე ითქმის ჰაემეტობის ნაშთებზეც.

<sup>3</sup> საესპილ ვეთანმებით პროფ. კეკელიძეს იმაში, რომ გიორგი მთაწმიდელის ანდერში დაცული ტექსტინი „ხანმეტური“ მხოლოდ სახარების ტექსტს არ განვითოვნება, არამედ ძეგლი სასულიერო მწერლობის ნაწარმოებთა გაცილებით მეტ რიცხვს მოიცავს (იხ. მისი „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები“, მიმომხილველი I, 1926 წ. გვ. 264).

<sup>4</sup> იხ. გ. გ. მათწმიდელის ანდრეძი, თ. ეორ დანია, ქრონიკები, II, გვ. 207.

<sup>5</sup> იხ. მისი „ლიტერატურული ცნობა...“, ტფ. უნ. მოამბე, ტ. II. 1923 წ.

შემდეგია ქართული მწერლობის დასაფეხურების საკითხი. მას მჭიდროდ უკავშირებენ ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტთა<sup>1</sup> აღმოჩენას. ეს ნაწილი ჩვენ დაკაწყეთ სინას 864 წ. მრავალთავზე მითითებით და აღვნიშნეთ, რომ ყველა დანარჩენი (იგულისხმება დაუთარილებელი) ძეგლის სიძველის შესახებ მხოლოდ სავარაულო მსჯელობა შეიძლება ვიქონით. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოჩენილი ხანმეტი ტექსტები V—VJ ს. ს. დაათარილა. იგი ემსარებოდა ტექსტთა პალეოგრაფიულ-ორთოგრაფიულს, მეორე მხრივ, ენობრივ არქაულობას და ბოლნისის და ცეცხის ჯერის წარწერათა დათარილებას.

უდავოა, რომ წარწერათა ენა წინ უსწრებს წიგნური ძეგლებით დაცულს ენას და ბმიტომ წარწერებში შემონახული ხანურობა მართლაც ხანურობა შეიძლება იყოს და არა ხანმეტობა. სამისოდ მას მათში საქმაოდ ბუნებრივი სახე აქვს: იგი დაშლის გზაზე დგას. წარწერათა დათარილებისათვის ნავარაულევ დროში ხანურობა მართლაც ამ ეტაპზე უნდა მდგარიყო<sup>2</sup>.

ხარეფიქსის გარდა ენობრივად სხვა რაიმე არქაულ მორფოლოგიურ პროცესს, ან რაიმე არაორდინარულ ფონეტიკურ პროცესებს ხანმეტ ძეგლებში ვერ ვხვდებით. პირიქით ვადასტურებთ ისეთს ფონეტიურ ნეოლოგიზმებს, ჭაულოდნელს ამ ხნიერების ძეგლთათვის, როგორიცაა „ლერწამრა“, „სურნელი“ და მისთანანი<sup>3</sup>. სინტაქსი ტრიური ქველი ქართულისაა. არც სემანტიკურად ვხვდებით რაიმე განსაკუთრებულს არ ვაიძებს.

ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების სიძველე-სიახლესთან მჭიდროდ დაკავშირებულია სახარების ქართული თარგმანის ისტორიის საკითხიც მისი ხანიერება და მომდინარეობის გზები. დასახელებულ წერილში პროფ. კ. კეკელიძემ უკვე აღნიშნა, რომ არ არის სწორი, თითქოს ეს ახალი აღმოჩენები „რედაქციულად მაინც იძლეოდეს რაიმე არაჩეულებრივსა და სესაციურს; ახლად აღმოჩენილი ბიბლიური მასალა, მეცხრე-მეათვ საუკუნეთა ტექსტთან შედარებით, მეტს ვარიანტებს არ იძლევა“<sup>4</sup>. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით მკვლევარს და ქვემოთ შევეცდებით ეს ხელშესახებად გავაშუქროთ; თუმცა აქვე უნდა დაესძინოთ, რომ ჯერხნობით არცერთი ხანმეტი ან ჰაემეტი ძეგლი თავიდან ბოლომდე არ არის ამ ოკითხული და კრიტიკულად გამოქვეყნებული, ასე რომ ჩვენ ვმსჯელობთ გამოუქვეყნებელი ტრაგეტნტარული ხასიათის შესალაზე დაყრდნობით. ამ თეალსაზრისით, ჰაემეტის თხხთავი მეტი მნიშვნელობის მქონედ თუ არა, ნაკლები ლირებულების ძეგლად არ ჩაითვლება, თუ ჯეროვნად

<sup>1</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელობაზეტები, გვ. 367—368.

<sup>2</sup> დოც. ლ. მუსხელიშვილის მიერ 1937 წ. ბოლნისის ტაძრის ერთგრძთი კარიბჭის ძირში აღმოჩენილი კიდევ ერთი ხანმეტარწერიანი ქვა; რომელის V-ს. შეორე ნაბეჭრით დათარილებისათვეს უტყუარი ისტორიულ საბუთთა ზედე არცვეთილა; ამ ვარაულს უფრო შეტაც მკვიდრ მეტნერულ სკრინებს უქმნის.

<sup>3</sup> ამოცითულია ჩვენ მიერ ხანმეტი თხხთავიდან (საჭ. ხელნაწერი № 89).

<sup>4</sup> იხ. მისი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, მიმოშილველი I, 1926 წ. ვკ. 262.

გაეკითხალისწინებთ ამ ძეგლის დიდს ენობრიესა და რედაქტულს ორიგინალიბას.

